პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივლისი **ხუთშაბათი** 2011
№ 175 (13 472) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დინამო კონდიციონერში

**გამოაკელით ჩვენებურ ივლისს 30 გრადუსი და... რეიკიავიკში ხართ**

დღეს ევროპის ლიგაზე
**თბილისი 21:00: მეტალურგი-რენი**
**რეიკიავიკი 23:15: რეიკიავიკი-დინამო**

UEFA EUROPA LEAGUE

# ბრძენი, ოღონდ არა მკვეხარენი



ნუგზარ ფოლადიშვილის ფოტო

↳ 2

## ორი ოქრო ბუქარესტიდან

**რევაზ ნადარეიშვილის და შოთა გოგისვანიძის ტრიუმფი**

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

↳ 10



## აგუერო ქალაქელია!

წუხელ 23 წლის **სერხიო აგუერომ** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ის უკვე „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელია. ეს მან გვიან ღამით „ტვიტერზე" დაწერა. სავარაუდოდ, აგუერომ „სიტისთან" 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. არგენტინელი ფორვარდი გასამრჯელოდ კვირაში 225 ათას ევროს მიიღებს. *„მე უკვე სიტის წევრი ვარ, მიხარია, რომ ამ ქალაქსა და ამ კლუბში მოვხვდი"*, - წერს „ატლეტიკოს" ყოფილი ფორვარდი. არც ერთ მხარეს არ დაუსახელებია ტრანსფერის თანხა, თუმცა, სავარაუდოდ, „სიტიმ" მადრიდელებს 43 მილიონი ევრო გადაუხადა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## რევოლუცია მოდის!



**რუმენიგე: ძირს ფიფა, ძირს ზეპი!**

↳ 9

ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

მეტალურგი-რენი | ევროპის ლიგა | რეიკიავიკი-დინამო

# ფავორიტი სტუმარი და იმედიანი მასპინძელი

ევროთასების ამჟამინდელ ეტაპზე ქართული კლუბებიდან ყველაზე სერიოზული მეტოქე რუსთაველებს ჰყავთ. "რენი" წყვილის უდავო ფავორიტია, მაგრამ "მეტალურგს" დასაკარგი არაფერი აქვს და შეიძლება შემდეგ ეტაპზე გასვლის დიდი შანსი არ ჰქონდეს, მაგრამ იმის იმედი გვაქვს, რომ ფრანგებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევს და ორი მატჩის ჯამში თუ ვერა, თბილისში მაინც მიაღწევს დადებით შედეგს.

შეგახსენებთ, დღეს მატჩი ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება და მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟის ხილვა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერითაც შეგიძლიათ. ბილეთების ფასი 3, 5 და 7 ლარია. იმედია, "დინამოსა" და "ზესტაფონის" მსგავსად, ტრიბუნებზე ქომაგი "მეტალურგსაც" მრავლად ეყოლება.

შეხვედრას კვიპროსელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის მარიოს პანაის ხელმძღვანელობით.



### უდანაკლისო მეტალურგი ბრძოლას გვპირდება

როგორც წესია, შეხვედრის წინა დღეს ორივე გუნდის ვარჯიში და მთავარ მწვრთნელთა პრესკონფერენციები გაიმართა. თავდაპირველად გასაუბრების საშუალება "მეტალურგის" თავკაც არმაზ ჯელაძესა და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ ირაკლი მაისურაძესთან მოგვეცა.

**ჯელაძე:** ისევე, როგორც ნებისმიერი მატჩისთვის, ამ შეხვედრისთვისაც განსაკუთრებული შემართებით ვემზადებით. კარგად გვესმის, რომ საქმე ძლიერ მეტოქესთან გვექნება, მაგრამ შევეცდებით, ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ და მაყურებელი ლამაზი და შედეგიანი ფეხბურთით გავახაროთ. ბურთი მრგვალია და ვნახოთ, ეგებ, ხვალ ჩვენი დღე იყოს.

**- დანაკლისი თუ გაქვთ?**

- არა, ყველა ფეხბურთელი მწყობრში გვყავს. დაგვიბრუნდა დენის დობროვოლსკი, რომელიც ამ მატჩში 18-კაციან განაცხადში იქნება.

**- მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- საკმაოდ სწრაფი, ტექნიკური გუნდია და უმეტესად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ვიცით ისიც, რომ "რენი" თბილისში ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ჩამოვიდა.

**მაისურაძე:** რთული მატჩი გველის, მაგრამ თითოეული ჩვენგანი მზადაა, ბოლომდე დაიხარჯოს და გამარჯვებისთვის იბრძოლოს. წყვილის ფავორიტი "რენია", მაგრამ უშანსოდ არც ჩვენ ვართ.

დასასრულს "მეტალურგის" პრესატაშე **შოთა შერმადინმა** კლუბის სახელით მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა "ქართული სპორტის ქომაგებს" (რომლებიც "მეტალურგის" მხარდასაჭერ პიარაქციებს ატარებენ) და რუსთავის მერიას, იქაური ქომაგებისთვის თბილისში წამოსასვლელად და უკან დასაბრუნებლად უფასო ავტობუსები რომ გამოყო.

პრესკონფერენციას "მეტალურგის" ვარჯიში მოჰყვა, რომელიც საქმიან და ხალისიან ატმოსფეროში წარიმართა. ყურადღება დაეთმო როგორც უბურთო ვარჯიშებს, ასევე ტექნიკური ელემენტების დახვეწას.



არმაზ ჯელაძე



ფრედერიკ ანტონეტი



### ტექნიკას გვიძებენ, მაგრამ ამით თავად გვაკვირვებენ

**"მეტალურგის" ვარჯიშს "რენის" დამრიგებელ ფრედერიკ ანტონეტის პრესკონფერენცია მოჰყვა, რომელმაც დარბაზში გუნდის სენეგალელი კაპიტანი კადერ მანგანი იახლა.**

**ანტონეტი:** სეზონისთვის მზადება დაახლოებით ერთი თვეა, დავიწყეთ და ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვართ. გვაქვს საკადრო პრობლემებიც, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, საბრძოლოდ ვართ განწყობილნი.

**- რა იცით "მეტალურგის" შესახებ?**

- მისი თამაშების ჩანაწერი არ გვაქვს, მხოლოდ მომენტების კოლაჟი ვნახე და ერთი შეხედვით, საქმე სწრაფ და ტექნიკურ გუნდთან გვაქვს. ისიც ვიცი, რომ გასული სეზონის მსვლელობისას "მეტალურგს" მწვრთნელიც შეეცვალა და შემადგენლობაშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა.

**- რა მიზანი გაქვთ მიმდინარე სეზონში?**

- საფრანგეთის ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დავასრულეთ და ეს შედეგი უნდა გავაუმჯობესოთ.

**- ევროპის ლიგა თქვენთვის პრიორიტეტული ტურნირია?**

- ისეთივე პრიორიტეტული, როგორიც ეროვნული ჩემპიონატი. გვინდა, საკუთარი ძალა ევროპის მასშტაბითაც დავამტკიცოთ.

**- თბილისში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- დარწმუნებული ვარ, ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**მანგანი:** ხვალინდელი მატჩი ჩვენი მომზადების დონეს წარმოაჩენს და გვინდა, სეზონი გამარჯვებით დავიწყოთ. გულშემატკივრებს ხარისხიან და სანახაობრივ ფეხბურთს ვპირდებით.

თავდაპირველი ინფორმაციით, "რენის" ვარჯიში მხოლოდ პირველი 15 წუთის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ღია, მაგრამ ფრანგებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და მსურველებს "რენის" სრული წვრთნის ცქერის საშუალება მიეცათ.

პირველი, რაც სტუმართა შემხედვარეთ თვალში გეცემოდათ, შესაშური აღნაგობა იყო. ეს გასაკვირი არც არის, რადგან "რენის" შემადგენლობაში მხოლოდ ორმა თეთრკანიანმა ივარჯიშა, აფრიკელთა გაბარიტებისა და ათლეტურობის ამბავი კი საყოველთაოდაა ცნობილი.

ამას გარდა, "რენის" ფეხბურთელები უაღრესად ტექნიკურები ჩანან. "კვადრატებისა" თუ სხვადასხვა კომბინაციის დროს მათ მცირედი წუნიც კი არ ჰქონდათ, ყველაფერს ძალიან სწრაფად და ზუსტად ასრულებდნენ. სტუმართა ვარჯიში ნახევარ მოედანზე გაჩაღებული თამაშით დასრულდა.

ფრანგული დელეგაცია თბილისში გუშინ ჩამოფრინდა. გუნდს თან რამდენიმე ჟურნალისტიც ახლავს. "რენი" 18 ფეხბურთელით ჩამოვიდა.

მეკარეები: **ბენუა კოსტილი, აბდულაი დიალო;**

მცველები: **ჯონ ბოიე, რომენ დანსი, იასინ ჯებური, ჟან-არმელ კანა-ბიიკი, კადერ მანგანი, თეოფილ კატრენი;**

ნახევარმცველები: **იასინ ბრაიმი, ტონგო ამედ დუმბია, ჟულიენ ფერე, ჟორჟ მანჯეკი, იან მვილა, ალექსანდერ ტეტეი;**

თავდამსხმელები: **რაზაკ ბუკარი, აბდულ კამარა, ვიქტორ მონტანიო, ჯონათან პიტროიპა.**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები



ალექს გარსია

## დინამო ცივ რეიკიავიკში

"დინამო" ისლანდიაში ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, სტამბოლისა და ლონდონის გავლით ჩავიდა. რეიკიავიკში ქართველებს ცივი ამინდი დახვდათ – იქ მხოლოდ 12 გრადუსია, რაც ისლანდიისთვის ჩვეული ამბავია.

**ალექს გარსიას** გუნდი სასტუმრო "გრანდ ოტელ რეიკიავიკში" დაბინავდა და გუშინვე ადგილობრივი დროით 19 საათსა და 15 წუთზე ივარჯიშა სტადიონ "ვიოლურზე", სადაც დღევანდელი შეხვედრა გაიმართება. სხვათა შორის, "ვიოლური" სულ რაღაც 6 ათას მაყურებელს იტევს. "დინამოს" ესპანელმა თავკაცმა პრესკონფერენციაც გამართა.

ვარჯიშში 18-ივე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა, რეიკიავიკში წასულთაგან ყველა ჯანმრთელადაა. შეგახსენებთ, გარსიამ "რეიკიავიკთან" პირველი მატჩისთვის ეს ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე;**

მცველები: **დავით ოდიკაძე, გულვერდ თომაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი, ირჟი ჰომოლა;**

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, ნიკა კვეკვესკირი, ჩისკო, გიორგი თექთურმანიძე, ჯაბა ჯიღაური, ირაკლი ლექვთაძე, ნიკა ფირცხალავა, გოგა ბერაია, კოტო;**

თავდამსხმელები: **გიორგი კახელიშვილი, რობერტინიო, იაგუე.**

ამჯერად დისკვალიფიცირებული არავინ გვყავს, მაგრამ ტრავმების გამო **ლევან კაკუბავა, ლევან ხმალაძე** და **შოთა კაშია** დაგვაკლდებიან.

"რეიკიავიკი"-"დინამო" ევროლიგის დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე გვიან, თბილისის დროით 23 საათსა და 15 წუთზე დაიწყება. თამაშს დანიელი **კენ ჰანსენი** განსჯის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგები და ჩვენ და ისლანდია

## სახეცვლილი რენი

ევროტურნირების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართული გუნდებიდან ყველაზე ძალიან რუსთავის „მეტალურგს“ არ გაუმართლა — მეტოქედ ფრანგული „რენი“ შეხვდა! საერთოდაც, იმის მერე, რაც რუსთავის „მეტალურგი“ (გნებავთ, „ოლიმპი“) ევროტურნირებზე ასპარეზობს, ასეთი დონის მოწინააღმდეგე არასდროს ჰყოლია; გავიხსენოთ, თუ რომელ გუნდებთან უწევდათ რუსთაველებს დაპირისპირება: ფარერების „ბ-36“-თან, სომხურ „ბანანცთან“ და ერთდროულად სამ ყაზახურ კლუბთან („ასტანასთან“, „აქტობესთან“, „ირტიშთან“). ერთადერთი მეტნაკლებად ძლიერი მეტოქე 2009 წელს შეხვდათ, როცა პოლონეთის „ლეგიამ“ ორივე მატჩი მოუგო რუსთავის „ოლიმპს“. და აი, „ლეგიაზე“ ბევრად უფრო ძლიერი და სოლიდური მეტოქეც: რა თქმა უნდა, „რენი“ არც „ლიონია“ და არც — „მარსელი“, მაგრამ ეს უძველესი ბრეტონული კლუბი ბოლო წლებია, საფრანგეთის ჩემპიონატში მუდამ პირველ ექვსეულში „ტრიალებს“.

„რენის“ ერთ-ერთი „საფირმო ნიშანი“ შემტევი სტილი იყო — გუნდი მეტოქის კარში ბევრ ბურთს იტანდა და ამასთან, საკუთარშიც ბევრს იღებდა. თუმცა, ბოლო წლებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: 2009 წელს „რენის“ მთავარ მწვრთნელად **ფრედერიკ ანტონეტი** დაინიშნა, ვინც მანამდე „ნიცაში“ სწორედ დაცვაში „მკაცრი“ თამაშით გაითქვა სახელი. ანტონეტის მოსვლის შემდეგ „რენის“ შედეგიანობამ საგრძნობლად მოიკლო (ბოლო სეზონში მხოლოდ უიმედო აუტსაიდერებს აჯობა), სამაგიეროდ, საკუთარ კარში გაშვებული ბურთების მიხედვით ლიგაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

საფრანგეთში ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და ასე რომ, დღევანდელი მატჩი „რენისათვის“ სეზონში პირველი იქნება. შარშანდელთან შედარებით გუნდში რამდენიმე ცვლილება მოხდა: გუნდი დატოვა სამმა გამოცდილმა ფეხბურთელმა, **ნიკოლა დუშემ, ჟერომ ლერუამ** და **სილვენ მარვომ**; რაც შეეხება ახალწვეულებს, მათგან ყველაზე ცნობილი 25 წლის ბურკინაფასოელი **ჯონათან პიტროიპაა** — ეს შემტევი ნახევარმცველი „რენში“ „ჰამბურგიდან“ გადავიდა. პიტროიპას გარდა „რენში“ მრავალრიცხოვანი „აფრიკული დიასპორაა“, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი 26 წლის ნახევარმცველი **ალექსანდერ ტეტეი** (განა) გახლავთ. „რენის“ უპირობო ლიდერად 21 წლის ნახევარმცველი **იან მ'ვილა** უნდა მივიჩნიოთ, ვისაც საფრანგეთის ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. მ'ვილას გარდა „რენის“ ყველაზე „ცნობადი სახეები“ არიან 27 წლის კოლუმბიელი ფორვარდი **ვიქტორ მონტანო** და ფრანგული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანი, 32 წლის **სტეფან დალმა.**

## უარყოფითზე უარყოფითი ბალანსი

ევროპაში არაფრით გამორჩეული ქვეყნების წარმომადგენლებთან გვაქვს უარყოფითი ბალანსი ურთიერთშეხვედრებში და რა გასაკვირი იქნება ის ფაქტი, ფრანგულ კლუბებთან მუდამ რომ ვმარცხდებოდით? ჰო, მართლაც სამწუხარო სტატისტიკაა - ევროტურნირებზე დღემდე ჩატარებულ ქართულ-ფრანგული კლუბების ურთიერთდაპირისპირებაში 6 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ მივაღწიეთ ფრეს, დანარჩენი 5 შეხვედრა კი წავაგეთ (ბურთების სხვაობაც არანაკლებ კატასტროფულია — 2:11). თანაც, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ფრანგული გუნდებიდან არც ერთი იყო „გრანდი“, — ანუ, „ლიონის“, „მარსელის“, „პსჟ-ს“, „ბორდოსა“ და „ლილის“ (გნებავთ, „სენტ ეტიენის“) დონის კლუბებს ვგულისხმობთ. ეგ კი არა, ქართული კლუბების იმ ძველი მეტოქეებიდან მხოლოდ „ოსერი“ და „სოშოა“, დღესდღეობით საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში რომ ასპარეზობენ; აი, დანარჩენები კი ბოლო წლების განმავლობაში საფრანგეთის ... მეორე და მესამე დივიზიონებს შორის „მოგზაურობდნენ“ — „გენგამი“, „ტრუა“, „ლანსი“...

...ქართულ-ფრანგული პირველი დაპირისპირება 1996 წელს ვიხილეთ, როცა ევროტურნირებზე დებიუტი ჰქონდა ფოთის „კოლხეთი-1913“-ს. ფოთელები „ინტერტოტოს თაზე“ ასპარეზობდნენ და ჯგუფში ერთ-ერთ მეტოქედ ფრანგული „გენგამიც“ ჰყავდათ. კლასში სხვაობა საგრძნობი იყო და „გენგამმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა იმ დღეს ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ მასპინძელთა მარცხენა ნახევარმცველი, იმ დროისათვის 20 წლის **გიორგი გახოკიძე!** ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობა იმდენად მოხიბლა გახოკიძის ეფექტურმა დრიბლინგმა (თუ საერთოდაც, არაორდინალურმა მოქმედებებმა), რომ ლამის მატჩის დამთავრებისთანავე მოინდომეს ქართველი ფეხბურთელის „გენგამში“ ჩარიცხვა...

» მე-4 გვერდზე


რეიკიავიკი დინამოს ვიოლურზე დაუხვდება

## ტიტულიანთა პაექრობა

ევროტურნირების ისტორიაში ქართული გუნდები რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს არ შეხვედრიან; ანუ, ფაქტობრივად, თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის გუნდთან გვქონია დაპირისპირება ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. და აი, წლევანდელი ევროტურნირების შემდეგ ასეთ მეტოქეთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება: პირველად ვიხილავთ ქართულ-ისლანდიურ დაპირისპირებას საკლუბო დონეზე! თანაც, სიმბოლურია, რომ ერთმანეთს ამ ორი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდები შეხვდებიან: თბილისის „დინამო“ და „რეიკიავიკი“...

ისლანდიის 24-გზის ჩემპიონი „რეიკიავიკი“ მართლაც წარმატებულზე წარმატებულ სეზონს ატარებს: ბევრისთვის მოულოდნელად, გუნდმა ევროპის ლიგის ორი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა; თანაც, პირველ რაუნდში ფარერების „ფულგაფიოდურის“ ძლევა (3:1, 5:1), ასე თუ ისე, პროგნოზირებადი იყო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც „რეიკიავიკს“ მეტოქედ სლოვაკეთის ბოლო წლების ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ჟილინა“ შეხვდა. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე „ჟილინა“... ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობდა და „რეიკიავიკთან“ დაპირისპირებაშიც წყვილის უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. თუმცა, ისლანდიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა ორი მატჩის ჯამში შეძლო და ძლიერ მეტოქეს აჯობა (3:0, 0:2). ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „რეიკიავიკი“ ჩინებულად ასპარეზობს თავისი ქვეყნის ჩემპიონატშიც (ისლანდიაში პირველობა „გაზაფხულიშემოდგომის“ პრინციპით ტარდება): 11 ტურის მერე 8 გამარჯვებითა და 3 ფრით ერთპიროვნული ლიდერია! იმის გარდა, რომ შიდა ჩემპიონატში წაუგებლად ასპარეზობს, „რეიკიავიკი“ საკმაოდ შედეგიანადაც თამაშობს: ამ 11 მატჩში მეტოქეთა კარში 25 გოლი აქვს გატანილი. გოლების უმრავლესობა „რეიკიავიკის“ თავდამსხმელთა „დუეტზე“ მოდის: 25 წლის **კიარტან ფინბოგასონმა** 6 ბურთი გაიტანა, მისმა თანატოლმა **გუდიონ ბალვიდსონმა** კი — 5. საერთოდ კი, ამ სეზონში „რეიკიავიკი“ ძალიან ახლოს არის 8-წლიანი პაუზის მერე დაიბრუნოს ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელი: 2003 წლის მერე ხომ ისლანდიაში „ჰაფნარფიორდურის“ ჰეგემონია დამყარდა! „ჰაფნარფიორდური“ ბოლო 7 წლის განმავლობაში ხუთჯერ გახდა ისლანდიის ჩემპიონი, ორჯერ კი მეორე ადგილზე გავიდა (ჯერ „ვალურს“ დაუთმო ოქროს მედლები, შარშან კი — „ბრეიდაბლიკს“). ახლა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „რეიკიავიკის“ ზეობა იწყება, თუმცა ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოსთან“ წყვილში ფავორიტად მაინც ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი მიგვაჩნია...

» მე-4 გვერდზე


2003 წელი. ლანსი-ტორპედო


ჯონათან პიტროიპა

● ლეგიონერები

# დვალიშვილი ლიგის მეგოლეებშია

გუშინ **ლადო დვალიშვილი** ჰაიფას "მაქაბის" მორიგი ევროგოლით შეენია. ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი მატჩი **ელიშა ლევისა** და **გიორგი დარასელიას** გუნდმა შინ სლოვენიურ "მარიბორთან" ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა კი თავი მე-8 წუთზე გამოიჩინა. ლადომ ანგარიში თერთმეტმეტრიანით გახსნა.

"მარიბორმა" 27-ე წუთზე გაათანაბრა, "მაქაბიმ" კი **იამპოლსკის** მიერ 70-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ "მაქაბის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა საქართველოში დაბადებული 29 წლის მცველი **ჰაიმ მაგრაშვილი.**

დვალიშვილისთვის კი მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში ეს უკვე მესამე გოლი იყო. პირველი ორი ბურთი მან მეორე ეტაპზე ბოსნიურ "ბორაცს" გაუტანა. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ლადო II-VI ადგილებს იყოფს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ლადო დვალიშვილი

# კობი რეალთან ვერას გახდა, იოზილი კი შეაქო

გუშინ ბერლინის პირთამდე სავსე „ოლიმპიაშტადიონზე“ **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“ ამხანაგური მატჩი მადრიდის „რეალთან“ გამართა და 1:3 წააგო. ამ შეხვედრაში ჩვენი თანამემამულე **მარკუს ბაბელმა** 59-ე წუთამდე ათამაშა, შემდეგ კი **ნოიმანით** შეცვალა. როცა ქართველი ლეგიონერი მოედნიდან გადიოდა, ანგარიში უკვე 1:3 იყო, თუმცა მას „რეალის“ რომელიმე გოლში ვერ დავადანაშაულებთ. თავიდან, მე-18 წუთზე, ბერლინელებმა გახსნეს ანგარიში, როცა **ებერტმა კასილიასს** გაუტანა. 29-ე წუთზე **კრიშტიანო რონალდომ** საჯარიმო დარტყმა დიდებულად შეასრულა და **ტომას კრაფტს** „ცხრიანში“ გაუტანა. 33-ე წუთზე ცენტრფორვარდად გამწესებულმა **ბენზემამ კალეხონის** პასი მიიღო და მცველთან ჭიდილში ერთი შეხებით გაგზავნა ბურთი გერმანელთა კარში. მეორე ტაიმი სულ ერთი წუთის დაწყებული იყო, როცა **კაკამ** მეტოქის მცველების უყურადღებობით ისარგებლა და ბენზემას დუბლი შეასრულებინა. სხვათა შორის, ჩვენი თანამემამულე მედიის ყურადღების ცენტრში თამაშამდეც მოექცა, როცა მან გერმანული და ესპანელი ჟურნალისტების კითხვებზე უპასუხა. უპირველესად მათ ლევანის აზრი აინტერესებდათ **მესუთ იოზილზე**, რომელიც 2006-დან 2008 წლამდე ქართველთან ერთად „შალკეში“ გამოდიოდა. ჩვენებურმა იოზილს „დიდი ფეხბურთელი“ უწოდა.

„რეალმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კასილიასი (61. ადანი), არბელოა (46. ვარანი), პეპე (61. ალბიოლი), რიკარდო კარვალიო, მარსელო (73. ნაჩო), ჩაბი ალონსო, კოენტრაო (46. ხედირა), კალეხონი (61. კაკა), იოზილი (81. ხესე), რონალდო (85. კასადო), ბენზემა (81. ხოსელუ).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლევან კობიაშვილი

# ჩვენ და ფრანგები



როჟე მილა

« მე-3 გვერდიდან

ხუთწლიანი პაუზის მერე ისევ გვესტუმრა ფრანგული კლუბი: ამჯერადაც „ინტერტოტოს თასზე“ და ამჯერადაც არაფრით გამორჩეული გუნდი; თუმცა, „ტრუამ“ უპრობლემოდ შეძლო „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება და ერთადერთ „ნუგეშად“ ისლა დაგვრჩა, განმეორებით შეხვედრაში **ლევან მელქაძემ** ფრანგების კარში გოლი რომ გაიტანა! ჰო, მართლაც „ნუგეშია“ - 2001 წლის მერე ფრანგული გუნდების კარში გოლი ველარ გაგვიტანია და „ლანსი“ იქნებოდა თუ „სოშო“, ქართულ გუნდებს „მშრალად“ ამარცხებდნენ...

ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმ პერიოდს ეხება, ჩვენი გუნდები დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის სახელით რომ ასპარეზობდნენ ევროტურნირებზე. აი, მანამდე კი ერთხელ იყო ქართულ-ფრანგული გუნდების დაპირისპირება და ისიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. ძველი ამბავია, მაგრამ ტკბილად მოსაგონარი: 1981 წლის შემოდგომაზე, თასების მფლობელთა თასის 1/8 ფინალში თბილისის „დინამომ“ გათამაშებიდან ფრანგული „ბასტია“ გამოთიშა! პირველი მატჩი კუნძულ კორსიკაზე გაიმართა და ფრედ, 1:1 დამთავრდა; აღსანიშნავია, რომ იმ მატჩში გოლები მართლაც ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: **როჟე მილამ** და **ვლადიმერ გუცაევმა!** განმეორებით შეხვედრაში „დინამოს“ უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და მეოთხედფინალშიც ჩვენი გუნდი გავიდა — ის მატჩი 3:1 მოვიგეთ. კორსიკელთა გუნდის კარში ორი გოლი **რამაზ შენგელიამ** გაიტანა, ერთიც **თენგიზ სულაქველიძემ**, ასევე მართლაც ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა...

დაბოლოს, კიდევ ერთ ქართულ-ფრანგულ დაპირისპირებაზეც; ოღონდ ეს უკვე საკლუბო დონეს არ ეხება: საქართველოს ნაკრები ორჯერ შეხვდა საფრანგეთს და ორივეჯერ „მშრალად“ დამარცხდა; არადა, ჩვენი გუნდის იმდროინდელმა მწვრთნელმა **კლაუს ტოპმიოლერმა** თბილისში სუპერშემტევი ტაქტიკა აირჩია და... თამაშიც, ფაქტობრივად, საწყის 17 წუთში წავაგეთ; სამაგიეროდ, ოსერში ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში 7 (!) ნომინალური მცველი და ერთიც „ჩამშლელი“ ნახევარმცველი გამოიყვანა და „საპატიოზე-საპატიო“ ანგარიშით (0:1) წავაგეთ...

**ინტერტოტოს თასი**

**კოლხეთი (ფოთი)–გენგამი 1:3**

13.07.1996. ფოთი. „ფაზისი“.

**0:1 კარნო (23), 0:2, 0:3 ორლავილი (61, 65) 1:3 ამბიძე (74)**

კოლხეთი: **გოგუა-ქუნთელია (75. ღალანიძე), ქობულაძე, შ. ხუჯაძე, თიბილაშვილი-ნ. მიქაბერიძე (46. ბულუხია), ტორჩინავა (69. ინიაშვილი), სოლოღაშვილი, გახოკიძე-ბ. ამბიძე-გაბისონია**

გაფრთხილება: **ბარე, ორლავილი**

არბიტრი: **ვ. ბუტენკო (რუსეთი)**

**ინტერტოტოს თასი. II ეტაპი**

**ტრუა–ვიტ ჯორჯია (თბილისი) 6:0**

**1:0 მენირი (16), 2:0, 3:0 ბუტალი (29, 38), 4:0 გუზი (48), 5:0 ჯუკიჩი (60), ბუტალი (68),**

ვიტ ჯორჯია: **მერლანი-საჯაია (73. ბეროშვილი), ინწკირველი, ჭანკოტაძე, არეშიძე (46. ფეიქრიშვილი)-ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გ. ყიფიანი, დ. დოლიძე (46. სულთანიშვილი)-ადამია, ლ. მელქაძე**

**ვიტ ჯორჯია–ტრუა 1:1**

08.07.2001. თბილისი. ეროვნული. 3000 მაყურებელი

**0:1 გუსე (81), 1:1 მელქაძე (89)**

ვიტ ჯორჯია: **მერლანი-არეშიძე, ჭანკოტაძე, ინწკირველი, დ. დოლიძე (56. საჯაია)-ლ. ნოზაძე (67. ფეიქრიშვილი), გოგობერიშვილი, დილმელაშვილი, გ. ყიფიანი-ადამიანი (58. ზ. მეტრეველი), ლ. მელქაძე.**

გაფრთხილება: **ყიფიანი; მენირი**

არბიტრი: **დ. დიმიტროვი (ბულგარეთი)**

**უეფას თასი**

I საკვალიფიკაციო ეტაპი

**ლანსი–ტორპედო (ქუთაისი) 3:0**

14.08.2003. „ჟან-ფილიპ ბოლერი“. 26 000 მაყურებელი

**1:0 უტაკა (70), 2:0 დიოპი (72), 3:0 უტაკა (83)**

ტორპედო: **სტურუა-ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა-ახალკაცი, გამეზარდაშვილი, გ. ყიფიანი, ბაბუნაშვილი-პოროშინი (41. ნერგაძე), მუშკუდიანი**

გაფრთხილება: **დიოპი; გამეზარდაშვილი**

არბიტრი: **დ. დრაბეკი (ავსტრია)**

**ტორპედო–ლანსი 0:2**

28.08.2003. ქუთაისი. „ტორპედო“. 8000 მაყურებელი

**0:1, 0:2 ბაკარი (35, 41)**

ტორპედო: **სტურუა-ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა-ახალკაცი (86. ბაბუნაშვილი), კვეტენაძე (65. კვერნაძე), გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი-გ. ყიფიანი-ქუთათელაძე (65. ლაღაძე)**

გაფრთხილება: **რული**

არბიტრი: **ფ. ბედე (უნგრეთი)**

**უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი**

**დინამო (თბილისი)–სოშო 0:2**

21.10.2004. თბილისი „ლოკომოტივი“.
20000 მაყურებელი

**0:1 ილანი (18), 0:2 პაისლი (38)**

დინამო: **მამალაძე-შ. კაშია (73. ალადაშვილი), სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, შაშიაშვილი-კანდელაკი, ნემსაძე-კაკალაძე, რომერო (83. დვალი), ახალაია-ლ. მელქაძე**

არბიტრი: **შ. მესნერი (ავსტრია)**

**გია ტუხაშვილი**

# ჩვენ და ისლანდია

« მე-3 გვერდიდან

## მწარედ მოსაგონარი

„რეიკიავიკი“ და „დინამო“ დღეიდან დაუდებენ სათავეს ოფიციალურ დონეზე ისლანდიურ-ქართულ „საფეხბურთო ურთიერთობას“; თუმცა, თითქმის იგივე სიტუაციაა სანაკრებო დონეზეც: ამ ორი ქვეყნის გუნდებს ერთმანეთში მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვთ ჩატარებული! თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ტკბილად მოსაგონარი თუ გასახსენებელი არც არაფერია: ის ერთადერთი დაპირისპირებაც ისლანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა...

ორი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებთ, როცა რეიკიავიკის „ლაუგაარდასვიოლურის“ სტადიონზე (სწორედ ამ სარბიელზე იასპარეზებს ამ საღამოს „დინამო“) ისლანდიის ნაკრებმა საქართველოს ნაკრებს დამაჯერებლად მოუგო (3:1). იმის თქმა, რომ ჩვენი გუნდი ისლანდიაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდაო, რბილად ნათქვამი იქნება — საქართველოს ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა **ექტორ რაულ კუპერმა** კუნძულზე ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა! თავად განსაჯეთ: სხვადასხვა (ობიექტური თუ სუბიექტური, გასამართლებელი თუ დღემდე ყველასათვის უცნობი) მიზეზის გამო, საქართველოს ნაკრებს **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ყენია, ჯანო ანანიძე, გიორგი ლომაია** აკლდნენ; აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ ექტორ კუპერი ჯიუტად უკეთებდა იგნორირებას **მალხაზ ასათიანსა** და რუსეთში მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებს (**ლაშა სალუქვაძეს, დავით კვირკველიას, გოგიტა გოგუას, ალექსანდრე ამისულაშვილს, ნუკრი რევიშვილს**). არანაკლებ შეურაცხმყოფელი იყო თითოეული ქართველი ქომაგისათვის ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრები ისლანდიაში... 14 ფეხბურთელით გაემგზავრა! ჰოდა, აქედან გამომდინარე, რა გასაკვირვი უნდა ყოფილიყო ისლანდიელთა დამაჯერებელი გამარჯვებაც? სხვათა შორის, ამ წაგებამ კუპერის „აქედან წასვლა“ კიდევ უფრო დააჩქარა: საქართველოს ნაკრებმა ისლანდიასთან მარცხის მერე ორი ოფიციალური შეხვედრაც წააგო (ჩერნოგორიასთან და ბულგარეთთან) და 2009 წლის ბოლოს არგენტინელ მწვრთნელს დავემშვიდობეთ!..

**გია ტუხაშვილი**

**ამხანაგური მატჩი**

**ისლანდია–საქართველო 3:1**

9.09.2009. რეიკიავიკი. „ლაუგარდას-ვიოლური“.
4700 მაყურებელი

**1:0 იოჰანსონი (13), 2:0 სკულასონი (17), 2:1 დვალიშვილი (33), 3:1 გუნარსონი (55)**

ისლანდია: **გუნლეიფსონი, ეირიკსონი (46. ჰალმსონი), სკულასონი (84. ბ. სიგურდსონი), ი. სიგურდსონი, ო. სიგურდსონი, სტეინსონი (35. სავარსონი), დანიელსონი, გისლასონი (84. ვიდარსონი), იოჰანსონი (75. ბიორნსონი), გუნარსონი, ჰალფრედსონი (84. ტაკეფუსა).**

საქართველო: მამალაძე-თ. ლონლაძე (73. უ. ლობჟანიძე), გ. კაშია, ა. კვახაძე, გ. ფოფხაძე- ცქიტიშვილი (66. ხმალაძე), რაზმაძე-სეთურიძე, დევდარიანი, გელაშვილი-დვალიშვილი

გაფრთხილება: გუნარსონი; თ ლონლაძე

არბიტრი: მ. ტრეფოლინი (იტალია)

● ბრაზილია 2014. მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის წინ

# ევროპელთა რეგრესი და ლათინთა პროგრესი

ფიფასა და "კოკა კოლას" ერთობლივ რეიტინგში, რომლის განახლებული ვარიანტიც გუშინ გამოქვეყნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთი საფეხურითაა დაქვეითებული და 57-ე ადგილზეა. რაკი ივლისში ევროპულ ნაკრებებს არ უთამაშიათ, მათი თანმიმდევრობა არ დარღვეულა და უცვლელი დარჩა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საწილისყრო კალათების შემადგენლობა. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები, რომლის ბრაზილიური მუნდიალის საკვალიფიკაციო ციკლის მეტოქეები ზეგ გაირკვევა, მეოთხე კალათაშია. მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის თემას უფრო ვრცლად ზეგინდელ ნომერში შევეხებით და კალათების შემადგენლობასაც შეგახსენებთ, ახლა კი რეიტინგს მივუბრუნდეთ.

ზაფხულის ყველაზე საინტერესო სანაკრებო მოვლენა კოპა ამერიკა იყო და ფიფას რეიტინგში ყველაზე მეტი ცვლილება სწორედ ამ ტურნირმა შეიტანა. კოპას ტრიუმფატორ ურუგვაის გამარჯვება დაუფასდა, ერთბაშად 13 ადგილით დაწინაურდა და დღეს მსოფლიოში მე-5 ნაკრებია. სოლიდურ პროგრესს მიაღწია კოპა ამერიკას კიდევ რამდენიმე მონაწილემ – ჩილე 27-დან მე-11 საფეხურამდე აღზევდა, პერუ - 49-დან 25-ამდე, კოლუმბია - 54-დან 35-ეზე, ხოლო ვენესუელამ 29-ადგილიანი ნახტომი გააკეთა და მე-40 პოზიციაზეა. კოპაზე განცდილი კრახი ძვირად დაუჯდა მექსიკას, რომელიც მე-9-დან მე-20 ადგილამდე დაეშვა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მეტოქეებს ევრო 2010-ის შესარჩევ ტურნირში, ხორვატია მე-8-დან მე-9 პოზიციამდე ჩამოქვეითდა, საბერძნეთი მე-12-დან მე-13-ეზე დაეშვა, ისრაელი 30-დან 32-ეზე ჩავიდა, ლატვიამ ერთი საფეხურით უკან დაიხია და 83-ეა, მალტის მდგომარეობა კი 12 პოზიციით გაუარესდა და კუნძულელები დღეს 173-ეები არიან.

რეიტინგის საუკეთესო სამეული უცვლელი დარჩა, ბრაზილიამ კი კოპა ამერიკაზე განცდილი ფიასკოს მიუხედავად, მდგომარეობა ერთი პუნქტით გაიუმჯობესა.

საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება: **1. ესპანეთი, 2. ჰოლანდია, 3. გერმანია, 4. ბრაზილია, 5. ურუგვაი, 6. ინგლისი, 7. პორტუგალია, 8. იტალია, 9. ხორვატია, 10. არგენტინა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**



● საქართველოს ჩემპიონატი

# კალენდარს მხოლოდ ევრონარმატებები შეცვლის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა, იმსჯელეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი და სხვა ლიგების დებულებებსა და კალენდრების თაობაზე.

ამ საკითხებზე ვრცლად ილაპარაკა სფფ–ის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელმა **რევაზ შენგელიამ**.

ითქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში მცირე ცვლილებები იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ევროთასებზე მოასპარეზე ქართული კლუბები უფრო შორს წავლენ და ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპებზე მოხვდებიან.

აღმასკომმა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უძღვებოდა, ცვლილებები, დებულებები და კალენდრები ერთხმად დაამტკიცა, გარდა ამისა, გარკვეული ცვლილებები შეიტანა სადისციპლინო კოდექსში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი

# უმაღლესლიგელები დაზავდნენ

ურეკში ერთმანეთს ზუგდიდის "ბაია" და გორის "დილა" გაეჯიბრნენ და ფრედ, 1:1 ითამაშეს. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ანგარიში ზუგდიდელმა **ირაკლი ეხვაიამ** გახსნა, გორელთაგან კი თავი **რომან ახალკაცმა** გამოიჩინა.

ბაია: **ჯომიდავა, ვეკუა, აფაქიძე, ნ. შონია, ქვარცხავა, რიგვავა, გუგუჩია, წურწუმია, სიხარულია, ეხვაია, კუკავა;**

შეცვლაზე შევიდნენ: **სვირავა, გერგედავა, პაჭკორია, ფაცაცია, ფარჯიკია, ენდელაძე, ახვლედიანი, ჯიშკარიანი.**

დილა: **მერლანი, ქარქუზაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. ლომიძე, შათირიშვილი, ჯოჯუა, ნ. ნოზაძე, პ. ხორგუაშვილი, გოგინაშვილი, ახალკაცი, დ. ჩაგელიშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ჭითანავა, ქიტიაშვილი, ცნობილაძე, სადაღაშვილი, ნემსაძე, რაჟამაშვილი.**

აზერბაიჯანის ქალაქ გაბალას ოთხთა ტურნირზე კი ცხინვალის "სპარტაკთან" ერთად "დილაც" გაემგზავრება. ქართველთა გარდა იქ "გაბალა" და "განჯა" იასპარეზებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი



# ჩირიკაშვილს კაპაროსი გაწვრთნის

შვეიცარიული "ქსამაქსის" მთავარ მწვრთნელად ცნობილი ესპანელი სპეციალისტი **ხოაკინ კაპაროსი** დანიშნეს. უკვე გაუწყეთ, რომ შვეიცარიის ჩემპიონატის საწყის ორ ტურში განცდილი მარცხის გამო კლუბის მეპატრონე **ბულატ ჩაგაევმა ფრანსუა ჩიკოლინი** დაითხოვა.

კაპაროსი ბოლო წლებში ბილბაოს "ატლეტიკს" წვრთნიდა, "ქსამაქსში" კი, შეგახსენებთ, სულ ცოტა ხნის წინ **ირაკლი ჩირიკაშვილი** გადავიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● წერილი რედაქციას!

# მაინც, რა დააშავა გორდამ?

„ირტიშთან“ საფეხბურთო მატჩის შემდეგ ბატონმა **თორნიკე მაისურაძემ** თქვენი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნა: „ვისიამოვნე, სტადიონი „რუსთავი-რუსთავი“-ს რომ ყვიროდაო.

ძალიან კარგი, მაგრამ... გუნდს ხომ დღეს... „მეტალურგი“ ჰქვია. იმავე რუსთავში ანალოგიური რამ ხდებოდა საამაყო სახელის მატარებელი კალათბურთელთა კოლექტივის ქომაგობისას. რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა აზრად „აზოტი“-„აზოტი“-ს სკანდირება?! ვინმეს თუ წარმოუდგენია „რეალის“ მაგივრად ქომაგი გაჰყვიროდეს მადრიდს ან „ბაიერნის“ მაგივრად მიუნხენს.

*P.S. ერთადერთი შანსი, იმისა, რომ ქომაგებმა კლუბის სახელი შემოსძახონ, არის ძველი, მსოფლიო მასშტაბის სახელის - „გორდას“ აღდგენა.*

პატივისცემით
ალექსანდრე ულენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ იუნაიტედი

# მოსაწყენი ბერბატოვი


დიმიტარ ბერბატოვის მაკრატელა

„მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელ თავდამსხმელს, 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვს** კრიტიკოსები ბრალად სდებენ, რომ მოსაწყენი სტილის ფეხბურთელია. ბერბატოვის პასუხი არ გაინტერესებთ? ჩემს მოსაწყენ სტილს თავს არასდროს დავანებებო.

ბულგარელის თამაშს ბევრმა გულშემატკივარმა კითხვის ნიშანი მას მერე დაუსვა, რაც **უეინ რუნისა** და **ხავიერ ერნანდესის** სანახაობრივმა ყაიდამ მოხიბლა. ბერბას „იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად მართლაც სერიოზული მუშაობა დასჭირდება, თუმცა ის იხტიბარს არ იტეხს:

*„არ გეგონოთ, რომ ახალ სეზონში ძირითადად მოედნის გარშემო მოძუნძულეს მნახავთ. ჩვენთან, ბულგარეთში ამბობენ, რომ დიდ ნიჭს დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. ეს ჩემი დევიზია და ჩემი სტილიც ასეთია. „მანჩესტერ იუნაიტედში" სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ მომახვედრა. გასული სეზონიც ნათელი დასტური იყო იმისა, რომ შესაძლოა კარიერაში ცუდი პერიოდი დაგიდგეს, მაგრამ თუ საკუთარი თავისა და სტილის გწამს, წარმატებას მაინც მიაღწევ".*

ბერბატოვი დარწმუნებულია, რომ „იუნაიტედის" ფანების გასახარად ბევრი მშვენიერი რამ გაუკეთებია და მომავალშიც გააკეთებს. როგორ უნდა „ოლდ ტრეფორდზე" რომ დაიმახსოვრონ?

*„მინდა ფანების მეხსიერებას შემოვრჩე, როგორც კარგი ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე ბევრ საინტერესო რამეს აკეთებდა და ტრიბუნებს ახარებდა. მართალი გითხრათ, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ლამაზი გოლები გამქონდა. ვფიქრობ, თანაგუნდელებსაც ეფექტურად ვუქმნი ხელსაყრელ სიტუაციებს. ამას ნებისმიერი ფეხბურთელი დაგიდასტურებთ. მოკლედ, ერთხელ უკვე გითხარით, რომ მოედნის გარშემო მოძუნძულეს ვერასდროს მნახავთ".*

კიდევ ერთი თავისებურება: ბერბატოვს ემოციას ვერ შეატყობთ. გოლს გაიტანს? შეხედავთ და ვერც კი მიხვდებით, რომ კაცი, რომელმაც წამების წინ ბურთი მეტოქის კარში შეაგდო, ის იყო. აბა, რუნი... ინგლისელს ყველაფერი სახეზე ეტყობა, ხშირად ისეთიც, რაც ჯობდა დამალული ყოფილიყო.

*„საქმე ის არის, რომ ძალიან ამაყი ადამიანი ვარ — განმარტავს ბერბატოვი — ხალხს ჩემს სისუსტეს და ჩემს ემოციას არ ვაჩვენებ. ალბათ, მაყურებელი ამის გამო, ხანდახან, სწორედ ვერც აფასებს ჩემს საქციელს, მაგრამ არა უშავს. ეს ასეც უნდა იყოს".*

გულში კი, რასაკვირველია, ამ დროს დიდი ორომტრიალია. გასულ სეზონში ბულგარელს სწორედ მოზღვავებული ემოციის გაძლება მოუხდა. აბა, როგორია: მან „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" 20 გოლი გაიტანა, პრემიერლიგის სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა („სიტის" **კარლოს ტევესთან** ერთად), მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ბარსელონას" წინააღმდეგ განაცხადშიც კი არ შეიყვანეს.

*„ძველის გახსენება აღარ მინდა. რაღა აზრი აქვს ერთსა და იმავეზე ლაპარაკს? ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ. გასულ სეზონზე კი იმას გეტყვით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" მე-19 ტიტული მოიგო, რაშიც მე 20 გოლით მივიღე მონაწილეობა და ეს ძალიან საამაყოა. მოკლედ, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. პატარა ქვეყნის შვილი გახლავართ, რომელიც ყოველთვის დიდ წარმატებებზე ოცნებობდა და ბევრსაც მიღწია".*

ზემოთ „ბარსელონასთან" თამაში ვახსენეთ. დიახ, ბერბატოვი ამ შეხვედრაში არ ათამაშეს, მაგრამ გაიხსენეთ, სეზონი როგორ იწყებოდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ლივერპულს" 3:2 მოუგო და სამივე გოლი ბერბატოვმა შეაგდო, აქედან მეორე ულამაზესი მაკრატელა დარტყმით. ამ დღემდე მანჩესტერელ ფეხბურთელს მერსისაიდელთა კარში ჰეთ-თრიკი 64 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შესრულებული.

*„ვერც კი წარმოიდგენთ, ჩემი სამი გოლი „ლივერპულის" კარში რამდენს ნიშნავდა ძალიან ბევრი ადამიანისთვის. ჩემთვის ის შეხვედრა, მორიგი მატჩი იყო. 1:0 რომ დამთავრებულიყო და მარტო ერთი გოლი გამეტანა, ძალიან კმაყოფილი დავრჩებოდი, მაგრამ სამი გოლი, რომელთაგან ერთი ძალიან ლამაზი იყო, სამუდამოდ დამამახსოვრდება. იცით, ხალხი რომ მხვდება, დღემდე იმ გოლზე მეკითხება. ეს დიდებულია. იცით, რამდენი ადამიანი ოცნებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შვილიშვილებს მოუყვება, რომ ახალგაზრდობაში ფეხბურთს თამაშობდა და კარგი ფეხბურთელიც იყო. მეც მათ რიცხვში ვარ, თუმცა... „ლივერპულს" კარში შემდეგი ჰეთ-თრიკის შეგდებას კიდევ 64 წელიწადი ალბათ, აღარ დასჭირდება".*

იყო პერიოდი, როდესაც ბერბატოვმა 10 თამაშის განმავლობაში ველარ გაიტანა, მაგრამ აი, დადგა „ბლექბერნთან" შეხვედრის დღე და... ერთბაშად ხუთი შეაგდო. „იუნაიტედმა" 7:1 გაიმარჯვა. პრემიერლიგაში, მანამდე, ერთ შეხვედრაში ხუთი გოლი მხოლოდ **ალან შირერს**, **ენდი კოულს** და **ჯერმაინ დეფოს** ჰქონდათ გატანილი.

*„იმ დღეს მეორე რომ გავიტანე, გავიფიქრე, საქმე ისე მიდის, შეიძლება კიდევ ერთი ჰეთ-თრიკი შევასრულო-მეთქი, მაგრამ ხუთი? მეხუთეზე, მეოთხეს შემდეგ დავიწყე ფიქრი. არადა, ხალხი იცით, რას მეკითხება? მეექვსე რატომ არ გაიტანე, ერთადერთი იქნებოდი ვინც პრემიერლიგაში ეს შეძლოო. რა გითხრათ. არც კი ვიცოდი... ასეთ რაღაცებს არასდროს ვკითხულობ".*

დაბოლოს, ბერბატოვის კონტრაქტის ამოწურვამდე წელიწადია დარჩენილი. სად წავა ბულგარელი მერე?

*„მე კარიერაში ყოველთვის წინ ვდგამდი ნაბიჯებს. ახლა მწვერვალზე ვარ. სად უნდა წავიდე ისეთ ადგილას, „მანჩესტერ იუნაიტედზე" მაღლა რომ იდგეს? „ბარსელონაში"? აქედან სადმე წასვლა უკვე უკუსვლაა".*

● ჩელსი

# გავიტან, აბა, რას ვიზამ?

„ჩელსის" 27 წლის ესპანელი თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი** ამბობს, რომ არ დავიწყნია, როგორ უნდა გოლის გატანა. „სტემფორდ ბრიჯზე" „ლივერპულიდან" 50 მილიონ ფუნტად გადასული ფორვარდი კრიტიკოსებმა დალალეს, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ეჭვის გამოთქმის სრული დაფუძველი აქვთ.

„ჩელსი", მოგეხსენებათ, ჰონკონგშია, სადაც ტორესს ჟურნალისტებმა კითხვები დააყარეს.

*„ჯერ 27 წლის ვარ და კიდევ ბევრ გოლს გავიტან. არ დამვიწყნია, როგორ უნდა მოწინააღმდეგის კარში გოლის შეგდება. წელიწადის ამ დროისთვის მეც, ჩემი თანაგუნდელების მსგავსად, ნორმალურ ფორმაში ვარ. ჩვენ ყველანი ვცდილობთ სეზონის დაწყებას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. უკვე ექვსი თვეა, რაც „ჩელსის" ფეხბურთელი ვარ და ვხედავ, რომ მოთამაშეები მოგებისთვის მზად არიან. აქ ყველას გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. წინ ხანგრძლივი სეზონი გველის. გუნდში თავს კომფორტულად ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, ჯილდოს გარეშე არ დავრჩებით".*

ტორესს შეახსენეს, რომ ბოლო დროს გაზეთები მის შესახებ ცუდს წერენ.

*„პრობლემა არ არის. თქვენ, ჟურნალისტები, თქვენს საქმეს აკეთებთ".*


ფერნანდო ტორესი

საინტერესოა, რომ ეს ტორესის პირველი საჯარო გამოსვლა იყო მას მერე, რაც იანვარში, „ჩელსიში" გადასვლასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. შეგახსენებთ, რომ ვარსკვლავმა, რომელსაც კვირაში 180 ათას ფუნტს უხდიან, „ლურჯების" შემადგენლობაში, 18 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც წყალწაღებული „ვესტ ჰემის" კარში. ტორესის შესახებ ლაპარაკი ახალი ძალით ამ ზაფხულშიც წამოიწყეს. მიზეზი: აზიაში, სეზონისწინა შეკრებაზე, ესპანელმა ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გოლი ვერ შეაგდო.

მავანმა ჰონკონგელმა ჟურნალისტმა ტორესი უკრაინელ ვარსკვლავ **ანდრეი შევჩენკოს** შეადარა. შევჩენკო „მილანიდან" „ჩელსიში" გადასვლის შემდეგ კალაპოტიდან ამოვარდა და მას მერე დიდ სიმაღლეებზე აღარც დაბრუნებულა.

„ჩელსის" კაპიტანმა, **ჯონ ტერიმ** თავისი თავდამსხმელი დაიცვა:

*„ნანდოს უსამართლოდ ეპყრობიან. მას არასდროს დაუმალავს, რომ შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებულმა ტრავმამ უკვალოდ არ ჩაიარა. როდესაც ის „ჩელსიში" გადმოდიოდა, ამის შესახებ ყველამ კარგად ვიცოდით. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და ერთი სული აქვს პრემიერლიგაში გოლების გატანა კვლავ დაიწყოს. მას ინგლისის ჩემპიონობა უნდა და ჩვენთან ამიტომ გადმოვიდა. „ლივერპულთან" ერთად ის ამას ვერ ახერხებდა".*

● ნიუკასლი

# კაჭკაჭები დეფოს თავს



ჯერმეინ დეფო

„ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელ **ალან პერდიუს** აზრად „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" 28 წლის **ჯერმაინ დეფოს** ყიდვა მოუვიდა. უფრო ზუსტად, საქმე ასეა: თუ პერდიუ 24 წლის თურქ **მევლუთ ერდინჩს** ვერ იყიდის, მაშინ დეფოზე გადაერთვება.

„კაჭკაჭები" ამერიკაში იყვნენ, საიდანაც დღეს ბრუნდებიან და პერდიუც, უპირველეს ყოვლისა, „პარი სენ ჟერმენიდან" ერდინჩის 7 მილიონ ფუნტად (7,9 მილიონი ევრო) ყიდვის საქმეს მიხედავს. „ნიუკასლის" მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ფეხბურთელის აგენტებს ბოლოს და ბოლოს მოტეხავს, მაგრამ თუ ისინი ძველებურ „თამაშს" განაგრძობენ, მაშინ პერდიუ ზურგს შეაქცევს და „დეზების" ბოლო ხანს დაწუნებულ თავდამსხმელს შეიძენს. „სფურზის" მწვრთნელი **ჰარი რედნაპი**, რომელსაც თავისი გუნდის თავდასხმის გადახალისება სურს, დეფოს 10 მილიონ ფუნტად აფასებს. პერდიომ ჯერ კიდევ გუშინ, ოჰაიოში ყოფნისას განაცხადა:

*„არ მინდა ვინმეს რამეს დავპირდე, რადგან პირობის დადება მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ახალ თავდამსხმელს დავიმატებთ. ბოლო დროს ჩვენი თამაშის სანახავად უამრავი ადამიანი მოვიდა და ყველამ ერთი და იგივე იკითხა: კი მაგრამ, გუნდს თავდამსხმელი არ უნდა ჰყავდეს? მინდა გითხრათ, რომ ფანები აბსოლუტურ სიმართლეს ამბობენ. მეც იმავეს ვამბობ, „ნიუკასლს" კარგი თავდამსხმელი სჭირდება".*

ადრე პერდიუს იმავე „ტოტენჰემიდან" **პიტერ კრაუჩის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ 30 წლის ვეტერანში 9 მილიონი ფუნტის გადახდა მეტისმეტი იქნებოდა. მეორე მხრივ კი „კაჭკაჭებს" ფული აქვთ. მათ ხომ იანვარში „ლივერპულს" 35 მილიონ ფუნტად **ენდი ქეროლი** მიჰყიდეს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც „კაჭკაჭებს" მიზანში ჰყავთ ამოღებული, „ასტონ ვილას" მარცხენა მცველი **სტივენ უორნოკია**. უორნოკი 29 წლისაა და მის ყიდვას პერდიუ იმიტომ აპირებს, რომ ესპანელი **ხოსე ენრიკე** „აჯანყდა" და „სენტ ჯეიმს პარკიდან" წასვლას აპირებს.

● ვესტ ჰემი

# აღარ მიგყავთ პარკერი?

**სემ ელერდაისმა ჰარი რედნაპს** შეუთვალა, **სკოტ პარკერის** ყიდვა თუ გინდა, სჯობს ნულარ გადადებ და ფულს დროულად გამოდიო. საქმე ის გახლავთ, რომ „ტოტენჰემის" მწვრთნელს სატრანსფერო საქმეების ბოლო დღემდე გაჭიანურება უყვარს, ჩემპიონშიპში გავარდნილი „ჩაქუჩების" თავკაცს კი ეს ხელს არ აძლევს.

ელერდაისმა თქვა: *„ბოლოს გვიან იქნება. თუ ჰარის ან ვინმეს „ტოტენჰემიდან" პარკერის თაობაზე დალაპარაკება უნდა, დროზე ქნას. გიმეორებთ, ძალიან არ დააყოვნოთ, თორემ ფეხბურთელს ველარ იყიდით".*

სკოტ პარკერი 30 წლის ნახევარმცველია.


სკოტ პარკერი

● ბლექბერნი

# ჩვენ ლიგაში ვითამაშებთ

„ბლექბერნი" პრემიერლიგიდან გავარდნას ბოლო ტურში გადაურჩა, მაგრამ ეს მწვრთნელ **სტივ კინს** თამამი განცხადებების გაკეთებაში ხელს არ უშლის. კინმა ბრძანა, რომ მისი ხელმძღვანელობით „ბლექბერნი" ოთხ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.


სტივ კინი

რა არის საჭირო იმისათვის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს? ძლიერი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდი. და როგორ არის ამ მხრივ „ბლექბერნის" საქმე? მას მცველი, 19 წლის **ფილ ჯონსი** „მანჩესტერ იუნაიტედში" გაექცა. კინი ამბობს, რომ ყმაწვილი ვერაფრით შეაჩერა. „ბლექბერნმა" ჯონსის სანაცვლოდ 16,5 მილიონი ფუნტი მიიღო.

*„ფილი გამოცდილი ფეხბურთელი ნამდვილად არ არის, მას ჩვენთან ჯერ ძალიან ცოტა ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავისთან გადასვლა შესთავაზა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში უხსენა, ის გაიქცა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ამ სიმაღლეზე არ ვართ. იმედი მაქვს, რომ სამ-ოთხ წელიწადში „ბლექბერნიც" ითამაშებს ლიგაში. ვცდილობ, საქმე სწორედ აქეთკენ წავიყვანო. რასაკვირველია, რეალიზმს არ ვკარგავ და არ ვაცხადებ, რომ ამას გაისადვე მოვახერხებთ. იმ პოზიციიდან, რომელზეც დღეს ვიმყოფებით, პრემიერლიგის ოთხეულამდე შორია, მაგრამ გეზი სწორედ იქითკენ გვაქვს".*

შემდეგ კინმა განაცხადა, რომ ამ ზაფხულში 27 წლის ცენტრალურ მცველ **კრის სამბას** არ გაყიდის.

*„კრისმა ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს ხელი ორი თვის წინ მოაწერა. ესეც არ იყოს, მის შესახებ არავინ დამკავშირებია. თუ ვინმე რამეს ამბობს, ჭორია".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ლუის სესარ მენოტი

# ცხოვრება ხანგრძლივი და მოსაწყენი

**ლეგენდარულმა მწვრთნელმა ლუის სესარ მენოტიმ ესპანურ "ელ პაისს" ინტერვიუ მისცა, სადაც ბევრ საინტერესო ამბავზე ილაპარაკა. მან ერთმანეთს შეადარა ხოსეპ გვარდიოლა და ჟოზე მოურინიო, რაც დაგვეთანხმებით, რომ აქტუალური თემაა და ილაპარაკა ასევე თავის ჯანმრთელობაზეც. მან ექიმებს სერიოზული ბრალდება წაუყენა. მაშ ასე... თქვენ წინაშეა მწვრთნელი, ვინც მსოფლიოში ყველაზე ახირებული მწეველიდან ერთ დღეში "დამჯერ" არამწეველად იქცა.**


ლუის სესარ მენოტიმ მეგობრის გარეშე ძალიან მოიწყინა

– ამას წინათ ჩემი მეგობარი ესპანეთში გაემგზავრა, მადრიდში ის მოურინიოს ვარჯიშს დააკვირდა. შემდეგ კი პეპ გვარდიოლას მიერ ჩატარებულ მეცადინეობასაც დაესწრო. მან მითხრა, რომ ეს ვარჯიშები პრაქტიკულად ერთნაირია. პრინციპში ისინი სტილით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. აი, მინდორზე კი, მაშინ, როცა "ჭეშმარიტების საათი" დგება, მათ საერთო უკვე აღარაფერი აქვთ. ისეთები, როგორიც მოურინიოა, ძალიან ბევრია, გვარდიოლა კი ერთადერთია. "ბარსელონამ" და ესპანეთის ნაკრებმა ფეხბურთში დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. ლუის არაგონესმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ჯობია ტორერო გახდე, ვიდრე ხარი.

პეპს მოურინიოსთან ერთი უპირატესობა აქვს – მისი წარსული. გვარდიოლას გონებაში არის ის დეტალები, რაც მას წარსულშიც ეხმარებოდა და ახლაც ასე ხდება, ხოლო ვისაც ეს წარსული არ აქვს, მისი დღევანდელობაც ცარიელი ფურცელია. მადრიდელები ყიდულობენ და ყიდულობენ საუკეთესო ფეხბურთელებს. ბოლოს შეიძლება ისე მოხდეს, რომ ყველა საუკეთესო მართლა შეკრიბონ. მათ შეეძლებათ სუპერკლასიკოს მოგება, მაგრამ ის 5:0 "კამპ ნოუზე" ყველას სამუდამოდ დაახსომდება. ხანდახან მეჩვენება, რომ ცხოვრებაში ასეთი თამაში არასოდეს მინახავს. ამ შეხვედრამ მოკლა მოურინიო და მას ეს დღე ცხოვრების ბოლომდე ეხსომება.

**– ნოემბრის კლასიკოს შემდეგ თქვენ ამბობდით, რომ მოურინიოს შეეშინდა.**

– ჩემს რაიონში ასეთ რამეს შიშისგან ჩასვრას უწოდებენ. მას მომდევნო კლასიკოშიც შეეშინდა, როცა იგუაინი, ადებაიორი, ბენზემა და კაკა სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ეს ყველაზე დიდი ლაჩრობა იყო, რაც კი გრანდების ისტორიაში მომხდარა, "რეალისთვის" კი ეს საერთოდ გაუგონარი რამე იყო.

*ამის შემდეგ ბატონი ლუის სესარი საკუთარ თავზე და მის პრობლემებზე ალაპარაკდა. როგორც ჩანს, ლეგენდას სერიოზული არაფერი სჭირს, მაგრამ ის ამ ყველაფერზე ძალზე საინტერესოდ ლაპარაკობს...*

**– როგორი შეგრძნება იყო, როცა მოწევას თავი დაანებეთ?**

– ცუდი! მეუბნებოდნენ, რომ კრიზისი ერთი თვე გაგრძელდებოდა, შემდეგ კი... არაფერი ამის მსგავსი. სულ უფრო მეტად და მეტად მინდებოდა, რომ უფრო მეტი მომეწია, ვიდრე ვეწეოდი. ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება რაც შეიძლება ხანგრძლივი იყოს და შედარებით ნაკლებად მომხიბლავი. ისინი ამახინჯებენ ჩვენს ცხოვრებას, აი, რას აკეთებენ ისინი. ქირურგებზე კიდევ საერთოდ ხმას არ ამოვიღებ. მათ აქვთ რაღაც უცნაური მანქანები, გაიხედავ, გამოიხედავ და უკვე ნაოპერაციები ხარ. დამთავრდა ღრმა და ხანგრძლივი მკურნალობების ეპოქა, ახლა ხანდახან სისხლს საოპერაციოებშიც კი ვერ დაინახავთ.

**– ოპერაციის შემდეგ თავს როგორ გრძნობდით?**

– არაფერი სერიოზული არ ყოფილა. საავადმყოფოში სულ რაღაც 3 დღე გავატარე. პატარა პრობლემა იყო, ექიმები კი ვერ წყვეტდნენ ამოეკვეთათ თუ არა ის ჩემთვის. როცა მკითხეს, რა ვქნათო, ვუპასუხე, რომ მე კარგად ფეხბურთში ვერკვეოდი და არა ფილტვებში. მან გამაფრთხილა, რომ თუკი აღარ მოვწევდი, ცხოვრების ნორმალურ რეჟიმს დავუბრუნდებოდი. კი, მაგრამ ნორმალურს ვისთვის? ეტყობა, ჩემთვის ეს ცნება განსხვავდება სხვების გაგებისგან. სიგარეტი მწეველებისთვის წარმოუდგენლად ერთგული მეგობარია. ახლა მაქვს განცდა, რომ ეს მეგობარი მოკვდა. მენატრება თამბაქო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტო ვარ და ვწერ. მადლობელი ვარ ხოლმე, როცა ხანდახან შესუნთქვას მაინც ვახერხებ, ასეთ შანსს, განსაკუთრებით რესტორნების შესასვლელებთან, ხშირად ვეძებ. სწორედ გუშინ იყო, ერთმა უცნობმა ჯიბიდან კუბური სიგარა ამოიღო, დამინახა და მითხრა, რაც შეიძლება შორს დავდგებიო, მე კი ვუპასუხე, არა, სენიორ, რაც შეიძლება ახლოს დადექით-თქო.

პარი სენ-ჟერმენი

# დედაქალაქი ახალი გეგმებით

მას შემდეგ, რაც "პარი სენ-ჟერმენმა" ერთბაშად სამი ახალწვეული წარადგინა და ამით ამბიციურ სამომავლო გეგმებს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, ყველა ელოდა, რომ ისინი სატრანსფერო ბაზარზე მცირე პაუზას მაინც აიღებდნენ. ასე არ მოხდა. "ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, უკვე გუშინ კლუბში ახალ გეგმებზე ალაპარაკდნენ: დედაქალაქელებმა "ტულუზს" ოფიციალური წინადადებით მიმართეს და ცენტრალური ნახევარმცველის, 22 წლის **მუსა სისოკოს** ტრანსფერის შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა. წინა სეზონში ლიგა 1-ის გუნდის შემადგენლობაში მან 36 შეხვედრა (32 ძირითადში) გამართა და 5 გოლი გაიტანა. გარდა იმისა, რომ მუსა სტაბილურობით გამოირჩევა, მისით წამყვანი კლუბები იმიტომაც დაინტერესდნენ, რომ პოზიციიდან გამომდინარე საოცარი აკურატულობია ახასიათებს. სეზონის განმავლობაში მან თამაშის წესი სულ რაღაც 57-ჯერ დაარღვია. სისოკოს აგენტის თქმით, პსჟ-ს გარდა მისი კლიენტით კიდევ ოთხი კლუბია დაინტერესებული და მათ შორის არაფრანგულებიც.

"პარი სენ-ჟერმენის" სახელს უკავშირებს რუმინული პრესა ბუქარესტის "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელის **გაბრიელ ტორჯეს** მომავალს. რუმინული მასმედია იმასაც ამტკიცებს, რომ ფეხბურთელით საფრანგეთის ჩემპიონი "ლილიც" არის დაინტერესებული. მეტიც, ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ "ძაღლებმა" "დინამოს" უკვე მიმართეს. ისინი მზად არიან თავდამსხმელში 3 მილიონი ევრო გადაიხადონ. რუმინულ მხარეს ეს თანხა სასაცილოდ არ ეყო. ისინი ფეხბურთელში 10 მილიონს ითხოვენ. ფრანგულმა პრესამ კი გამოჩხრიკა, რომ ტორჯეს სამსახურით მადრიდის "რეალი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ფიორენტინა" და დორტმუნდის "ბორუსია" ყოფილან დაინტერესებულნი. ასეთ შემთხვევაში ფრანგი ჟურნალისტების მტკიცებით, "ლილს" ფეხბურთელის ხელში ჩაგდების მიზერული შანსიც არ რჩება. ასეთ მდიდარ და გავლენიან კლუბებს კონკურენციას მხოლოდ პსჟ თუ გაუწევს.

ფრანგული პრესა კარგა ხანია ალარაფერს წერს პსჟ-ს სამხრეთამერიკულ ინტერესებზე, მაგრამ ამ თემას არ ეშვება იტალიური "გაძეტა დელო სპორტი". მიუხედავად იმისა, რომ "სანტოსმა" უკვე მრავალგზის განაცხადა, **განსო** და **ნეიმარი** არ იყიდებიანო, აპენინელები ამ საქმეს დახურულად სულაც არ მიიჩნევენ და საქმეში იტალიურის გუნდების გარდა პსჟ-ც კი გაჰყავთ. მათი ცნობით, პარიზელები მზად არიან, **პელეს** მშობლიურ კლუბს 21 წლის განსოში 40 მილიონი ევრო გადაუხადონ.


მუსა სისოკო შეიძლება პსჟ-ში აღმოჩნდეს

აიაქსი


გრეგორი ვან დერ ვილი ამსტერდამიდან წასვლაზე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იფიქრებს

# ტრანსფერები აიაქსურად

## გაურკვევლობა ამსტერდამ არენაზე

"აიაქსის" მარჯვენა მცველი **გრეგორი ვან დერ ვილი** მშობლიური კლუბიდან სხვაგან წასვლას ჯერჯერობით არ გეგმავს. არადა ლაპარაკი, რომ ფეხბურთელი ჰოლანდიის ჩემპიონატს დატოვებდა, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არ წყდება. გრეგორი ამჯერადაც გაკვირვებულია იმით, რომ მასზე ჭორებს დაულალავად იგონებენ. აი, რას აცხადებს ის: *"ეს ყველაფერი მხოლოდ ფანტაზიაა, რადგან წელს მე სრულად კონცენტრირებას მხოლოდ "აიაქსის" თამაშებზე ვგეგმავ. შესაბამისად, სხვა კლუბზე არც კი ვფიქრობ. მიზეზი მარტივია: 2012-ში ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. არ მინდა გარისკვა, სხვაგან წასვლა და სათამაშო ფორმის დაკარგვა. ამ ტურნირის დასრულების შემდეგ კი უკვე დავფიქრდები, შევიცვალო თუ არა საცხოვრებელი ადგილი. იქამდე კი არსადაც არ მივდივარ".*

"აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა **დანი ბლინდმა** აბსურდი უწოდა რუსულ პრესაში გავრცელებულ ხმებს, "დენ ჰააგის" რუსი თავდამსხმელით **დმიტრი ბულიკინით** "აიაქსის" დაინტერესების თაობაზე. ჰოლანდიურ "ფუტბოლ ინტერნეშენელთან" ინტერვიუს დროს ბლინდმა აღნიშნა, რომ ასეთი ტრანსფერის ალბათობა ნულის ტოლია, რადგან ამსტერდამელებს ასეთი წინადადებით ჰააგელებისთვის არ მიუმართავთ და არც აპირებენ, რადგან ბულიკინი "აიაქსის" სტანდარტებით უკვე ვეტერანია (რუსი 31 წლისაა). ბლინდმა განმარტა: *"როცა ფრანკ დე ბურმა თქვა, რომ "აიაქსს" ბულიკინის სტილის თავდამსხმელი სჭირდება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მის ყიდვას ვფიქრობდით".*

"აიაქსს" მაროკოელი **მუნირ ელ ჰამდაუის** გაყიდვა დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს შარშანდელ სეზონში თანაგუნდელთა დიდ ჯგუფთან კონფლიქტი ჰქონდა, რის გამოც **ფრანკ დე ბურმა** ის დუბლებში გადაიყვანა და ძირითად გუნდში მის დაბრუნებას არც ახლა აპირებს. ამ ვითარებით სარგებლობა სურს "ეინდჰოვენის" მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენს**. "ფილიპსელები" მზად არიან, თავდამსხმელში 5 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ამბები

## სენტ ეტიენმა ვენდელი მოისურვა

"ბორდოს" ბრაზილიელი მარცხენა ნახევარმცველი, 29 წლის **ჟერალდო ვენდელი** მალე შეიძლება "სენტ ეტიენში" გადაბარგდეს. წყარო ამტკიცებს, რომ მოლაპარაკება ამ საკითხზე რა ხანია დაიწყო და მალე შეიძლება წერტილი დაესვასო. ჟირონდელები ფეხბურთელის წასვლის წინააღმდეგნი არ არიან, უბრალოდ მასში "ადეკვატურ ფასს" ითხოვენ. სამხრეთამერიკელის "ბორდოსთან" კონტრაქტს ვადა 2012 წლის ზაფხულში გასდის და ის მის გახანგრძლივებას არ აპირებს. ვენდელი ამჟამინდელ კლუბს 2006 წლიდან ემსახურება, სულ კი ლიგა 1-ში ჟირონდელთა შემადგენლობაში 5 სეზონის განმავლობაში 156 შეხვედრაში 34 გოლი გაიტანა.

## სპორტინგიდან ლოკომოტივში

ესპანელი ნახევარმცველი **ალბერტო საპატერი** ლისაბონის "სპორტინგიდან" მოსკოვის "ლოკომოტივში" გადავიდა. 26 წლის ნახევარმცველმა რუსულ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, - გვამცნობს ესპანური გამოცემა "ერალდო სე სორია". აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის აგენტმა **ხინეს კარბახალმა** "სპორტინგის" ბოსებთან იმდენს მიაღწია, რომ პორტუგალიელებმა ესპანელს თავისუფალი აგენტის სტატუსი მისცეს. მოლაპარაკებები მოსკოველებთან მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო და მალე წარმატებითაც დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A

# სამპდორია შეიძლება აღზევდეს

იტალიურ სპორტულ პრესაში მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც არის შანსი "სამპდორიამ" სერია A-ში "ატალანტას" ადგილი დაიკავოს. საქმე იმაშია, რომ ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტი სერია B-ს ჩაწყობილ თამაშებს იძიებს და რამდენიმე საეჭვო პაექრობა ბერგამოულ კლუბსაც უკავშირდება. მოკლედ, თუ "ატალანტა" ჩაწყობილ თამაშებში ამხილეს, გუნდს სერია A-დან მოკვეთენ და მის ადგილს სწორედ გენუის "სამპდორია" დაიკავებს. ამ ამბავმა "სამპას' ქომაგთა ნაწილი გაახარა, ნაწილს კი ამგვარი ფორმით ელიტაში დაბრუნების სურვილი არ აქვს და ბრძოლა სწყურია. თავისი მოსაზრება დააფიქსირა გენუური გუნდის პრეზიდენტმა **რიკარდო გარონემ**:

"სერია B-ში ჩაწყობილი თამაშების შესახებ არაფერი მსმენია და სიმართლე გითხრათ, არც მინდა, რომ მოვისმინო. თუ სადისციპლინო კომიტეტი "ატალანტას" მოკვეთავს და ელიტაში აგვალზევებს, ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნება და გუნდს სიამოვნებით დავაბრუნებ სერია A-ში. გამოგიტყდებით და ეს ამბავი ძალიანაც გამიხარდება, ფეხბურთი ხომ ცხოვრებაა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს – ამიტომ, მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ელიტაში დავბრუნდებით და მეორე მხრივ, სამართალი იზეიმებს".

"სამპდორიას" სერია A-ში შესაძლო დაბრუნების საკითხს თვით ფედერკალჩოს პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** გამოეხმაურა: "ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ითამაშებს სერია A-ში, მთავარია, რომ ელიტაში უძლიერესი 20 გუნდი სპორტული პრინციპით გამოვლინდეს და არა ჩაწყობილი თამაშების შედეგად. გამოძიება მიმდინარეობს და თუ ბერგამოელთა ბრალეულობა დადასტურდა, ეს გუნდი აუცილებლად მოიკვეთება უმაღლესი დივიზიონიდან. ჩვენ ველარ დავუშვებთ იმას, რომ ახალი კალჩოპოლი მოხდეს. ამიტომ, დანაშაული ძირშივე უნდა აღმოიფხვრას".



**ლაშა ნიკლაური**

კიოლნი



ლუკას პოდოლსკი

# პოდოლსკი აიმრიზა

## სოლბაკენი ლუკასის გაშვებას არ გამორიცხავს

მას მერე, რაც კაპიტნის სამკლავური ჩამოართვეს, „კიოლნის" ლიდერი **ლუკას პოდოლსკი** ცოფებს ყრის. სანამ „თხების" ახალი მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** საბოლოო გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა და ყველას ამცნობდა, რომ პოლდის კაპიტნის სამკლავური ჩამოერთვა, ლუკასი დღენიადაგ იმას გაიძახოდა, ჩემთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი სტატუსის ჩამორთმევას ვერ ავიტანო და საქმე საქმეზე რომ მიდგა, დანაპირები აასრულა კიდეც – პოლდი აიმრიზა. სოლბაკენი კი სიმკაცრეს იჩენს, იხტიბარს არ იტეხს და გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფეხბურთელის გაშვებასაც კი არ გამორიცხავს.

ერთი სიტყვით, პოდოლსკის „კიოლნში" დარჩენის საკითხი უკვე უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. მართალია, სოლბაკენმა თქვა, ლუკასმა ჩემი გადაწყვეტილება ვაჟკაცურად მიიღო და გააცნობიერაო, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი საპირისპიროს ამტკიცებს და ამბობს, მისთვის კაპიტნობის დაკარგვა იმდენად პრობლემატური არ არის, რამდენადაც ის, როგორ დააკარგვინეს სტატუსი.

„რამდენჯერმე ვთქვი, რომ კაპიტნის სამკლავურის დაკარგვა ჩემთვის ძალიან დიდი დარტყმა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ყურადღება არავინ მომაქცია და გადაწყვეტილების შესახებ მისი მიღებიდან სამი კვირის შემდეგ შევიტყვე. ჩემი აზრით, „კიოლნის" ხელმძღვანელობისგან ამას არ ვიმსახურებდი. ამ კლუბის წინაშე საკმარისად დიდი დამსახურება მაქვს იმისათვის, რომ ყურადღება მოექციათ და ჩემთან გულახდილად ესაუბრათ," - ჭმუნავს ლუკასი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, პოლდიმ „კიოლნი" დატოვოს. კითხვაზე, წავა თუ არა ლუკასი გუნდიდან, სოლბაკენმა ასე უპასუხა: „ფეხბურთში არასდროს არაფერია გამორიცხული!"

სამაგიეროდ, გუნდის პრეზიდენტმა **ვოლფგანგ ოვერატმა** „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ლუკასის გაშვებას არ ვაპირებთ, ამაზე ერთი წამითაც არ გვიფიქრიაო, მაგრამ „ბილდის" ინფორმაციით, თვითონ ლუკასს აღარ სურს გუნდში დარჩენა და საინტერესო წინადადების მიღების შემთხვევაში, „თხების" ხელმძღვანელობას გაყიდვას მოსთხოვს.

შეგახსენებთ, რომ პოდოლსკისთვის კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევის ცნობა ოფიციალურად ორშაბათს დადასტურდა – სოლბაკენმა გუნდის თავად მცველი **პედრო ჟერომელი** დანიშნა. აღსანიშნავია, რომ პოლდი ჟერომელის შემცვლელადაც კი არ დაასახელეს – „კიოლნის" მეორე კაპიტანი ახალწვეული **საშა რიტერი** იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**

ქირვეული

# მარკო მარტო შტროზე ფიქრობს

იმდროს, როცა ბრემენის „ვერდერის" ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, **მარკო არნაუტოვიჩი** აზრზე მოვიდა და მომავალ სეზონში ისე მოიქცევა, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეეფერებაო, ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პაულ შარნერი** ფიქრობს, რომ ერთ დროს უნიჭიერეს ფორვარდად შერაცხილი ფეხბურთელის გამოსწორება არ იქნება.

„მარკოს შესახებ ახალი და კარგი რა უნდა ვთქვა? ეგ მარტო სასმელზე ფიქრობს. ფეხბურთელი ყოველდღე შტროს სვამდეს, სადმე გაგიგიათ? პირადად მე მისი გამოსწორების იმედი აღარ მაქვს, რადგან არცისე პატარა ბიჭია, რომ ვინმემ აზრი შეაცვლევინოს. დარწმუნებული ვარ, ძალიან უნდა, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელი იყოს, მაგრამ საამისოდ არაფერს აკეთებს და ყოველდღე ლოთობით კი დიდი ფეხბურთელი ვერ გამოხვალ. არადა, არნაუტოვიჩი მართლაც ძალიან ნიჭიერია. თავში რომ არ უქროდეს, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოში მასზე უკეთესი თავდამსხმელი არ იარსებებდა," - განუცხადა შარნერმა გაზეთ „კრონეს".

არადა, „ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** რამდენიმე დღის წინ არნაუტოვიჩი შეაქო და თქვა, პროგრესი აშკარად ეტყობა, მარკო გამოსწორების გზას დაადგაო...

**გოტფრიდ ლენცი**



მარკო არნაუტოვიჩის საშველი არ არის?

მოსაზრება



ოტმარ ჰიტცფელდის აზრით, ბუნდესლიგის მთავარი ფავორიტი ისევ მიუნხენის ბაიერნია

# ჰიტცფელდი: ბაიერნი ან ისევ დორტმუნდი!

## ოტმარს სხვა გუნდების არ სჯერა

შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** მიიჩნევს, რომ ბუნდესლიგის ახალ სეზონში ჩემპიონობისთვის მისი ყოფილი კლუბები, მოქმედი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" და მიუნხენის „ბაიერნი" იბრძოლებენ.

„მთავარი ფავორიტი მაინც „ბაიერნია". პირველ რიგში იმიტომ, რომ რეკორდმაისტერმა ძალიან კარგი ტრანსფერები განახორციელა. ესეც რომ არ იყოს, „ბაიერნი" ისედაც ყოველთვის ფავორიტია ხოლმე და თანაც, თუნდაც ერთი წელი უტიტულოდ დარჩენა მიუნხენური კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასია, - უთხრა „გენერალმა" „სქაი სპორტს", - მანუელ ნოიერი დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტიდან" ნაყიდ ჟერომ ბოატენგს, მის შესაძლებლობებში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ „ბაიერნში" არსებულ წნეხს თავს გაართმევს. არ გამოვრიცხავ, რომ ადაპტაციისთვის დრო დასჭირდეს."

რაც შეეხება „დორტმუნდს", ჰიტცფელდის აზრით, BVB-ს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ **იურგენ კლოპის** სამწყსო კარგად შეთამაშებული გუნდია და ახალ სეზონსაც მაქსიმალურად მომზადებული ხვდება.

„დორტმუნდელები ჯერ კიდევ ეიფორიაში არიან და დიდი შანსია, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშმა „ბორუსიას" დამატებით ფრთები შეასხას. კლოპის ბიჭებს ეტყობათ, რომ წარმატებებით ჯერ არ დანაყრებულან. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს," - მიიჩნევს 62 წლის სპეციალისტი, რომელიც „დორტმუნდს" 1991-დან 1997 წლამდე წვრთნიდა და ვესტფალიურ კლუბს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. მიუნხენის „ბაიერნს" ჰიტცფელდი ჯერ 1998-დან 2004 წლამდე, მეორედ კი 2007/2008 წლების სეზონში ავარჯიშებდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### დედე სკიბესთან

დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილი კაპიტანი **დედე** კარიერას თურქეთში, კერძოდ კი „ესქიშეჰირსპორში" გააგრძელებს. 33 წლის მარცხენა მცველმა ამ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. საინტერესოა ის, რომ „ესქიშეჰირის" მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ გერმანელი **მიხაელ სკიბე** დაინიშნა – სპეციალისტი, რომელიც ბრაზილიელს დორტმუნდის „ბორუსიაში" ავარჯიშებდა.

„მიხაელმა რომ დამირეკა და „ესქიშეჰირში" გადასვლა შემომთავაზა, ძალიან გამიხარდა და მაშინვე დავთანხმდი, რადგან ის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწვრთნელია. სკიბემ პარასკევს დამირეკა, შაბათს კი მასთან ჩავედი. მერე ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა: კონტრაქტი გავაფორმე და ორშაბათის შემდეგ „ესქიშეჰირში" ვვარჯიშობ," - უთხრა დედემ „ბილდს".

შეგახსენებთ, რომ გამოცდილ ბრაზილიელს დორტმუნდის „ბორუსიაში" ახალი კონტრაქტი აღარ გაუფორმეს. დედე „ბორუსიას" 13 წლის მანძილზე ემსახურა.

### ახალი კონტრაქტი პიშჩეკს

გერმანიის ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ" პოლონელ მარჯვენა მცველ **ლუკაშ პიშჩეკს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა 2016 წლამდე აქვს. ძველი ხელშეკრულების ვადა კი 2013 წლის ზაფხულში იწურებოდა. პოლონეთის ნაკრების 26 წლის ფეხბურთელი „დორტმუნდში" 2010 წელს, ბერლინის „ჰერტადან" გადავიდა. მაშინ „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** მას **პატრიკ ოვომოიელას** შემცვლელად განიხილავდა, რადგან ეს უკანასკნელი ტრავმირებული იყო, მაგრამ პიშჩეკმა იმდენი მოახერხა, რომ პატრიკი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

„გვიხარია, რომ პიშჩეკთან ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ. მან უდიდესი პროგრესი განიცადა და დღესდღეობით ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველია. შესაბამისად, ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და ახალი ხელშეკრულება შევთავაზეთ – ცხადია, გაუმჯობესებული პირობებით," - ეს „დორტმუნდის" სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

### იოვეტიჩი ტოფიზებმა დაიყოლიეს

კარგა ხანს ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ 21 წლის **სტევან იოვეტიჩს** კარიერა "ნაპოლიში" უნდა გაეგრძელებინა – მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში იყო შესული, თუმცა ფეხბურთელმა ფლორენციაში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო და როგორც შემდეგ განაცხადა, ეს გუნდის გულშემატკივართა დამსახურებაა:

"ნეაპოლში გადასვლაზე სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ საბოლოოდ ფლორენციაში დარჩენა გადავწყვიტე, რაშიც გულშემატკივრებმა ითამაშეს უდიდესი როლი. ელ-ფოსტაზე უამრავი შეტყობინება მივიღე, ტიფოზები დარჩენას მთხოვდნენ და მივხვდი, რომ მათი განბილების უფლება არ მქონდა. "ფიორენტინაში" ვრჩები და ვეცდები, რომ სწორედ ამ გუნდთან ერთად მოვიგო ტიტულები".

**ლაშა ნიკლაური**



● ევროპის ჩემპიონატი. U 19. რუმინეთი. 20 ივლისი-1 აგვისტო

# ნახევარფინალების დროა

## ჩეხეთი, ესპანეთი, სერბეთი, ირლანდია...

ამ დღეებში რუმინეთი ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატს მასპინძლობს. ამ ტურნირის ისტორია 1948 წლიდან იწყება, როდესაც მას ფიფას ახალგაზრდული ტურნირი ერქვა. 1955 წლიდან შეჯიბრება უეფამ გადაიბარა. 1980 წელს ჭაბუკთა ტურნირი ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატად გადაკეთდა. 2002 წლიდან კი ასაკის კორექტირების შემდეგ შეჯიბრებას ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი დაერქვა. თუ არ ჩავთვლით პერიოდს 1984 წლიდან 1992-მდე, როცა ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა, ეს შეჯიბრება ყოველწლიურია. სახელის გარდა ტურნირის შინაარსი ანუ ფორმატიც ხშირად იცვლებოდა, ახლა კი ასეა - ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე ჯერ საკვალიფიკაციო ბატალიებია, ზაფხულობით კი 8 ფინალისტი ტიტულისთვის იწყებს ბრძოლას.

ისტორიულად ეს ტურნირი ყველაზე მეტჯერ ინგლისელებს მოუგიათ - 9-ჯერ, შემდეგ მოდიან ესპანელები და ფრანგები (7-7). საბჭოთა კავშირის ნაკრებს ჩემპიონობა 6-ჯერ ერგო და სხვადასხვა დროს გამარჯვებულ გუნდში რამდენიმე ქართველს უთამაშია.

შარშან 19-წლამდელთა ჩემპიონატი საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო, ფინალური პირველობაც იქ ჩატარდა, ფინალში მასპინძლებმა 2:1 მოუგეს ესპანელებს მეტად დრამატულ შეხვედრაში. თავიდან სტუმრები **როდრიგომ** დააწინაურა (რომელმაც გასული სეზონი „ბოლტონში" გაატარა), მაგრამ მეორე ტაიმში **ჟილ სუნუმ** და **ალექსანდრ ლაკაზემ** გამარჯვება ფრანგებს მოუტანეს. ტურნირის ბომბარდირი ესპანელი **დანიელ პაჩეკო** გახდა 4 გოლით.

წლევანდელი ფინალური ეტაპის წინ იყო ცნობილი, ევროპას ამ ასაკში ახალი ჩემპიონი რომ ეყოლებოდა, რადგან ფრანგებმა კვალიფიკაცია ვერ გაიარეს. შეგახსენებთ - ამ ტურნირში 1992 წლის 1 იანვარს და მას მერე დაბადებულებს შეუძლიათ თამაში.

საკვალიფიკაციო ბადეში ევროპის 52 ქვეყანა ჩაერთო და მათ შორის საქართველოც, მაგრამ **ვლადიმერ გუცაევის** გუნდს პორტუგალიაში არაფერი გამოუვიდა: ჩვენებმა მხოლოდ ბერძნებს მოუგეს 1:0 (გოლი **თორნიკე ოქრიაშვილმა** გაიტანა), შემდეგ კი უშანსოდ წააგეს, როგორც პორტუგალიასთან (0:3), ასევე აზერბაიჯანთან (0:3). ჩვენმა გუნდმა მე-3 საკვალიფიკაციო ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და ტურნირს დაემშვიდობა. რუმინეთის საგზური კი საბოლოოდ ბელგიამ, ჩეხეთმა, საბერძნეთმა, ირლანდიამ, სერბეთმა, ესპანეთმა და თურქეთმა მოიპოვეს.



ტურნირის მთავარი მეგოლე ჯერჯერობით ალვარო მორატაა

A ჯგუფში ჩეხეთის, ირლანდიის, საბერძნეთისა და რუმინეთის გუნდები მოხვდნენ. ყველასთვის მოულოდნელად, რუმინელებმა ვერაფერი გააწყვეს და ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ადგილი დაიკავეს. სამაგიეროდ, ჩეხებმა ეს ფაზა 100%-იანი შედეგით დაასრულეს.

**I ტური**

**ირლანდია-საბერძნეთი 2:1**

(ო'კონორი 2, 51 - კატიდისი 5)

**ჩეხეთი-რუმინეთი 3:1**

(პრუკრილი 44, იელეჩეკი 61 (პ), იანოში 85 - სტანჩუ 30)

**II ტური**

**ჩეხეთი-ირლანდია 2:1**

(ბრაბეცი 69, ლაჩა 71 - ო'სალივანი 10)

**საბერძნეთი-რუმინეთი 1:0**

(ფორტუნისი 37)

**III ტური**

**ჩეხეთი-საბერძნეთი 1:0**

(პრუკრილი 70)

**რუმინეთი-ირლანდია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. რუმინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

B ჯგუფში ესპანეთის ნაკრებმა, რომელსაც **ხინეს მელენდესი** თავკაცობს, ორი ტურის შემდეგ გაინაღდა პირველობა და ბოლო ტურში თავს მოდუნების საშუალებაც მისცა. ნახევარფინალში მათთან ერთად, **დეიან გოვედარიცას** სერბები გავიდნენ.

**I ტური**

**სერბეთი-თურქეთი 2:0**

(იოჟიჩი 57, ტრუჟიჩი 89)

**ესპანეთი-ბელგია 4:1**

(სარაბია 15 (პ), ალკასერი 65, მუნისი 91, მორატა 93 - კუველიე 46)

**II ტური**

**თურქეთი-ბელგია 1:1**

(ალი 77 - ვერვაეკი 90)

**ესპანეთი-სერბეთი 4:0**

(მორატა 13, 22, 75, ხუანმი 15)

**III ტური**

**თურქეთი-ესპანეთი 3:0**

(რამალიო 31 (ს.კ.), კამილი 51, გომესი 56 (ს.კ.)

**ბელგია-სერბეთი 1:1**

(ვერმილი 73 - მრკელა 6)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 2. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 3. თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |

მაშ ასე, ნახევარფინალები ასე დაწყვილდნენ: ჩეხეთი-სერბეთი და ესპანეთი-ირლანდია. ორივე შეხვედრა 29 ივლისს გაიმართება. ბომბარდირთა დავას 4 გოლით მადრიდის „რეალის" 18 წლის ფორვარდი **ალვარო მორატა** ლიდერობს, რომელსაც ბევრი ახალ **მორიენტესად** მოიხსენიებს. მორატამ უკვე „რეალის" მთავარ გუნდშიც მოასწრო თამაში.

● ბრაზილიის სერია A. XI ტური



ლიდერის კარში გოლის ავტორი ვალისონი

**ავაი-ინტერნასიონალი 1:3**

**გოლები:** 1:0 ვილიამი (45-პენ), 1:1 ანდრეზინიო (67), 1:2 დამიაო (70), 1:3 დ'ალესანდრო (90)

**სან პაულუ-ატლეტიკო გ. 2:2**

**გოლები:** 1:0 როდოლფო (8), 1:1 ბიდა (44), 2:1 რივალდო (53), 2:2 ანსელმო (68)

**ამერიკა-ფიგეირენსე 0:0**

**გაძევება:** პიტონი (43. ფიგეირენსე)

**ატლეტიკო-ბოტაფოგო 2:1**

**გოლები:** 1:0 ს. გარსია (38), 2:0 ს. გარსია (75), 2:1 ალექსი (87)

**გაძევება:** მარსელო მატოსი (90. ბოტაფოგო)

**ფლამენგო-სეარა 1:1**

**გოლები:** 1:0 რენატო აბრეუ (32), 1:1 აზევედო (80)

**კორინთიანსი-კრუზეირო 0:1**

**გოლი:** 0:1 ვალისონი (55)

**გაძევება:** ჟილბერტო (73. კრუზეირო)

**ფლუმინენსე-პალმეირასი 1:0**

**გოლი:** 1:0 მარკინიო (74)

**ბაია-კორიტიბა 0:0**

**შენიშვნა:** ანდერსონ აკინო (კორიტიბა) 67-ე წუთზე შევიდა

**ატლეტიკო მ-ვასკო და გამა 1:2**

**გოლები:** 0:1 დ. სოუზა (17), 1:1 მანო ალვეში (40), 1:2 დ. სოუზა (88)

**გაძევება:** ლეონარდო სილვა (87. ატლეტიკო მ.)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 11 | 9 | 1 | 1 | 19-5 | 28 |
| 2. სან პაულუ | 11 | 7 | 1 | 3 | 16-12 | 22 |
| 3. ფლამენგო | 11 | 5 | 6 | 0 | 19-9 | 21 |
| 4. ვასკო და გამა | 11 | 6 | 2 | 3 | 17-15 | 20 |
| 5. პალმეირასი | 11 | 5 | 4 | 2 | 16-7 | 19 |
| 6. ინტერნასიონ. | 12 | 5 | 3 | 4 | 20-15 | 18 |
| 7. კრუზეირო | 11 | 5 | 3 | 3 | 15-10 | 18 |
| 8. ბოტაფოგო | 11 | 4 | 4 | 3 | 13-11 | 16 |
| 9. ფიგეირენსე | 11 | 4 | 4 | 3 | 10-11 | 16 |
| 10. სეარა | 11 | 4 | 3 | 4 | 17-16 | 15 |
| 11. ფლუმინენსე | 10 | 5 | 0 | 5 | 9-11 | 15 |
| 12. კორიტიბა | 11 | 4 | 2 | 5 | 18-14 | 14 |
| 13. გრემიო | 10 | 3 | 3 | 4 | 11-12 | 12 |
| 14. სანტოსი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 11 |
| 15. ბაია | 11 | 2 | 5 | 4 | 12-14 | 11 |
| 16. ატლეტიკო მ. | 11 | 3 | 2 | 6 | 14-20 | 11 |
| 17. ატლეტიკო გ. | 11 | 2 | 3 | 6 | 10-14 | 9 |
| 18. ამერიკა | 11 | 1 | 4 | 6 | 10-22 | 7 |
| 19. ავაი | 11 | 1 | 4 | 6 | 10-25 | 7 |
| 20. ატლეტიკო პ. | 11 | 1 | 2 | 8 | 5-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 6 - მონტილიო (კრუზეირო); 5 - ლიედსონი (კორინთიანსი), რონალდინიო (ფლამენგო), ელკესონი (ბოტაფოგო), ოსკარი (ინტერნასიონალი), ვილიანი (კორინთიანსი), ვაშინგტონი (სეარა), ალესანდრო (ამერიკა)

**მომდევნო ტური**

ატლეტიკო გ-კრუზეირო, ატლეტიკო მ.-ფლუმინენსე, ბოტაფოგო-ავაი, გრემიო-ამერიკა, კორიტიბა-სან პაულუ, ფიგეირენსე-პალმეირასი, სანტოსი-ფლამენგო (წუხელ გვიან გაიმართა)

28 ივლისი: ვასკო და გამა-ბაია, სეარა-ატლეტიკო პ.

● მსოფლიოს ჩემპიონატი. U 20. კოლუმბია. 29 ივლისი-20 აგვისტო

# ვინ მოიგებს კოლუმბიაში?

ხვალიდან კოლუმბია 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. 24 ნაკრები პრესტიჟული ჯილდოსთვის იბრძოლებს. სწორად შენიშნა ავსტრიელ ახალგაზრდათა თავკაცმა **ანდრეას ჰერაფმა**, რომ ეს ჩემპიონატი „*ფეხბურთელთათვის, შესაძლოა, კარიერის გადამწყვეტი ტიპი გამოდგეს*", რომ იქ წარმატება ბევრს ვარსკვლავთა შორის გაუკაფავს გზას. სხვათა შორის, გაგიკვირდებათ და, ფავორიტთა შორის იქნება კოსტა რიკის ნაკრებიც, რომელმაც საბრძოლო გამოცდა ახლახან, კოპა ამერიკაზე გაიარა, მათი ლიდერი **ჯოელ კემპბელია**, რომლის ყიდვა ლონდონის „არსენალს" სურს.

ჩემპიონატი ბრაზილიისა და ეგვიპტის მატჩით იხსნება, რომელიც ხვალ ბარანკვილაში გაიმართება, ეს E ჯგუფის შეხვედრაა. ბრაზილიელთა თავკაცმა **ნეი ფრანკომ** ნამდვილ ვარსკვლავეთს მოუყარა თავი, ნაკრებში არის „ინტერის" **ფილიპე კოუტინიო**, აგრეთვე **კაზემირო**, **ოსკარი** და **დანილო**, რომლებიც ბრაზილიის ჩემპიონატში უკვე ნამდვილი ვარსკვლავები არიან. თუმცა ბრაზილიას აკლია ამ ასაკში ორი უდიდესი ტალანტი - **ნეიმარი** და **ლუკასი**.

ტურნირი 1977 წელს დაარსდა, ახლანდელი ჩემპიონი განაა, 2009 წელს განის ნაკრებმა ქაიროში, ფინალში პენალტების სერიაში აჯობა ბრაზილიას, მას მერე, რაც 90 წუთი 0:0 მორჩა. ტურნირის ბომბარდირი განელი **დომინიკ ადია** გახდა 8 გოლით. ყველაზე მეტჯერ ჩემპიონები არგენტინელები გახდნენ (6), შემდეგ მოდიან ბრაზილიელები (4), ორჯერ მოიგეს ტურნირი პორტუგალიელებმა.



არგენტინელთა მთავარი იმედი ერიკ ლამელა (ნომერი 10)

კიდევ რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელს ჩამოგითვლით. ტურნირის მასპინძელი კოლუმბიის ათიანი „პორტუს" გარემარბი **ჯეიმს როდრიგესია**, ევროპის ლიგის გამარჯვებული. საფრანგეთის ნაკრებიდან გამოვარჩევთ **გაელ კაკუტას**, **გვიდა ფოფანას**, **ანტუან გრიზმანს**. ურუგვაის გუნდში - **ადრიან ლუნას**. ესპანეთის ნაკრებიდან უკვე აღარ ვიცით ვისზე შევჩერდეთ: **ხულიენ ლოპოტეგის** გუნდში არიან **სერხიო კანალესი**, **დანიელ პაჩეკო**, **ისკო**, ასევე „ბარსას" ტალანტები **ბარტრა**, **ორიოლ რომეუ**, **კიკო**, **სერხი რობერტო** და სხვები. არგენტინელები თავს **ერიკ ლამელათი** და **ხუან მანუელ იტურბეთი** იწონებენ.

| A ჯგუფი |
|---|
| კოლუმბია |
| საფრანგეთი |
| მალი |
| კორეა |

| B ჯგუფი |
|---|
| კამერუნი |
| ახ. ზელანდია |
| პორტუგალია |
| ურუგვაი |

| C ჯგუფი |
|---|
| ავსტრალია |
| კოსტა რიკა |
| ეკვადორი |
| ესპანეთი |

| D ჯგუფი |
|---|
| ხორვატია |
| გვატემალა |
| ნიგერია |
| ს. არაბეთი |

| E ჯგუფი |
|---|
| ავსტრია |
| ბრაზილია |
| ეგვიპტე |
| პანამა |

| F ჯგუფი |
|---|
| არგენტინა |
| ინგლისი |
| მექსიკა |
| ჩრდ. კორეა |

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● სკანდალი



# რუმენიგე: ძირს ფიფა, ძირს ზეპი!

## ბაიერნის ვიცემ ბლატერს რევოლუცია აღუთქვა

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** და მის გარემოცვას წყალი რომ აქვს შემდგარი, ძველი ამბავია. ახალი ის არის, რომ ბლატერის და ზოგადად ფიფას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ახლა უკვე მიუნხენის „ბაიერნის" შეფობამაც აიმაღლა ხმა. ბლატერის საწინააღმდეგო განცხადება ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** გააკეთა, რაც, შეიძლება ითქვას, ძალიან სერიოზული დარტყმაა, რადგან რუმენიგე არა მარტო „ბაიერნის" ფუნქციონერია, არამედ უეფასა და ზოგადად მსოფლიო ფეხბურთში საკმაოდ წონადი სიტყვა ეთქმის.

*„პირადად მე და ჩემი კოლეგები დიდხანს ველარ მოვითმენთ იმას, რომ ფეხბურთს მართავენ ადამიანები, რომლებიც სერიოზულად და სუფთად არ მუშაობენ,* - განუცხადა რუმენიგემ ინგლისურ გაზეთ „გარდიანს" და იქვე დასძინა, - *მე მზად ვარ რევოლუციისთვის და ვფიქრობ, რომ რევოლუცია ამ უმსგავსობის დამარცხების ერთადერთი გზაა."*

„ბაიერნის" ბოსის აზრით, ერთდროულად ამდენი კორუფციული სკანდალი უკვე ნამეტანია, რომლის მოთმენაც ფეხბურთის წინაშე დიდი დანაშაული იქნება. კალე მიიჩნევს, რომ მოვიდა დრო, ფიფას კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ მთელმა საფეხბურთო სამყარომ აიმაღლოს ხმა, თუმცა კარლ-ჰაინცი იმასაც ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიბინძურისთვის ბოლოს მოღება ყველას არ ენდომება, რადგან რეაქცია ჯაჭვურია და კორუფციულ სკანდალში ძალიან ბევრი ვინმეა გარეული.

*„როცა ხედავ, რომ რაღაც ვერ არის წესრიგში და რაღაც ბინძურად კეთდება, შენი ვალია, ჩაერიო და სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალო. ფიფაში და ფიფას გარშემო გაბატონებული კორუფციით მარტო მიუნხენის „ბაიერნი", გერმანული ფეხბურთი, ჩვენი ქომაგები და სხვა სუფთა საფეხბურთო სტრუქტურები კი არ ზარალდებიან, არამედ ისინიც, ვინც უშუალოდ დამნაშავეა, რადგან ჭაობი მუდმივად ღრმავდება. ასე რომ, სასწრაფოდ რამე თუ არ შევცვალეთ, ძალიან მალე ფეხბურთი დაკარგავს იმას, რამაც სპორტის ეს სახეობა ნომერ პირველად აქცია,"* - აცხადებს რუმენიგე და იქვე, კონკრეტულად ბლატერსაც უტევს: *„ზეპ ბლატერი ამბობს, რომ ყველაფრის დალაგება და გამოსწორება უნდა, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი არავის სჯერა, უკვე საკმარისად სერიოზული საბუთია იმისა, რომ რევოლუციაზე იფიქრო და იზრუნო. ჩემი აზრით, სალაპარაკო ბევრი ალარაფერია. ფეხბურთს ყველა სიბინძურე უნდა მოვაშოროთ."*

რუმენიგე უფრო შორსაც წავიდა და ფიფას „ფულის მანქანის" სტრუქტურა უწოდა: *„დღითიდღე ვრწმუნდები იმაში, რომ ფიფას შეფებისთვის დღეს ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ სად გაიმართება მომდევნოს მომდევნო მუნდიალი, ვიდრე ის, რომ ფეხბურთმა თავისი სახე და პოპულარობა შეინარჩუნოს. ცალკე სალაპარაკო თემაა ისიც, რომ ფიფა საერთოდ აღარ სცემს პატივს საკლუბო ფეხბურთს, არადა, კლუბები ფიფას შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა."*

ვფიქრობთ, სკანდალი სერიოზულ ფაზაში შევიდა და ძალიან საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ ბლატერი და კომპანია ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელს, რომელიც დღეს „ბაიერნის" ფუნქციონერია. წესით, ფიფას რეაქციამ არ უნდა დააგვიანოს...

**გოტფრიდ ლენცი**

● მილანი

# ნესტა: ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ



ალესანდრო ნესტა

მას შემდეგ, რაც "მილანმა" აუდის თასზე მიუნხენის "ბაიერნთან" წააგო, იტალიის ჩემპიონის მიმართ კრიტიკამ იმატა. ერთი, რომ მილანური გრანდის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობენ და მეორე, გუნდი აშკარად ცუდ ფორმაშია. **ალესანდრო ნესტამ** პრესისთვის კომენტარი გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

*- "მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდა და მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში წავაგეთ, აშკარად გამოჩნდა, რომ "ბაიერნი" ჩვენზე უკეთეს ფორმაშია. გერმანელები ბევრ კომპონენტში გვჯობდნენ, განსაკუთრებით კი სისწრაფეში. ეს არც მიკვირს, რადგან მიუნხენელებმა მოსამზადებელი ეტაპი ჩვენზე გაცილებით ადრე დაიწყეს და უკეთეს ფორმაში არიან. ნებისმიერ შემთხვევაში. ბევრი უნდა ვიშრომოთ იმისთვის, რომ იტალიის სუპერთასის პაექრობას მომზადებულნი შევხვდეთ და სეზონში პირველი ტიტული მოვიპოვოთ".*

ამასობაში, საბოლოოდ გადაწყდა, რომ **მატიო ფლამინი** 6 აგვისტოს პეკინში დაგეგმილ ფინალს გამოტოვებს და ტრავმის მოსაშუშებლად კიდევ მინიმუმ 10 დღე დასჭირდება. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, **მასიმილიანო ალეგრი** ფლამინის სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას აპირებდა და შესაბამისად, მისი შემცვლელის შერჩევა მოუწევს. თუ ავტორიტეტულ გამოცემას ვენდობით, ალეგრი 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და ნახევარდაცვაში **კევინ პრინც ბოატენგთან** და **ჯენარო გატუზოსთან** ერთად, **ურბი ემანუელსონს** გაამწესებს. ალეგრიმ უკვე განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან ჰოლანდიელის მიმართ ნდობა ერთიორად გაიზარდება და შესაბამისად, მეტ სათამაშო დროს მიიღებს – ეს ამბავი თავად ურბის ძალიან ახარებს:

*"სერია A-სთან ადაპტირება იოლი პროცესი არაა და არ მიკვირს, რომ გასულ სეზონში საუკეთესო კუთხით ვერ წარმოვჩინდი. თუმცა, რთულმა პერიოდმა უკვე ჩაიარა და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი, რათა გულშემატკივრებს საუკეთესო ემანუელსონი ვაჩვენო. ვიცი, რომ ალეგრი მენდობა და სათამაშო დროს მომცემს, შესაბამისად, ისღა დამრჩენია, რომ ვარჯიშებზე ბოლომდე დავიხარჯო და მწვრთნელის იმედები გავამართლო. რომელ პოზიციაზე მირჩევნია თამაში? – სიმართლე გითხრათ, ყველაზე უკეთ თავს გარემარბის პოზიციაზე ვგრძნობ, მაგრამ როგორც ვიცი, ალეგრი ნახევარდაცვაში მიპირებს გამწესებას. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან კარგად ვიცი, რომ გადამწყვეტი სიტყვა მთავარ მწვრთნელს ეთქმის. ვნახოთ, მომავალ სეზონს ოპტიმიზმით ველოდები".*

**ლაშა წიკლაური**

● აუდის თასი

# ბარსა გერმანიიდან ნადავლით მოდის



აუდის თასი „ბარსელონამ" მოიგო **ხოსეპ გვარდიოლას** შეგირდებმა ფინალში მასპინძელი, მიუნხენის „ბაიერნი" დაამარცხეს - 2:0. თავი „ბარსას" ახალგაზრდა ნახევარმცველმა **ტიაგო ალკანტარამ** გამოიჩინა, რომელმაც დუბლი შეასრულა. სხვათა შორის, „აუდის თასზე" ეს ერთადერთი შეხვედრაა, რომლის გამარჯვებულებული პენალტების სერიით არ გამოვლენილა. გუშინვე, მე-3 ადგილისთვის მატჩი ბრაზილიურ „ინტერნასიონალსა" და „მილანს" შორის 2:2 დასრულდა, პენალტების სერიაში კი ბრაზილიელებს გაუმართლათ.

**ფინალი**

**ბარსელონა-ბაიერნი 2:0**

**ბარსელონა**: ვალდესი, ჯონათან დოს სანტოსი (78. კარმონა), ბუსკეტსი (76. პიკე), ფონტასი, მაქსველი (55. ხეფრენი), ტ. ალკანტარა, კეიტა, ინიესტა (60. რივეროლა), პედრო (60. აფელაი), სორიანო (66. კუენსა), ვილია (84. ლოსანო).

**ბაიერნი**: ბუტი, რაფინია (55. შვაინშტაიგერი), ბოატენგი, ბადშტუბერი (46. ტიმოშჩუკი), კონტენტო, უსამი, გუსტავო, პრანიჩი, ალაბა (67. კროოსი), ოლიჩი (68. მიულერი), პეტერსენი (64. გომესი).

**გოლები**: 1:0 ტ. ალკანტარა (42), 2:0 ტ. ალკანტარა (75)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ტრანსფერები

# ვინ დაამხობს სანჩესის რეკორდს?



ალექსის სანჩესი

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ კიდევ ბევრი რჩება, თუმცა ესპანეთში უკვე განხორციელდა რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ტრანსფერი, რომელთაგანაც უთუოდ 22 წლის ჩილელი **ალექსის სანჩესის** ტრანსფერს გამოვყოფთ იტალიური „უდინეზედან" „ბარსელონაში". კატალონიელებს საერთო ჯამში სანჩესის ტრანსფერი 37,5 მილიონი ევრო დაუჯდებათ (26 მილიონი ახლავე გადაიხადეს). ასე რომ, სამხრეთამერიკელმა გადაუსწრო პორტუგალიელ **ფაბიო კოენტრაოს**, რომელიც „ბენფიკადან" მადრიდის „რეალში" 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. ვინ დაამხობს სანჩესის რეკორდს? **ნეიმარი?** „სანტოსის" ხელმძღვანელობა აღშფოთებულია - როგორ გაბედა „რეალმა" ჩვენი ვარსკვლავის სანაცვლოდ 45 მილიონი ევროს შემოთავაზება, ნეიმარი გაცილებით მეტი ღირსო. უახლოეს საათებში **სერხიო აგუერო** „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი გახდება, ვნახოთ, რამდენს გადაიხდიან მდიდარი ინგლისელები...

**ბოლო დროს განხორციელებული ესპანური ტრანსფერები**

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 21 ივლისი | ალექსის სანჩესი | უდინეზე | ბარსელონა | 37,5 მლნ. ევრო |
| 21 ივლისი | ჰიროში იბუსუკი | ხირონა | სევილია | 0,15 მლნ. ევრო |
| 21 ივლისი | ჩიკო | ჯენოა | მალიორკა | იჯარა |
| 21 ივლისი | ხოან კაპდევილა | ვილიარეალი | ბენფიკა | თავ. აგენტი |
| 22 ივლისი | ბოიან კრკიჩი | ბარსელონა | რომა | 12 მლნ. ევრო |
| 22 ივლისი | ხუანხო სერანო | გრანადა | კადისი | იჯარა |
| 22 ივლისი | ტიბო კურტუა | ჩელსი | ატლეტიკო | იჯარა |
| 22 ივლისი | როდრიგო გალატო | მალაგა | ქსამაქსი | თავ. აგენტი |
| 23 ივლისი | ორიოლ რომეუ | ბარსელონა ბ | ჩელსი | 5,1 მლნ. ევრო |
| 23 ივლისი | ნოე პამარო | ერკულესი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 23 ივლისი | იონ ველესი | ბილბაო | ხირონა | თავ. აგენტი |
| 23 ივლისი | სერა | ლევანტე | კორდობა | თავ. აგენტი |
| 23 ივლისი | ხერმან ლუქსი | მალიორკა | დეპორტივო | თავ. აგენტი |
| 24 ივლისი | კრიშტიანო პერეირა | ბრაგა | ვალენსია | თავ. აგენტი |
| 25 ივლისი | ფერნანდო სორიანო | ოსასუნა | ალმერია | თავ. აგენტი |
| 25 ივლისი | სანტი კასორლა | ვილიარეალი | მალაგა | 19 მლნ. ევრო |
| 25 ივლისი | ალექს კრუსი | გრანადა | საბადელი | იჯარა |
| 25 ივლისი | ოსკარ პერესი | გრანადა | კადისი | იჯარა |
| 25 ივლისი | ანხელ მარტინესი | ესპანიოლი | ბლექპული | თავ. აგენტი |
| 25 ივლისი | დავიდ პრიეტო | სევილია | კორდობა | თავ. აგენტი |
| 26 ივლისი | ჟულიო ალვეში | რიუ ავე | ატლეტიკო | თავ. აგენტი |
| 26 ივლისი | ეფრაინ ხუარესი | სელტიკი | სარაგოსა | იჯარა |
| 26 ივლისი | ლაუტარო აკოსტა | სევილია | რასინგი | იჯარა |

**ტოპ-25 ტრანსფერი ლიგისათვის**

| თანხა | ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|---|
| 37,5 | ალექსის სანჩესი | უდინეზე | ბარსელონა |
| 30 | ფაბიო კოენტრაო | ბენფიკა | რეალი |
| 25 | დავიდ დე ხეა | ატლეტიკო | მანჩესტერი |
| 19 | სანტი კასორლა | ვილიარეალი | მალაგა |
| 12 | ბოიან კრკიჩი | ბარსელონა | რომა |
| 10 | ჟერემი ტულალანი | ლიონი | მალაგა |
| 10 | ნური შაჰინი | დორტმუნდი | რეალი |
| 10 | რაფაელ ვარანი | ლანსი | რეალი |
| 8 | სილვიო პერეირა | ბრაგა | ატლეტიკო |
| 8 | პაბლო პიატი | ალმერია | ვალენსია |
| 7,5 | ფელიპე კაისედო | ლევანტე | ლოკომოტივი |
| 7 | კრისტიან საპატა | უდინეზე | ვილიარეალი |
| 6 | დერეკ ბოატენგი | ხეტაფე | დნიპრო |
| 6 | ნაჩო მონრეალი | ოსასუნა | მალაგა |
| 6 | მიგელ საისი | რასინგი ბ | ბარსელონა ბ |
| 6 | ისკო | ვალენსია | მალაგა |
| 5,5 | ესეკილ გარაი | რეალი | ბენფიკა |
| 5,5 | ხოსე კალეხონი | ესპანიოლი | რეალი |
| 5,1 | ორიოლ რომეუ | ბარსელონა ბ | ჩელსი |
| 5 | დანიელ პარეხო | ხეტაფე | ვალენსია |
| 4,5 | ხოსე ანხელი | სპორტინგი | რომა |
| 4,5 | მანუ დელ მორალი | ხეტაფე | სევილია |
| 4,2 | ხოაკინი | ვალენსია | მალაგა |
| 4 | ექტორ მორენო | ალკმაარი | ესპანიოლი |
| 4 | დიეგო კაპელი | სევილია | სპორტინგი |

***შენიშვნა**: წითელი ფერი ტრანსფერი ესპანეთიდან, მწვანე - ტრანსფერი ესპანეთში, ლურჯი - შიდაესპანური ტრანსფერი.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინტერი

# ბრანკა ტევესის აგენტს შეხვდა

"კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, **მასიმო მორატიმ** როგორც იქნა გადაწყვიტა და **კარლოს ტევესის** ტრანსფერთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები გადადგა. გუშინ, არგენტინელი ფორვარდის პირად აგენტს მილანური გრანდის სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** შეხვდა და როგორც შემდეგ გაირკვა, საუბარმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. უფრო კონკრეტულად სწორედ ბრანკა მოგვითხრობს:

*"დასამალი არ არის, რომ ტევესს ინგლისის დატოვება და კარიერის ან იტალიაში, ანაც ესპანეთში გაგრძელება სურს. შესაბამისად, ფეხბურთელის აგენტმა პირდაპირ მითხრა, რომ მისი კლიენტისთვის "ინტერი" ძალიან საინტერესო ვარიანტია. ჯერჯერობით, ოფიციალური წინადადება არ გაგვიკეთებია, მაგრამ არც ეს დროა შორს – ჩემი ინფორმაციით, მანჩესტერელები არგენტინელის სანაცვლოდ 56 მილიონ ევროს ითხოვენ და თუ ეს თანხა რეალურამდე შემცირდება, მაშინ დიდია შანსი გარიგებაც შედგეს. კარგად ვიცი, რომ ტევესი უმაღლესი კლასის ფორვარდია და მის გადაბირებას 15 მილიონი ევრო არ ეყოფა, მაგრამ 56 მაინც ნამეტანია – უახლოეს დღეებში ინგლისელებს ოფიციალური წინადადებით მივმართავთ და ვნახოთ, რას გვიპასუხებენ".*

**ლაშა წიკლაური**

ძიუდო. ინტერვიუ პეტერ ზაიზენბახერთან

# ზაიზენბახერი იაპონიიდან იმედიანად დაბრუნდა

## ცირეკიძე ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს

ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები კვირას დაბრუნდა იაპონიიდან, სადაც თვეზე მეტხანს იმყოფებოდა შეკრებაზე. გუნდის თავკაც **პეტერ ზაიზენბახერს** ინტერვიუსთვის ძიუდოს აკადემიაში ვესტუმრეთ, სადაც ინტენსიური წვრთნა მიმდინარეობდა. ავსტრიელი შეუსვენებლად ავარჯიშებს ბიჭებს. იმ დილით შტანგებზე ემზადებოდნენ, რის საშუალებასაც საკუთარი ბაზა აძლევთ - მწვრთნელის მოთხოვნით, ფედერაციამ შტანგები შეიძინა თავისი ატრიბუტიკით, თუმცა ცალკე დარბაზის მოწყობა ფართის სიმცირის გამო ვერ ხერხდება. ამიტომ შტანგები საშეჯიბრებო არენაზეა განთავსებული.

გუნდთან ერთად ვარჯიშობდა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძეც** (100) - ზაიზენბახერმა სიტყვა შეასრულა და სადამსჯელო ვადის ამოწურვის შემდეგ, მსოფლიოსთვის მზადების დასკვნით ეტაპზე ის კვლავ დააბრუნა გუნდში და ნაკრებს იტალიაშიც მიჰყვება თვის ბოლოს. ცირეკიძის გარდა, იტალიაში **ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (60), **დავით ასუმბანი, შალვა ქარდავა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ნიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (90), **ლომერ ყორყოლიანი, ირაკლი ცირეკიძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი** (+100) წავლენ. მსოფლიოსთვის მზადებაზე, იაპონიაში ჩატარებულ შეკრებასა თუ ცალკეულ ფალავნებზე პეტერ ზაიზენბახერი გვესაუბრება.

**- დასახული გეგმიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებთ იაპონიაში გავლილ შეკრებას?**

- ტოკაის უნივერსიტეტში დაახლოებით 100 სპორტსმენი შედიოდა ტატამზე და ყველა მათგანი ემზადებოდა წმინდა იაპონურ სტილში, რაც გულისხმობს კარგ ჩავლებებს, კარგ დაცვას და დიდ სისწრაფეს ლეიბზე. ბიჭებიც იაპონიაში სავარჯიშოდ სწორედ ამ კომპონენტების გამო წავიყვანე. სამწუხაროდ, აუტანლად ცხელოდა და პირველ კვირაში ძალიან გაუჭირდათ, ბევრი სითხე დაკარგეს, მაგრამ ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა კარგად იმუშავა და მალევე გამოიყვანა მდგომარეობიდან.

**- უცხოელები სხვებიც იყვნენ ტოკაის უნივერსიტეტში?**

- ტოკაიში არა, სხვაგან კი იყვნენ და იქაც გვინდოდა ვარჯიში, მაგრამ დარბაზების გადატვირთვის გამო ვერ მოვახერხეთ. ტოკაიში ერთი ინგლისელი და ერთიც ნორვეგიელი იყო მხოლოდ.

გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. ერთი ეთმობოდა ძიუდოს იაპონელებთან ერთად, მეორე - შტანგაზე ვარჯიშს, ფიზიკურ გამძლეობას, რბენებს... ამასთან დღეში თითოეული 12-12 შეხვედრას ატარებდა გადაბმულად, შეუსვენებლად. უმეტესობა უძლებდა ასეთ ტემპს. იყო შემთხვევები, როცა ვინმე, ვთქვათ, მეშვიდე სპარინგზე ილლებოდა, ვილაც უფრო მეტზე ან ნაკლებზე, ამ დროს მათ 5-წუთიანი შესვენება ეძლეოდა. მთლიანობაში, იტანდნენ ასეთ დატვირთვას.

**- ავსტრიელმა ექიმებმა გუნდს სამედიცინო შემოწმებაც ჩაუტარეს. იყო თუ არა პროგრესი წინა ტესტირებასთან შედარებით?**

- სირბილში გამძლეობა საკმაოდ იყო მომატებული. ბიჭებს სხვადასხვა ტესტი ჩავუტარეთ. მაგალითად, ერთ-ერთი იყო სისხლში გლუკოზის შემოწმება, რაც იმის გამორკვევას ისახავდა მიზნად, რამდენად სწორად იკვებებოდნენ ისინი და თუ მიიღეს ვიტამინები. ორი ტესტი კუნთების დაღლილობაზე ჩავატარეთ და ორ ფალავანზე ცუდი შედეგიც მოგვცა. შევუმოწმეთ ლაქტატის გამოყოფა უშუალოდ ჭიდაობის პროცესში და 200 მეტრზე რბენაში. პროგრესი არის და მსოფლიოს პირველობისთვის ნელ-ნელა შედიან ფორმაში. იქამდე ოთხი კვირა დარჩა და სპეციფიკურ გეგმაზე გადავდივართ, უფრო სწრაფძალოვან ვარჯიშებს ვამუშავებთ. თუ ბიჭებმა განწყობა და სავარჯიშო ჟინი შეინარჩუნეს, ყველაფერი კარგად იქნება.

**- ძირითად გუნდთან დააბრუნეთ ირაკლი ცირეკიძე...**

- ორი შეკრების განმავლობაში ცირეკიძე ცალკე ვარჯიშობდა თავისი გეგმით, თუმცა, ვფიქრობ, ეს ის გრაფიკია, რამაც მას ამხელა ტიტულები მოაპოვებინა. ირაკლი ძალიან გამოცდილი სპორტსმენია, ჩინებულად გრძნობს საკუთარ თავს და მჯერა, კარგად მოემზადებოდა. ის იტალიაშიც წამოვა შეკრებაზე.

**- გუჯეჯიანზე რას იტყვით, რომელიც ყველაზე ბოლოს ჩაერთო ნაკრებში, შეეგუა თქვენეულ დატვირთვებს?**

- ჯერ არაა ფორმაში, რაც ტესტებმაც აჩვენა - ადრინდელთან შედარებით, 20%-ით უარესი სურათი მივიღეთ. მას 5 თვე არ უვარჯიშია. გუჯეჯიანი მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორია, რაც იოლად არ მოდის. თუმცა ამ ეტაპზე არაა ფორმაში, ნამდვილად აქვს დაბრუნების შანსი. შეუძლია, კარგად ვარჯიშით შევიდეს ფორმაში, მაგრამ ამ მსოფლიოსთვის ეს ვერ მოესწრება.

**- ბოლო თვეებში ავთანდილ ჭრიკიშვილი ქომაგს სანერვიულოდ ექცა. როგორ ფიქრობთ, დამთავრდა მისი კრიზისი?**

- მისი განვითარება გეგმაზომიერად წარიმართა ახალგაზრდებიდან უფროსებისკენ, მაგრამ ასეთი ტიპის ვარჯიშები შედეგს ერთბაშად არ იძლევა. ის ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი სპორტსმენია, თან უსიტყვოდ ვარჯიშობს. მებრძოლი სული აქვს - შიში არ ახასიათებს.

**- 66 კილოგრამი დღემდე სუსტ წერტილად გვრჩება. ამ წონაში დავით ასუმბანის გადანაცვლებას როგორ აფასებთ - გაამართლებს?**

- ჯერ არ ვიცით მას 66-ში რა შეუძლია. იქ სულ სხვა ატმოსფეროა, სულ სხვა დატვირთვები, გაცილებით ძლიერი მეტოქეები დახვდებიან. საერთოდ, წონის შეცვლა იოლი საქმე არაა. მართალია, ასუმბანმა ფიზიკურად მოუმატა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა მზად.

**- ზვიად გოგოჭური გუნდში ყველაზე ახალი კადრია. მასზე რას იტყვით იმ პერიოდიდან გამომდინარე, რაც თქვენ თვალწინ ვარჯიშობს და აკვირდებით?**

- კარგი ხასიათის სპორტსმენია - თავის საქმეს აკეთებს, ბევრ კითხვას არ სვამს. წყნარი ბიჭია, კარგი ნერვები აქვს და შეჯიბრებაზეც დაუძაბავად გამოდის, რაც დაამტკიცა ბუქარესტში გამარჯვებით - ხასიათი და შრომისმოყვარეობა შედეგში გარდასახა. არიან ფალავნები, ეგრეთ წოდებული, ვარჯიშის ჩემპიონები, რომლებიც კარგად კი ემზადებიან, მაგრამ შედეგში ვერ გადაჰყავთ, გოგოჭურმა კი ეს მოახერხა.

**- მსოფლიომდე ტურნირებში აღარ გამოხვალთ. როგორ ფიქრობთ, გუნდს საშეჯიბრებო პრაქტიკის დეფიციტი ხომ არ ექნება?**

- 1 აგვისტოს იტალიაში მივდივართ შეკრებაზე, სადაც შესაძლოა, მასპინძლებსაც შევხვდეთ გუნდურში. მოგეხსენებათ, ახლა კარტების გახსნას ყველა ერიდება. თან ეშინიათ, ვინმე არ დაუშავდეს. იქიდან დაბრუნებულები შინ გავმართავთ სპარინგებს. არა მგონია, დეფიციტი შეექმნათ. გასაგებია, რომ ევროპელებზე ნაკლები შეჯიბრება გამოგვივიდა, მაგრამ ეს ტერიტორიული საკითხია - ისინი ერთ საათში ჩადიან ერთი ქვეყნიდან მეორეში, ჩვენგან კი შორსაა. ამიტომაც ისინი მეტ ტურნირში მონაწილეობენ. შეჯიბრებებში გამოსვლა ლამის ერთ კვირას გვაკარგინებდა - აქედან მივდიოდით ხუთშაბათს ღამე, უკან კი სამშაბათს ვბრუნდებოდით. დასვენებაც ხომ უნდოდათ. ამიტომ გადავწყვიტე, ტურნირებზე აღარ წავსულიყავით. შეჯიბრებებში მონაწილეობა გამოცდილებას კი შეგვძენდა, მაგრამ ამის ჭიდაობას რომ ვუყურებდი, გამოუცდელობით არ ავაგებ.

**ირაკლი თავაძე**



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში




# ბუქარესტში ქართული ოქრო დატივდა

საქართველოში ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე იმას, რაც გუშინ ბუქარესტში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე მოხდა - ჩემპიონი ორი ჩვენებური გახდა, **რევაზ ნადარეიშვილი** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120).

ეს შედეგი მოულოდნელი იმდენადაა, რომ პირველ დღეს ოქროს ვერ შესწვდნენ გუნდის ლიდერები, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნიკა ცეცხლაძე** (50) და ბრინჯაოს პრიზიორები, დათუნაშვილი და დიხამინჯია, გუშინ კი დამარცხდა ევროპის კიდევ ერთი ვერცხლის მედალოსანი **საჩინო დავითაია** (66). გუნდის ლიდერები ისინი იყვნენ, ახლანდელი ჩემპიონები კი მათ ჩრდილში იდგნენ.

მთლიანობაში ჩვენი ნაკრების საერთო მონაგარი 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. ჩემპიონებზე უკვე გითხარით, ვიცე-ჩემპიონები კი **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) გახდნენ, მესამეზე კი **ქემალ ხარაბაძე** (66) გავიდა. ჩვენმა ნაკრებმა მოიგო გუნდური პირველობაც.

ნადარეიშვილმა მსოფლიოზე წასვლა იმით გაინაღდა, რომ საერთაშორისო ტურნირებზე კარგად იჭიდავა, თორემ საქართველოს პირველობაზე მესამეზე გავიდა. მისგან განსხვავებით, შოთა გოგისვანიძე საქართველოს ჩემპიონია - ფინალში უფროსი ძმა, **სერგო გოგისვანიძე** დაამარცხა. ნუ გვიწყენენ გოგისვანიძე და მისი ქომაგები, მაგრამ ჩემპიონთა დუეტიდან უფრო მოულოდნელი სწორედ ქუთაისელი ფალავანის გამარჯვებაა, რომელიც რუმინეთში საკუთარ თავს გადაახტა. ალბათ, უმთავრესად ჟინის და მონდომების ხარჯზე - წაგებას ვერ ეგუება. შოთა შარშანაც გავიდა საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში, ოღონდ მაშინ უფროს ძმასთან დამარცხდა, რისთვისაც ეჩხუბა კიდეც. წლევანდელ ფინალში საქმე ჩხუბამდე არ მისულა, მაგრამ მთელი შეხვედრა შოთა საოცრად ენერგიულად უტევდა, ყვირილით თავს იმხნევებდა, არც ძმას ზოგავდა და არც - საკუთარ თავს.

გოგისვანიძეს რუმინეთში ძნელი ქვეჯგუფი ერგო - პირველივე შეხვედრა ახალგაზრდებში მსოფლიოს უკრაინელ ჩემპიონსა და წლევანდელი ევროპირველობის ბრინჯაოს მედალოსან **იგორ დიდუკთან** გამართა, მეორე - ამ ასაკში გერმანელ მსოფლიოს პრიზიორ **ედუარდ პოპთან**, ნახევარფინალში აზერბაიჯანელთა ოს ლეგიონერ **ასლან ძებისოვს** შეხვდა, ფინალში კი ირანელი **ბაბაკ ჰოსეინალი იმჩენ დეზბანი** დაამარცხა. სიმართლე უნდა ითქვას - ჩვენებურს მთელ რიგ შეხვედრებში გაუჭირდა, ბოლო ორში დამატებითი დროც დასჭირდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ყველა წინააღმდეგობა დასძლია და მაინც გახდა ჩემპიონი. ჩვენებურმა დიდუკთან მძიმე ბრძოლა გადაიხადა - მეორე პერიოდი 1:1-ზე, ბოლო ქულის დამსახურებით მოუგო, პოპი კი ორ პერიოდში დაჯაბნა. თანაც ერთნაირი ანგარიშით, 1:0. ძებისოვი საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი ფალავანია. მასთან ძირითადი დროის ორივე სეტში 1:0 დაფიქსირდა, პირველი ჩვენებურის და მეორე მეტოქის სასარგებლოდ, დამატებითში კი გოგისვანიძემ 2:0 მოიგო. ფინალში პირველი პერიოდი ქუთაისელმა მინიმალური ანგარიშით დათმო, მაგრამ მომდევნოები ასევე 1:0 იმარჯვა და ოქროსაც დაეუფლა.

ნადარეიშვილმა ტურნირი ძლევამოსილად დაიწყო - ხორვატ **კრასიმირ ფრანიჩს** პირველი პერიოდი 8:0 მოუგო, რასაც მეორეში კიდევ ორი ქულა დაამატა. ირანელ **მაჯიდ აბას ალიარიფეიზაბადის** ორივე პერიოდში მხოლოდ 2:0 აკმარა, ამის შემდეგ კი მასაც ტიტულოვანებთან მოუხდა ჭიდილი. ნახევარფინალში თურქი **ატემ ასლანი** გადაეყარა, რომელიც ამ ასაკში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია, წლეულს კი მესამეზე გავიდა. მასთან შეხვედრა ჩვენებურმა მარცხით დაიწყო, მაგრამ მომდევნო ორ პერიოდში იმარჯვა და ფინალში გავიდა. ყველაზე სერიოზული მეტოქეც იქ ელოდა - ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, უკრაინელი ფერადკანიანი **ჟან ბელენიუკი**, რომელიც მსოფლიოს შარშანდელი პრიზიორიცაა. ნადარეიშვილმა მას საკმაოდ იოლად, ძირითად დროში მოუგო.

გუშინ ჩვენი გუნდის სხვა მონაწილეთაგან **ამირან შავაძე** (55) პირველივე წრიდან გავარდა - მასპინძელ **რობერტ დანიელ ანდრეცასთან** დამარცხდა. საჩინო დავითაიამ ხორვატ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **დომინიკ ეტლინგერს** დამატებით დროში 3:0 აჯობა, მაგრამ მეორე წრეში ვერაფერს გახდა ამერიკელ მსოფლიოს პრიზიორ **ელის კოლემანთან**.

ამით ბერძენ-რომაელთა პირველობა დამთავრდა, ახლა ჯერი გოგოებზეა, შაბათ-კვირას კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლევან როჭიკაშვილი** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **მამუკა კორძაია** (96), **თედორე ებანოიძე** (120).

**კვარცხლბეკი. ბიჭები**

**55 კგ.** 1. ნარეკ ხაჩატრიანი (სომხეთი); 2. სამან მორად აბდოული (ირანი); 3. ელმურატ ტასმურადოვი (უზბეკეთი), ელდანიზ აზიზლი (აზერბაიჯანი); **16. ამირან შავაძე (საქართველო).**

**66 კგ.** 1. ჩინგიზ ლაბაზანოვი (რუსეთი); 2. იონ ლუჩიტა (მოლდოვა); 3. ელის კოლემანი (აშშ), რასულ ჩუნაევი (აზერბაიჯანი); **17. საჩინო დავითაია (საქართველო).**

**84 კგ. 1. რევაზ ნადარეიშვილი (საქართველო);** 2. ჟან ბელენიუკი (უკრაინა); 3. ასლან ატემი (თურქეთი), სტანისლავ კანჩევ კანევი (ბულგარეთი).

**120 კგ. 1. შოთა გოგისვანიძე (საქართველო);** 2. ბაბაკ ჰოსეინალი იმჩენ დეზბანი (ირანი); 3. იგორ დიდუკი (უკრაინა), კირილ კრისჩანკა (ბელარუსი).

**ირაკლი თავაძე**

ცურვა

# მეოთხედი საუკუნის შემდეგ

შანხაიში (ჩინეთი) გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. კვარცხლბეკზე უკვე მოცურავეებიც ადიან. ქართველ სპორტსმენებს ამ ბედნიერებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ, თუმცა, დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინებით, საკითხავია, ველირსებით კი ოდესმე მსოფლიოს ჩემპიონატის რომელიმე სინჯის მედალს?!

მრუმე პრელუდიაა... მაგრამ ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც მინდა გაუწყოთ: შანხაიში 17 წლის **ირაკლი ბოლქვაძემ** 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 25 წლის წინათ (!) **სერგეი კოშკოს** მიერ ბაქოში დამყარებული საქართველოს რეკორდი (2.08,31) გააუმჯობესა: დისტანცია 2.07,29-ში გაცურა და სამი თვის წინათ მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ნაჩვენებ თავის საუკეთესო შედეგს 6,5 წამი ჩამოაკლო. მართალია, ირაკლიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ 37-ე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს მისი დებიუტია მნიშვნელოვან ტურნირებზე და, იმედია, მომდევნო შეჯიბრებებში უფრო გაგვახარებს.

თავისუფალი ყაიდით ცურვაში **ირაკლი რევიშვილმა** მოსინჯა ძალები. 200 მეტრზე (1.54,02) იგი 46-ე იყო, 400 მეტრზე (4.02,97) კი ათი საფეხურით წინ წაიწია, თუმცა არც ერთი შედეგია სანუგეშო და არც მეორე. საპრიზო ადგილები კი აქ ასე განაწილდა: **200 მ.** 1. რუან ლოხტე (აშშ, 1.44,44), 2. მაიკლ ფელპსი (აშშ, 1.44,79), 3. პაულ ბიედერმანი (გერმანია, 1.44,88). **400 მ.** 1. რაე ჰვან პარკი (კორეა, 3.42,04), 2. სუნ იანი (ჩინეთი, 3.43,24), 3. პაულ ბიედერმანი (გერმანია, 3.44,83).

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

ჭადრაკი

# სევანის ტალღებს ალღო აუღო

ოთხი მინორული პარტიის შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** სომხეთის საერთაშორისო ტურნირის („სევანის ტბა-2011") ბოლო ორი ტური მაჟორულ ნოტზე ჩაატარა: ჯერ შავი ფიგურებით სამველ ტერ-სააკიანს სძლია, გუშინ კი თეთრებით 57-ე სვლაზე, ორი ზედმეტი პაიკის ამარა დარჩენილმა, ერევნელი ტიგრან პეტროსიანი (2636) აიძულა, საათი გაეჩერებინა.

წარმატებას მიაღწია ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი), რომელმაც შავი ფიგურებით თანამემამულე ზავენ ანდრიასიანი დაამარცხა და 4 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ტურნირის დანარჩენი სამი პარტია კი ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი)-სამველ ტერ-სააკიანი (სომხეთი), სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი)-ჩჟოუ ძიანჩაო (ჩინეთი), ილდარ ხაირულინი (რუსეთი)-არმან პაშიკიანი (სომხეთი).

ექვსი ტურის შემდეგ: მელქუმიანი-4, ჯობავა, ძიანჩაო-3,5-3,5, გრიგორიანი, პეტროსიანი-3-3, ანდრიასიანი, პაშიკიანი, ხაირულინი, ჟიგალკო-2,5-2,5, ტერ-სააკიანი-2 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: პაშიკიანი-ანდრიასიანი, ძიანჩაო-ხაირულინი, ტერ-სააკიანი-ჟიგალკო, პეტროსიანი-გრიგორიანი, მელქუმიანი-ჯობავა.

**ვაჟა დანელია**

# გურამიშვილი ქალებში ისევ პირველია

პალეოხორაში (საბერძნეთი) გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც **სოფიკო გურამიშვილი** და **ბესარიონ ხეცურიანიც** მონაწილეობდნენ. ბოლო ორ ტურში შესანიშნავად იასპარეზა სოფიკო გურამიშვილმა: ჯერ თურქ დიდოსტატს ემრე ქენს აჯობა, გუშინ კი რუსი ანდრეი რიჩაგოვი (2560) დაჯაბნა, რომელიც რეიტინში ჩვენებურს 231 პუნქტით უსწრებს. სოფიკომ საბოლოოდ 7 ქულა მოაგროვა და მესამე-მეთორმეტე ადგილები გაინაწილა. უარესი კოეფიციენტით მე-12 ადგილი ერგო, სამაგიეროდ, ქალებში აჯობა ყველას - უახლოეს კონკურენტს - ბულგარელ ელიზა რაევას ქულით გაუსწრო. ბოლო ორი კვირის განმავლობაში გურამიშვილმა ზედიზედ ორ ტურნირში გაიმარჯვა ქალებში.



სოფიკო გურამიშვილი

რაც შეეხება პალეოხორას საერთაშორისო ფესტივალის მეორე ქართველ მონაწილეს - ბესარიონ ხეცურიანს, გუშინ იგი უკრაინელ იაროსლავ ზინჩენკოსთან დამარცხდა და 6 ქულით 33-ე ადგილზე გავიდა.

ტურნირი 7,5-7,5 ქულით დაასრულეს უკრაინელმა იური კრივორუჩკომ და ლუქსემბურგელმა ალბერტო დავიდმა, რომლებმაც კოეფიციენტით, შესაბამისად, პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს. 7 ქულით მესამე ადგილზე მასპინძელი ხრისტოს ბანიკასი გავიდა.

**ვაჟა დანელია**

# ქართველთა მშვიდობიანი დღე

ჩეხეთში პარდუბიცეს საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში 31 ქვეყნის 279 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის - 55 დიდოსტატი. ამ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში საქართველოს სამი წარგზავნილიც იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულა ჰქონდათ ქართველ დიდოსტატ **კონსტანტინე შანავას**, ისლანდიელ **ჰანს სტეფანსონს** და ინდოელ **ჩანდრან პანჩანადანს.** გუშინ შავი ფიგურებით ისლანდიელმა ინდოელს სძლია და ერთპიროვნულად დაწინაურდა. შანავა ოთხქულიან რუს **ვიაჩესლავ ზახარცოვს** დაშორდა მშვიდობიანად.

თბილისელმა **დავით არუთინიანმა** წინა ტურების მონაგარ 4 ქულას მე-6 ტურში უკრაინელ **ანდრეი ბარიშპოლეცთან** ყაიმზე შეთანხმებით ნახევარი ქულა შესძინა. გუშინ, ასევე, დაზავება არჩია **დავით ჯოჯუამ** ჩეხ **ლეონიდ ვოლოშინთან** და 4 ქულას მოუყარა თავი.

**ვაჟა დანელია**

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** გამიგია, რომ საქართველოს ყინულის ჰოკეიში ჰყავდა ნაკრები, რომელიც 1961 წელს მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატში. ძალიან მაინტერესებს იმ ნაკრების შემადგენლობა. ვიცი, რომ ერთი ჩემი მოგვარე ყოფილა - მამალაძე. იქნებ „ლელოს" არქივში შემონახულია გუნდის სრული შემადგენლობა.

**დაზმირ მამალაძე**
ბათუმი

**პასუხი:** დიახ, „ლელოს" არქივში მართლაც აღმოჩნდა ყინულის ჰოკეიში საქართველოს პირველი ნაკრები გუნდის შემადგენლობა. აი ისიც: **კორძაია** (მეკარე), **ლეჟავა, სააკაძე, მამალაძე, სტაროსელცევი, სოკოლოვი, დონაძე, კალინინი, ნაცვლიშვილი, ზახაროვი** (მოთამაშე-მწვრთნელი). დავძენთ, რომ ვალენტინ ზახაროვი მოსკოვიდან იყო მოწვეული. გუნდის ორი არაქართველი წევრი კი საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა არმიის წარმომადგენელი იყო.

## ქართული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან



# ზარიბეგ ბერიაშვილი

დაიბადა 1939 წელს ავჭალაში. მამამ და პაპამ აზიარეს ჭიდაობას. მისი სპორტული კარიერა ქართული ჭიდაობით დაიწყო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლისას რომელიმე სპორტული დისციპლინა უნდა აერჩია და ზარიბეგმა თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში ისურვა. ერთი წლის შემდეგ 1958 წელს კიევში სტუდენტურ თამაშებში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, 1959 წელს კი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ჩემპიონი გახდა. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ერთი შეხვედრაც არ წაუგია, მაგრამ საპრიზო სამეულშიც ვერ მოხვდა (ქულობრივი დარიცხვის გამო).

1969 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1963, 1965, 1967 წლებში - მეორე პრიზიორი. ევროპის სამგზის ჩემპიონი (1966, 1967, 1970). ტოკიოს (1964) და მეხიკოს (1968) ოლიმპიადებზე შესაბამისად, მეექვსე და მეხუთე ადგილები დაიკავა. საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი. ფილასა და ღირსების ორდენების კავალერი. გამოდიოდა 70 და 74 კგ წონით კატეგორიაში.

## სათავეები

# ძალოსნობა

საქართველოში გავრცელებულ ხალხურ ასპარეზობათა შორის, ქართულ ჭიდაობასა და ცხენოსნურ თამაშებთან ერთად, პოპულარული იყო შეჯიბრებები სიმძიმეების აწევაში. ზემო სვანეთში, ხევსურეთში, ქართლსა და რაჭაში ხშირად იმართებოდა ძალ-ღონის გამოსაცდელი ტურნირები, რომელსაც სვანეთში „ბაჩალიკედ" ერქვა, სხვაგან - საჯილდაო ქვის აწევა. იყენებდნენ სხვადასხვა წონისა და ფორმის ქვას, სწევდნენ ცალი ან ორივე ხელით, გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. გარდა ამისა, სვანეთში გავრცელებული ყოფილა შეჯიბრება ორფუთიანი მრგვალი ქვის ცალი ხელით აწევაში („ბაჩა ლირიხვა აშხვ მეხარ"). დღეს სიმძიმესთან შეჭიდების ხალხური ტრადიცია თითქმის დავიწყებულია.

როგორც სპორტის კლასიკური სახეობა, ძალოსნობა საქართველოში 1910-იან წლებში დაინერგა. პირველი ჯგუფი 1912 წელს გაიხსნა თბილისში. პეტრე მარლანიძის მიერ ორგანიზებულ „ათლეტურ არენაში", გარდა ძალოსნებისა, გაერთიანდნენ მოჭიდავეები და მოკრივეები.



1918 წელი. პეტრე მარლანიძე (ზის) და ძალოსნობის სექციის წევრები (მარცხნიდან): გიორგი მიქაძე, პეტრე შირიატოვი, სერგო გელაძე

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. საქართველოს თასის მფლობელი საფეხბურთო კლუბი; 6. სასჯელი თამაშის წესის დარღვევისათვის; 7. ნავის მოსასმელი; 9. გოლი რაგბიში; 10. "ტავრიას" ქართველი ნახევარმცველი; 11. ვეტერანი ფეხბურთელი ... დათუნაშვილი; 14. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 15. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი (მეკარე), ვალტერ... ; 17. წყვილი ერთიანი კამათელზე; 18. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი უცხოელი მწვრთნელი; 19. სამბისტთა ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი; 20. საჩხერის საფეხბურთო კლუბი; 25. ძველი ქართველი ფალავანი ... ვერელი; 26. სტადიონებზე ადგილი მაყურებელისთვის; 28. საჭადრაკო ფიგურა; 31. წარსულში ცნობილი ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი; 32. სპორტის სათამაშო სახეობების ინვენტარი; 33. ლაშა მალაღურაძის ბოლო სარაგბო გუნდი; 34. კომბინაცია პოკერში.

**შვეულად:** 1. თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი 2006-08 წლებში; 2. სპორტის ზამთრის სახეობის ინვენტარი; 3. თბილისის "დინამოს" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი; 4. წარსულში ცნობილი ხელბურთელი, თამაზ ... ; 5. მექსიკის ნაკრების მეკარე ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე; 6. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ქალი; 8. დავით ლორიას ყაზახეთის საფეხბურთო კლუბი; 12. იხ სურათი: ქართველი ძალოსანი; 13. პირველი ქართველი პროფესიონალი სუმოისტი; 14. უმცირესი ფიგურა ჭადრაკში; 16. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი კალათბურთელი ქალი... ასიტაშვილი; 21. მსაჯი, იგივე...; 22. მანუჩარ მარკოიშვილის საკალათბურთო გუნდი; 23. ველოსარბიელი; 24. გულშემატკივრების დიდი ხმაური; 27. საჯარიმო შაიბა ჰოკეიში; 29. ნიკა ცქიტიშვილის მეტსახელი; 30. მძლეოსნობის იარაღი.

## თარიღი

### 28 ივლისი-3 აგვისტო

**28. 07. 1954 წ.** დაიბადა **თამაზ იმნაიშვილი** - სასტენდო სროლა.

**28. 07. 1939 წ.** დაიბადა **ომარ ეგაძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**28. 07. 1996 წ.** ფეხბურთში საქართველოს სუპერთასის გათამაშების ფინალში თბილისის „დინამომ" ბათუმელი დინამოელები 4:0 დაამარცხა და თასს დაეუფლა.

**29. 07. 1937 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ბარქაია** - ფეხბურთი.

**30. 07. 1970 წ.** დაიბადა **ლევან თიბილოვი** - ციგაობა.

**31. 07. 1970 წ.** დაიბადა **ქრისტინა ფალასანიდი** - სინქრონული ცურვა.

**01. 08. 1925 წ.** დაიბადა **მედეა (მზია) ჯუღელი** - ტანვარჯიში.

**01. 08. 1949 წ.** დაიბადა **ქეთევან ლოსაბერიძე** - მშვილდოსნობა.

**02. 08. 1940 წ.** დაიბადა **შენგელი ფიცხელაური** - ძიუდო.

**02. 08. 1940 წ.** დაიბადა **ოთარ მიმინოშვილი** - წყალბურთი.

**02. 08. 1991 წ.** დაფუძნდა სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**03. 08. 1922 წ.** დაიბადა **ავთანდილ ღოღობერიძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1980 წელს.

**03. 08. 1952 წ.** ჰელსინკში დამთავრდა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები.

## ვიქტორინა

**1. რომელ წელს მოიგეს ზედიზედ მესამედ ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა?**

ა — 1992 წელს
ბ — 1994 წელს
გ — 1996 წელს

**2. ვინ მონაწილეობს მძლეოსნურ შვიდჭიდში?**

ა — მხოლოდ ვაჟები
ბ — მხოლოდ ქალები
გ — ქალებიც და ვაჟებიც

**3. კალათბურთელთა რომელ ევროპულ ტურნირში იასპარეზებს საქართველოს ჩემპიონი „არმია"?**

ა — ევროჩელენჯზე
ბ — ევროთასზე
გ — ევროლიგაზე

**4. სად ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ჩოგბურთს?**

ა — თბილისში
ბ — ჭიათურაში
გ — ბათუმში

**5. რომელმა გუნდმა მოიპოვა ყინულის ჰოკეიში საქართველოს პირველ ჩემპიონატში (1961) უძლიერესის სახელი?**

ა — თბილისის მეორე გუნდმა
ბ — ბაკურიანის გუნდმა
გ — ახალქალაქის გუნდმა

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი სპორტსმენი, რომელშიც უცხოურმა კლუბმა მილიონზე მეტი (2 მლნ გირვანქა სტერლინგი) გადაიხადა, იყო ფეხბურთელი **გიორგი ქინქლაძე.** იგი „მანჩესტერ სიტიმ" შეიძინა.

**პირველებმა** საქართველოდან კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა **მურმან ქურიძემ** და **გიორგი ავალიშვილმა** იმსაჯეს 1980 წელს მოსკოვში.

**პირველად** ფეხბურთში სსრ კავშირის თასის პირველ გათამაშებაში ორმა ქართულმა კლუბმა ერთმანეთში მატჩი ჩაატარა 1936 წლის ივლისში. თბილისში ადგილობრივმა „დინამომ" ბათუმის თანაკლუბელებთან 0:0 ითამაშა, ბათუმში კი მასპინძლებს ორი გოლი **მიხეილ ბერძენიშვილმა** გაუტანა და მატჩიც 2:0 დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედრა მინისტრთან

# 20-წლამდელებმა B ლიგა მოიგეს და ორი ევრობასკეტის საგზური დაიმსახურეს

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 2012 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და სამშობლოში კარგი განწყობით დაბრუნდა. კიდევ უფრო ხალისით გამოვიდნენ 20-წლამდელები სპორტის მინისტრის **ლადო ვარძელაშვილის** კაბინეტიდან. გუშინდელი შეხვედრისას სპორტის ხელმძღვანელმა საქართველოში თასით დაბრუნებულებს ღირებული საჩუქარი გაუკეთა - ევროპის ჩემპიონატზე დასასწრებად წაყვანას დაჰპირდა: 20-წლამდელთა ნაკრები სრული შემადგენლობით აგვისტოს ბოლოს ლიტვაში გაემგზავრება და უქომაგებს ეროვნულ გუნდს, რომელშიც მათი მეგობარი **თორნიკე შენგელია** იასპარეზებს.



მოვუსმინოთ სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილს:

*- ახალგაზრდულმა ნაკრებმა B დივიზიონში კარგად ითამაშა, ძლიერი გუნდები დაამარცხა და მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. მინდა, მის თითოეულ წევრს მივულოცო ეს წარმატება და დავპირდე, რომ სამინისტროს მხრიდან კალათბურთის მიმართ მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზრდება. რაგბის და ფეხბურთის მსგავსად დიდი ყურადღება მიექცევა ინფრასტრუქტურის განვითარებას და შიდა ჩემპიონატის გაძლიერებას. 20-წლამდელთა ნაკრები კი სამინისტროსგან საჩუქარს მიიღებს, ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი დაფინანსებით გაემგზავრება.*

B დივიზიონში გამოსვლა გაიხსენა მეორე მწვრთნელმა **არჩილ ჟღენტმა:**

*- ჩემპიონატში არაერთი ძლიერი გუნდი მონაწილეობდა და იოლად ვერც ერთის ძლევა მოვახერხეთ. გადამწყვეტი იყო ესტონეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა შეხვედრაში გამარჯვება, რომლის შემდეგაც საკუთარი შესაძლებლობებისა ბოლომდე ვირწმუნეთ და დავიჯერეთ, რომ დივიზიონის მოგება რეალური იყო. წლევანდელი გუნდიდან ევროპის მომავალ ჩემპიონატზე სამი კალათბურთელი ითამაშებს, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე და ნოდარ თენიეშვილი. იმედი მაქვს, მათ სხვებიც კარგად აუბამენ მხარს და ელიტაში ადგილის შენარჩუნებას შევძლებთ.*

**ბექა ჩიკვილაძემ** სპორტის სამინისტროს საჩუქრისთვის მადლობა გადაუხადა და ბოსნიურ ამბებზე ილაპარაკა:

*- გასახარია, რომ ერთთვიანმა წინასაჩემპიონატო მზადებამ შედეგი გამოიღო - ევროპის პირველობის საგზური მოვიპოვეთ. დასაწყისში ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იყო. პირველი ეტაპის გადამწყვეტ მატჩში ესტონეთი დავამარცხეთ და ვირწმუნეთ, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო. მომდევნო შეხვედრები კიდევ უფრო თავდაჯერებულად ჩავატარეთ და მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა.*

ბექამ სამართლიანობაზეც ილაპარაკა:

*- ფინალში ლიგის ორი საუკეთესო გუნდი გავიდა - ესტონეთი და საქართველო. ბალტიისპირელებს არცთუ მაღალი შემადგენლობა ჰყავდათ და პერიმეტრიდან ყველა კარგად ისროდა. ჩვენი გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო დაბალანსებული, გვყავდა ლიდერი თორნიკე შენგელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ გუნდურად არ ვთამაშობდით. წარმატებას სწორედ გუნდური გარჯის წყალობით მივაღწიეთ.*

ესტონეთთან დაპირისპირების გარდა იყო კიდევ ერთი გადამწყვეტი მატჩი - ნახევარფინალი ჩეხეთთან, რომლის მოგება ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების ტოლფასი იყო. ჩეხების ფარქვეშეთს მეთვალყურეობდა 215 სმ სიმაღლის **ონდრეი ბალვინი,** რომელიც ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. მისი მეურვეობა **აკაკი დვალიშვილს** უწევდა...

*- ბალვინის შეჩერება რთული იყო, მაგრამ ეს მაინც შევძელით - ჩემთან ორთაბრძოლისას იგი ოთხჯერ დაჯარიმდა (სამჯერ შეტევაში), საბოლოოდ ხუთი ფოლი მიიღო და გადამწყვეტ მომენტში გუნდს ველარ დაეხმარა. ჩეხეთთან გამარჯვება არანაკლებ რთული იყო, ვიდრე ესტონეთთან... დანიელებსაც კარგი ცენტრი ჰყავდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ 2-3 კალათბურთელი იყო გამორჩეული და გამარჯვება არ გაგვჭირვებია, - აღნიშნა დვალიშვილმა.*

დანიამ და ჩეხეთმა საქართველოს მოხსნებში აჯობეს, თუმცა საოცარია, რომ მოწინააღმდეგეებს ფარქვეშიდან ქართველთა კალათის დალაშქვრა უჭირდათ.

*- ბოლო მატჩებში დაცვაში თამაში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ და ამის ბრალიც იყო, დანიამ და ჩეხეთმა ფარქვეშიდან ბევრი რომ ვერ ჩააგდეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანიასთან მატჩში სტატისტიკა აირია - მეტოქემ მოხსნებში კი გვაჯობა, მაგრამ არა იმდენით, რამდენიც ოქმში ჩაიწერა (29:38), - განაგრძობს* **დუდა სანაძე,** *რომელმაც ქართველთაგან ყველაზე მეტი სამქულიანი ჩააგდო. საინტერესოა, რომ დასკვნით მატჩებში ჩვენი გუნდის მიერ სამქულიანი ტყორცნების რაოდენობამ იკლო...*

*- ამის მიზეზი დაძაბულობის მატება იყო და მეტოქეებიც გაცილებით ძლიერები იყვნენ პირველ ეტაპთან შედარებით, - აღნიშნა სანაძემ.*

ნაკრების მწვრთნელმა, **დავით უსტიაშვილმა** ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ თქვა: ესტონეთთან შეხვედრა არასოდეს დამავიწყდებაო. ამ მატჩის კულმინაციაზე შეხვედრის გმირი **მერაბ ბოქოლიშვილი** მოგვითხრობს:

*- ესტონეთს ნომინალური ცენტრი არ ჰყავდა - ხუთივე კალათბურთელი ტანდაბალი გახლდათ და სწრაფ კალათბურთს თამაშობდა. ბოლო პერიოდში მეტოქემ 13-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და სირენამდე 14 წამით ადრე 87:86 დაწინაურდა. ბოლო შეტევის უფლება ჩვენ გვქონდა. ბურთი გავათამაშეთ, თუმცა თენიეშვილის ნატყორცნმა მიზანს ვერ მიაღწია. ფარიდან ასხლეტილი ბურთი ჩემკენ დაეშვა, მოვხსენი და დაუფიქრებლად ვესროლე, რადგან მატჩისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა. ბურთი კალათში ჩაეშვა... ესტონეთს მეორედაც დავუპირისპირდით, თუმცა ფინალური შეხვედრა შედარებით ნაკლებად ემოციური იყო, რადგან ორივე გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა განაღდებული ჰქონდა.*

სპორტის სამინისტროდან გასული კალათბურთელები ერთმანეთს ასე დაემშვიდობნენ - აგვისტოს ბოლოს, ლიტვაში, ევრობასკეტზე შევხვდებითო.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

# ისევ ფრე

**27 ივლისი**

**ვარნა (ბულგარეთი)**

| საქართველო-ინგლისი | 59:61 |
|---|---|

**15:16, 8:19, 19:7, 11:11, 6:8**

**საქართველო:** ჩოჩია (20 წთ, 4ქ, 3ვ), ნადირაძე (4 წთ), რამიშვილი (22 წთ, 4ქ, 6ვ), ბურჯანაძე (38 წთ, 9ქ, 16მ, 2ჩ), კვანტალიანი (20 წთ, 4ქ, 4მ), ლოლიშვილი (31 წთ, 11ქ, 4მ, 2ვ), მიქელაძე (34 წთ, 11ქ, 4ვ), ლობჟანიძე (10 წთ, 9ქ), ცირეკიძე (25 წთ, 6ქ, 5მ), როგავა (1ქ; 11 წთ), გრძელიძე (10 წთ)

**ინგლისი:** კრუკი (12ქ, 12მ), ესპრიტი (18ქ), სენტანსი (13ქ, 6მ)...

საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, 2 ნაგება, 2 ფრე - ასეთია საქართველოს 18-წლამდელთა სადღეისო მონაგარი B დივიზიონში. ახლა საკალათბურთო ენაზეც ვთარგმნოთ: ჩვენმა ჭაბუკებმა ზედიზედ მეორე ოვერტაიმი ითამაშეს და წინა შემთხვევისგან განსხვავებით, დამატებით დროში ამჯერად 59:61 დამარცხდნენ.

...59:61 - ეს ანგარიში დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად გაახსენდებოდა. სწორედ ასე წააგო საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2008 წელს შვედეთის ქალაქ უმეოში. მაშინ **იგორ კოკოშკოვის** გუნდმა ბოლო პერიოდში 16-ქულიანი ჩამორჩენა ორამდე დაიყვანა. გუშინ ქართველ 18-წლამდელებს ინგლისელებმა 12 ქულით გაასწრეს, მაგრამ ჩვენმა გუნდმა სხვაობა მალევე აღმოფხვრა. ძირითადი დროის დასრულებამდე წუთით ადრე ბრიტანელები ორი ქულით იგებდნენ, თუმცა ქუთაისელმა **ცირეკიძემ** 41 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა (53:53) და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებითი ხუთწუთეულიც ქულაქულაში მიმდინარეობდა. ოვერტაიმის ბოლო წუთიც ცირეკიძის აქტიურობით აღინიშნა, რომელმაც 50 წამით ადრე საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა, თუმცა სირენას სამი წამი უკლდა, როცა ინგლისელმა ესპრიტმა ორქულიანი გამოიყენა - 61:59. დარჩენილ დროში **ალეკო ჩოჩიამ** სამქულიანი ისროლა, თუმცა არაზუსტად.

საქართველოს ნაკრებში **ბექა ბურჯანაძემ** 16 მოხსნა მიითვალა, თუმცა ორმაგი დუბლი მაინც ვერ შეასრულა - 9 ქულა ჩააგდო. 10-ქულიან ზღვარს ორი კალათბურთელი ასცდა, **ლოლიშვილი** და **მიქელაძე**. ორივემ 11-11 ქულა ჩააგდო.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს თითო მოგება-წაგება აქვს. უახლოეს მატჩს ჩვენები დღეს პორტუგალიასთან გამართავენ. შეხვედრა თბილისის დროით 20:15 საათზე დაიწყება.



საქართველოს ნაკრების მეტოქე



უტევს კალოიან ივანოვი

# ბულგარეთმა ხორვატიით დაიწყო

ევრობასკეტზე ჩვენი ეროვნული გუნდის მოწინააღმდეგე ბულგარეთმა პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შავი ზღვისგალმელები ოსიეკში ხორვატებს ეწვივნენ და 54:77 დათმეს.

საინტერესოა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ბულგარელები 32:31 დაწინაურდნენ, თუმცა მესამე პერიოდში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ხორვატებმა 25:9 მოიგეს და მატჩის ბედიც ნაადრევად გადაწყვიტეს.

შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ბულგარელთა ერთ-ერთ ლიდერ **დეიან ივანოვს.** მისი ტყუპისცალი კალოიანი კი სტუმართა ბომბარდირი გახდა - 16 ქულა ჩააგდო.

აქვე მოგახსენებთ, რომ 29 ივლისიდან ბულგარელები ჩაერთვებიან იტალიის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მათ გარდა მასპინძლები, კანადელები და მაკედონელები ითამაშებენ.

| ხორვატია-ბულგარეთი | 77:54 |
|---|---|

**20:19, 11:13, 25:9, 21:13**

**ბულგარეთი:** კ. ივანოვი (16ქ, 8მ), ავრამოვი (8ქ), კოსტოვი (6ქ), ვიდენოვი (8ქ, 4ვ), ვარბანოვი (8ქ, 6მ), ს. გეორგიევი (4ქ), იანევი, გრუევი (3ვ), მარინოვი, ბანევი (2ქ), ველიკოვი (2ქ), ლილოვი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაბზონი 2011

# პირველი მედლები ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე



კახა ბერიძე
ტრაბზონიდან
სპეციალურად ლელოსთვის

TRABZON2011
11TH EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
AVRUPA GENÇLİK OLİMPİK OYUNLARI

„დღესვერაფრით გაგახარეთ, მაგრამ ღმერთი ისე როგორ გაგვწირავს, აქედან უმედლოდ დავბრუნდეთ. ახლაც ვერ გამიგია მამისაშვილს რა დაემართა, არადა, მალტაში კონტინენტის პირველობა ერთი ამოსუნთქვით მოიგო. სტარტზე იტალიელთან მოგების შემდეგ იმედი მქონდა, ვანოს მეორე სუნთქვა გაეხსნებოდა, მოსათელ ოთახშიც გავამხნევე და რჩევები მივეცი, მაგრამ ალბათ გუშინ მისი დღე არ იყო" - წუხდა ძიუდოში პირველ საშეჯიბრებო დღეს განცდილი ფიასკოს შემდეგ **გიორგი ვაზაგაშვილი.** ხასიათი მთავარ მწვრთნელს ოდნავ გუშინ გამოუკეთდა, როდესაც მისმა შეგირდებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიგეს, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ. ვაზაგაშვილს საფიქრალი ნამდვილად აქვს, რადგან სულ მალე კიევში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. **ზვიად ხუბულურმა** და **ვანო მამისაშვილმა** იმდენად უგერგილოდ იჭიდავეს, რომ ვშიშობდით, ამას გუნდზე უარყოფითად არ ემოქმედა.. თავად განსაჯეთ, ორთავე მათგანმა ასპარეზობა ისე დაასრულა, რომ ერთი ილეთიც არ შეუსრულებიათ. გასაგებია, რომ ყველგან და ყოველთვის ვერ მოიგებ, მაგრამ მთავარია, გამარჯვების წყურვილი გქონდეს და ლტოლვა გეტყობოდეს. სამწუხაროდ, იმ დღეს მათში ბრძოლის ჟინი არ ჩანდა. ამ ამბავმა ერთი შემთხვევა გამახსენა, რომელიც 2001 წლის მურსიის ანალოგიურ თამაშებზე მოხდა. მაშინ ძიუდოისტი **ჯარჯი ზვიადაური** საქართველოს ღირსებას იცავდა და ერთ-ერთი შეხვედრისას მეტოქემ იგი ვაზარზე დააგდო. იმ მომენტში ჯარჯის თვალები და შეშლილი სახე ახლაც არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან. ტატამიდან წამოდგა, ტაბლოს გახედა, კიმონო გაისწორა და მეტოქე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით დაჭმუჭნა. რა გასაკვირია, რომ კარგი დღე არც სხვებს დასდგომიათ და მაშინ ჯარჯი ზვიადაური, ახლა კი უკვე ილიას ილიადისი ჩემპიონი გახდა.

მოდით, ისევ ტრაბზონულ ამბებს დავუბრუნდეთ. ძიუდოისტთა ნაკრები თურქეთში ფავორიტის სტატუსით სარგებლობდა და გუნდურში გამარჯვებაც გადაუჭრელ ამოცანად არ მიიჩნეოდა. ტრაბზონული რვაეულიდან შვიდი ძიუდოისტი ევროპირველობის მედალოსანია და ფესტივალზეც ევროპიდან თითქმის იგივე შემადგენლობა შეიკრიბა, რაც ერთი თვის წინ მალტაში. გუშინ ძიუდოში მედლები ქალთა შორის 52,57, ხოლო ვაჟებში 60,66 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდა. სიურპრიზი შემოგვთავაზა **მარიამ ჯანაშვილმა** (57კგ), ვინაც საწყისი შეხვედრა იტალიელ **ჟულია კორიერისთან** კი დათმო, მაგრამ შემდეგ ისლანდიელ, ფინელ და უკრაინელ მეტოქეებს დამაჯერებლად მოუგო და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება გაინაღდა. გოგონათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია თენაძე** გვპირდებოდა, რომ ერთი მედლის მოპოვება რეალური იყო და შეგირდსაც მასწავლებლის იმედების გასამართლებლად სულ ცოტა დააკლდა. III ადგილისთვის შეხვედრაში ჯანაშვილი წლევანდელ ევროპის ჩემპიონს ჰოლანდიელ **ველემა დოს** დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ ერთი იუკოთი წააგო. გოგონებში მეორე მონაწილემ **მარიამ ციხელაშვილმა** სტარტზე იტალიელ **დანიელა რაისთან,** ხოლო შემდეგ პოლონელ **დობროვოლსკისთან** წააგო და ასპარეზობაც ამით დაასრულა.

ვაჟთა შორის ტატამზე ევროპის ვერცხლის პრიზიორი **თამაზ კირაკოზაშვილი** (60კგ) და **გიორგი მუზაშვილი** გავიდნენ და ორთავემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ნიშანდობლივია, რომ მუზაშვილი ტრაბზონში მომავალ ავტობუსს ზურაბიანი ტრამვის გამო ბოლო წამს შეახტა და მანაც მწვრთნელს იმედები არ გაუცრუა. მართალია, სტარტზევე წააგო თურქ **მურატ ბექთაშთან,** თუმცა შემდეგ დამამშვიდებელში იყოჩალა, ჩერნოგორიელ, ჰოლანდიელ და უკრაინელ კიმონოისტებს შანსი არ დაუტოვა და მკერდიც ბრინჯაოთი დაიმშვენა.

თამაზ კირაკოზაშვილზე მწვრთნელები უპირობო მედალს გეგმავდნენ. ის კი არა, მისი საჩემპიონო შანსებიც აქტიურად განიხილებოდა. საწყისი ორი შეხვედრა მან იტალიელ და ჰოლანდიელ მეტოქეებთან დამაჯერებლად გაიარა, ხოლო რაც ისრაელის წარმომადგენელ **ალექსანდრე რასკოპინთან** მოხდა, ამას ძნელია, ახსნა მოუძებნო. ქართველი გაფრთხილებით კი აგებდა, მაგრამ შემდეგ ორი 100-პროცენტიანი გდება შეასრულა და არც ერთი არ ჩაუთვალეს. საბოლოოდ გამარჯვებაც აღთქმული მიწის ქვეყნის ძიუდოისტს დარჩა. რეპეშაჟში „კირაკოზამ" ერთიმეორის მიყოლებით გააკრა ბეჭებზე ფინელი, მოლდოველი, ბოსნიელი და ბრიტანელი მეტოქეები და ბრინჯაოს დაეუფლა.

პირველი დღისგან განსხვავებით, მძლეოსნები ოდნავ გამოფხიზლდნენ და გუშინ გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენეს. სამხტომში ახმეტელი **ლაშა ლულელაური** 15,42 მეტრზე გადახტა და ფინალში საუკეთესო 12 მონაწილეში შევიდა. სხვათა შორის, ლულელაურს დილით ტრამვა აწუხებდა და ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** ყველაფერი გააკეთა მის ფეხზე დასაყენებლად. როგორც მწვრთნელები ამბობენ, დიდი შანსია დღეს ლულელაურმა მედლის რაიონში იტრიალოს და რომელიმე სინჯსაც გამოჰკრას ხელი. სხვათა შორის, ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი ლაშამ 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა. 200 მეტრზე სირბილში **სალომე სირაძემ** კვალიფიკაცია გადალახა და ნახევარფინალში გავიდა, ხოლო იმავე დისციპლინაში **გიორგი აზარაშვილს** ხელი მოეცარა. რაც შეეხება **თინათინ პაპუაშვილს,** იგი 1500 მეტრზე სირბილში მე-8 იყო.

დღეს ასევე ასპარეზობაში ჩაერთვებიან ძიუდოისტები **ლევან გუგავა** (73კგ) და **ბექა ლვინიაშვილი** (81კგ). გული გვიგრძნობს, ოქროს უნდა გავუსინჯოთ გემო.

აღდგომა და ხვალეო. იმედია ხვალინდელი რეპორტაჟი ოქროს მედლით გამოწვეული სიხარულითა და ემოციებით იქნება გაჟღენთილი.

მსოფლიოს თასი


Make Georgia welcome here

They're quite a lot like us

With less than two months to go before the opening match of Rugby World Cup 2011 the Wairarapa is in no doubt which team will be visiting the region for a week during the tournament.

With a population of 4.6 million, Georgia shares a number of similarities to New Zealand: Rugby is the national sport, wine is a main industry, but their pride in being friendly and hospitable is certainly one thing that every Kiwi would appreciate.

"We want the Wairarapa to give the Georgia rugby team the biggest, warmest welcome that they experience during their stay in New Zealand," says RWC 2011 Wairarapa events co-ordinator, Catherine Rossiter-Stead.

"This starts by adopting Georgia as our second team. We asked



We want the Wairarapa to give the Georgia rugby team the biggest, warmest welcome that they experience during their stay in New Zealand.

Catherine Rossiter-Stead
RWC 2011 Wairarapa events co-ordinator

# მასტერტონი ბორჯღალოსნების დასახვედრად ემზადება

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს, სარაგბო ბაზაზე ემზადება. პარალელურად, „ბორჯღალოსნების" დასახვედრად ემზადებიან ახალ ზელანდიაშიც.

ჩვენი ეროვნული გუნდი 18 სექტემბერს ინგლისთან მატჩის შემდეგ ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთ რეგიონში ვაირარაპაში, კერძოდ, ქალაქ მასტერტონში გადაბარგდება და იქ ერთ კვირას დაყოფს. ამ ქალაქში საქართველოს ნაკრების გარდა სხვა არც ერთი გუნდი არ იცხოვრებს და, ამდენად, მსოფლიოს თასის გათამაშება მასტერტონში ჩვენი გუნდის სტუმრობით შეაბიჯებს.

ქალაქის მცხოვრებლები „ბორჯღალოსნების" დასახვედრად და პალმერსტონში გასამართ ორ მატჩში საქომაგოდ დიდი ხანია ემზადებიან. ახლახან გაზეთმა „ვაირარაპა ნიუსმა" საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა ჩვენი ნაკრების მომავალ სტუმრობას, რომელშიც ქომაგთა კლუბის კოორდინატორი **კეტრინ როზიტერ-სტიდი** თავიანთ გეგმებზე მოგვითხრობს.

წერილი მკითხველს, მართალია, მინიმალურ, მაგრამ მაინც საჭირო ინფორმაციას აწვდის და ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებს, საქართველოს ნაკრებს მხარი დაუჭიროს.

გუშინ ღამით კი მასტერტონში მოხალისეები შეიკრიბნენ, რათა საქართველოს ნაკრების ქომაგთა კლუბთან ერთად დაგეგმონ „ბორჯღალოსნების" ღირსეულად მასპინძლობის ღონისძიებები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

მეტოქეები

# კონტეპომის უელსელებთან ტესტის იმედი აქვს

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, არგენტინის ეროვნული გუნდი ამჟამად ბუენოს აირესში იმყოფება. „პუმებმა" სამკვირიანი ფიზმომზადების ეტაპი კოლორადოში გაიარეს და ახლა თავიანთ დედაქალაქში სათამაშო სქემების დამუშავებაზე ზრუნავენ.

არგენტინელები აგვისტოს დასაწყისში ევროპაში გამოემგზავრებიან და რამდენიმე ტესტმატჩს გამართავენ. ამ შეხვედრებიდან ერთ-ერთი 20 აგვისტოს კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრებთან გაიმართება, რომელსაც არგენტინელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

„ვფიქრობ, რომ ეს თამაში მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე გენერალური რეპეტიცია იქნება. მით უფრო, რომ პირველი მატჩი ახალ ზელანდიაში ჯგუფური ტურნირის მთავარ ფავორიტთან, ინგლისის ნაკრებთან გვაქვს.

უელსთან ძალების მოსინჯვა საშუალებას მოგვცემს, რაც აქამდე ვიმუშავეთ საქმეში გამოვცადოთ. დარწმუნებული ვარ, მატჩი შესანიშნავი გამოვა და ორივე გუნდი, ჩვენც და უელსიც, მას უმთავრესი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად კარგად გამოვიყენებთ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის გარემო, რომელიც კარდიფში, „მილენიუმზე" გველის. მსოფლიოს ძალიან ბევრ სტადიონზე მითამაშია, „მილენიუმი" კი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, შესაძლოა ყველაზე უკეთესიც. ის სწორედ რაგბისთვისაა შექმნილი და რაგბით ცხოვრობს, სუნთქავს, საზრდოობს. აქ, კარდიფის ცენტრში, ყველაფერი, ჰაერიც კი რაგბითაა გაჟღენთილი. „მილენიუმზე" ბოლოს 2007 წელს ვითამაშე და მიხარია, რომ ოთხი წლის შემდეგ ისევ მომიწევს მის მწვანე გაზონზე ფეხის დადგმა" - თქვა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა, მგეზავმა **ფელიპე კონტეპომიმ.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# შოტლანდიას საუთვილი დააკლდა

საქართველოს ნაკრების მეტოქეს, შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს თასზე გამოცდილი ფულბეკი, 31 წლის ჰუგო **საუთვილი** დააკლდება.

„ნარშავების" ერთ-ერთმა წამყვანმა მორაგბემ, რომელმაც 2007 წლის მსოფლიოს თასზე ხუთ მატჩში ითამაშა, ტრავმა მაისში მიიღო. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მან ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ შეძლო და ახალ ზელანდიაში არ ითამაშებს.

„ძალიან ვწუხვარ ჰუგო საუთვილის გამო. ასეთი გამოცდილი მორაგბის არყოფნა გუნდის შემადგენლობაში ჩვენთვის დიდი დანაკლისია. ჰუგომ ძალ-ღონე არ დაიშურა, ბევრი იშრომა, მაგრამ ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ შეძლო. მას გუნდთან ერთად, ფაქტობრივად, არ უვარჯიშია და გადავწყვიტეთ, ახალ ზელანდიაში სავარაუდოდ წამსვლელთა სიაში აღარ შეგვეყვანა" - თქვა შოტლანდიის ნაკრების თავკაცმა **ენდი რობინსონმა.**

„სკოტების" საწვრთნელ ბანაკში ახლა 38 მორაგბეა. მსოფლიო თასზე წამსვლელთა 30-კაციან სიას რობინსონი 22 აგვისტოს გააცხადებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სამი ერი

# მაქქოუს რვა ნომერზე ამზადებენ

სამი ერის გათამაშებაში, შაბათს ახალი ზელანდიის ნაკრები მსოფლიოს თასის ამჟამინდელ მფლობელ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ოლ ბლექსისთვის" მიმდინარე შეჯიბრებაში ეს პირველი შეხვედრაა და პრობლემებით აღსავსე „ბოკეს" შესაძლოა, ექსპერიმენტული შემადგენლობით დახვდეს.

ექსპერიმენტი კი, სავარაუდოდ, არც მეტი, არც ნაკლები, ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანს და ლიდერს, **რიჩი მაკქოუს** შეეხოს. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე, გამორიცხული არ არის, სამხრეთაფრიკელებთან მატჩში რვა ნომრის პოზიციაზე დააყენონ. თუმცა ამას უარყოფს „ოლ ბლექსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **სტივ ჰანსენი,** თუმცა ამავე დროს კატეგორიულიც არ არის.

„რიჩი მაკქოუ მსოფლიოში საუკეთესო ფლანკერია (N:7), ამიტომ მისი რვა ნომერზე გადაყვანა თუნდაც ერთ შეხვედრაში, სწორი არ იქნებოდა. ჩვენ გვჭირდება, რომ წინა ხაზში მოძრავი, სწრაფი და შრომისუნარიანი მოთამაშე გვყავდეს. მაკქოუ სწორედ ასეთია. ის თავისი თამაშით რვა ნომერს გარჯას უადვილებს, რაც ხშირ შემთხვევაში ჩვენი გუნდის წარმატების საწინდარია.

ისე, მაკქოუს სიდიადე იმაშიცაა, რომ რვა ნომერზეც არანაკლებ ეფექტურად შეუძლია თამაში და ზოგადად, გაჭირვების ჟამს, სათადარიგო რვა ნომრად მოვიაზრებთ" - თქვა სტივ ჰანსენმა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი



მაიკლ ფელპსი

# ლეგენდა ცოცხალია

გუშინდელი პროგრამა ყველაზე საინტერესო ფინალით დაიწყო - 200 მეტრი ბატერფლაი. ეს ლეგენდარული **მაიკლ ფელპსის** ერთ-ერთი საყვარელი დისტანციაა, თუმცა წინა დღეს საკვალიფიკაციო გაცურვებსა და ნახევარფინალში ამერიკელი ჩამორჩებოდა კონკურენტებს.

როგორც ჩანს, ფელპსმა ამ ხერხით მეტოქეთა ყურადღება მოადუნა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელი ფინალი მისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი სტარტიდანვე დაწინაურდა და 150 მეტრი ლიდერის რანგში გაცურა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად მას იაპონელმა **მაცუდამ** გაუსწრო და თითქოს ოქროს ბედიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მსოფლიოს მოქმედმა რეკორდსმენმა ბრწყინვალე საფინიშო სპურტით გვერდით ჩაუარა აზიელს და ამ ჩემპიონატზე პირველი ტიტული მოიგო. მართალია, ფელპსს გაუჭირდა, მაგრამ დრო საკმაოდ მაღალი აჩვენა - 1.53,34. მესამე ადგილისთვის ბრძოლა ჩინელმა **პენ ვუმ** მოიგო.

კიდევ ერთი საინტერესო გაცურვა იყო ფინალი ქალებს შორის 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. შემადგენლობა ძალიან ძლიერი იყო: **ფედერიკა პელეგრინი, ელისონ შმიტი, ფემკე ჰეემსერკი** და ა.შ. პელეგრინის აქ უკვე მოპოვებული ჰქონდა ერთი ოქრო და ახლა დუბლს უმიზნებდა, მით უმეტეს, რომ ამ დისტანციაზე იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონიცაა და რეკორდის მფლობელიც.

ფინალს ძალიან საინტერესო დასაწყისი ჰქონდა. პირველივე მეტრებიდან ინიციატივა ჰოლანდიელმა ჰეემსკერკმა მოიპოვა, მასთან ახლოს იყო ნორჩი გერმანელი **ზილკე ლიპოკი** - ის ლიდერებს შორის 150 მეტრი იმყოფებოდა და პოტენციურ პოდიუმზე ენაცვლებოდა **ელისონ შმიტს**. თუმცა პელეგრინიმ კარგად გაანაწილა ძალები და ყველა კონკურენტი ჩამოიცილა, რითაც ტიტული დაიცვა. საოცარია, მაგრამ ვერც ჰეემსკერკი, ვერც ლიპოკი და ვერც შმიტი პოდიუმზე ვერ მოხვდნენ - მათ დისტანციის ბოლო 50 მეტრი ჩააგდეს. მოულოდნელად მეორე საფეხურზე აღმოჩნდა ავსტრალიელი **კაილი პალმერი**, მესამეზე - ამ სეზონის სიურპრიზი, ფრანგი **კამილ მუფა**.

მოლოდინი გაამართლეს მამაკაცებს შორის 800 მეტრზე ფინალში ფავორიტებმა. 19 წლის **იან სუნმა** მარტივი ტაქტიკა აირჩია - სტარტიდან გავიდა წინ და მთელი გაცურვის განმავლობაში მხოლოდ ზრდიდა თავის უპირატესობას. საბოლოოდ, ჩინელმა სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა. მთელი ფინალი მეორეზე იმყოფებოდა **რაიან კოჰრეინი**, მესამეზე - **უსამა მელული**, მაგრამ თუ კანადელმა კოჰრეინმა შეინარჩუნა ვერცხლის მედალი, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მელულიმ ბოლო მეტრებზე წააგო უნგრელ **გერგო კიშთან**.

კიდევ ერთი ვარსკვლავური ფინალი ვიხილეთ 50 მეტრზე ბრასით ცურვაში. აქ ხელი მოეცარათ მსოფლიოს მოქმედ რეკორდსმენს **ვან დერ ბურგს** და ორ ფავორიტს - **სკოცოლისა** და **დალე ოენს**. გამარჯვება კი მეხუთე ბილიკზე მყოფმა ბრაზილიელმა **ფელიპე ალვეშ ფრანკ და სილვამ** მოიპოვა.

**კაცები**

**200 მ. ბატერფლაი.** 1. მაიკლ ფელპსი (აშშ) - 1:53,34; 2. ტაკეში მაცუდა (იაპ) - +0,67; 3. პენ ვუ (ჩინ) - +1,33...

**800 მ. თავისუფალი.** 1. იან სუნი (ჩინ) - 7:58,57; 2. რაიან კოჰრეინი (კან) - +3,29; 3. გერგო კიში (უნგ) - +6,37...

**50 მ. ბრასი.** 1. ფელიპე ალვეშ ფრანკა და სილვა (ბრა) - 27,01; 2. ფაბიო სკოცოლი (იტა) - +0,16; 3. კემერონ ვან დერ ბურგი (ს. აფრ) - +0,18...

**ქალები**

**200 მ. თავისუფალი.** 1. ფედერიკა პელეგრინი (იტა) - 1:55,58; 2. კაილი პალმერი (ავსტრა) - +0,46; 3. კამილ მუფა (საფ) - +0,52...

კალათბურთი

# კობი 30 ივლისს გადაწყვეტს

თურქეთის „ბეშიქთაშის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტი **სერეფ იალჩინი** აცხადებს, რომ „ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** კლუბის წარმომადგენლებს 30 ივლისს შეხვდება. „ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობის აქტიურობის მიუხედავად, იალჩინი ამ გარიგების განხორციელების ალბათობას 50 პროცენტით აფასებს.

*„დღეისთვის 50 პროცენტის ვარაუდით შეიძლება იმის თქმა, რომ კობი თურქეთში ითამაშებს. ყველაფერი 30 ივლისის შემდეგ გახდება ცნობილი. მართალია, პრესამ ბევრი ჭორი გაავრცელა, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ არ გვილაპარაკია კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე. მხოლოდ სავარაუდო თანამშრომლობის შესახებ იყო მოლაპარაკება. FIBA-ში უკვე გავაგზავნეთ ოფიციალური თხოვნა, კობის კი დრო სჭირდება ყველაფრის მოსაფიქრებლად. გვჯერა, რომ ის დადებით პასუხს მოგვცემს. ფული ჩვენთვის პრობლემა არ არის. გარიგების სპონსორები გახდებიან ისეთი კომპანიები, როგორებიც არიან - Turkish Airlines, M-Oil და Milan Petrol"*, - ამბობს იალჩინი.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე აგენტი მეტად წინდახედული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ლოკაუტის პერიოდი დადგა, ცალკეული მოთამაშე მაინც მიიღებს ხელფასს.

ამ იღბლიანი მოთამაშეების რიცხვში შედიან: **ბენ გორდონი** „დეტროიტიდან", **ზაკ რენდოლფი** „მემფისიდან", **კერონ ბატლერი** „დალასიდან" და **ალფარუკ ამინი** „კლიპერსიდან".

როგორც გაირკვა, ამ კალათბურთელების აგენტი გახლავთ **რეიმონდ ბრაზერსი**, რომელმაც მოთამაშეთა კონტრაქტებში მიუთითა პუნქტი, რომლის მიხედვითაც კალათბურთელთა ხელფასი 18 და 24 თვემდე გაიწელება იმ შემთხვევაში, თუ ლოკაუტის გამო მატჩები გაუქმებდა.

■ ■ ■

როგორც უკვე ვწერდით, „ლეიკერსმა" ეკონომიის მიზნით 11 თანამშრომელი დაითხოვა, მათ შორის გენერალური მენეჯერის თანაშემწე **რონი ლესტერი**. თანამდებობის დატოვების შემდეგ რონიმ ჟურნალისტებს იმ პრობლემების შესახებ უამბო, რაც კალიფორნიულ კლუბში არსებობს.

ლესტერის თქმით, დღეს „ლეიკერსის" რიგებში უთანხმოებაა სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგალითად, კლუბის გენერალურ მენეჯერს **მიტჩ კუპჩაკს** სურს განთავისუფლებული თანაშემწის დაბრუნება, მაგრამ კლუბის მფლობელთან **ჯერი ბასთან** კონსენსუსს ვერ მიაღწია.

*„კუპჩაკმა არაერთხელ უთხრა ბასს, რომ მე მას ძალიან ვჭირდები, მაგრამ კლუბის ბოსისგან დღემდე ვერ მიიღო პასუხი,* - ამბობს რონი ლესტერი. - *მთავარი პრობლემა კი იმაშია, რომ ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ არა მარტო ამ საკითხში, არამედ ბევრი პრობლემის მოგვარებაში. ეს კლუბის განვითარებას ძალიან ამუხრუჭებს".*

■ ■ ■

NBA-ის ერთ-ერთი ვარსკვლავი **კარმელო ენტონი** ამჟამად ჩინეთში იმყოფება და იქ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ არ არის წინააღმდეგი ლოკაუტის დროს ამ ქვეყნის ლიგაში მოსინჯოს ძალები.

*„შესანიშნავი გამოცდილება იქნებოდა. ეს უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყანაა. ფანებიც განსაკუთრებული ჰყავთ. რატომაც არა? შეიძლება ექსპერიმენტის ჩატარება"*, - ამბობს ენტონი.

■ ■ ■

ბოლოს ორი ინფორმაცია მოახლოებული ევრობასკეტის შესახებ. რუსეთის „ხიმკის" მთავარმა მწვრთნელმა **რიმას კურტინაიტისმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის ხორვატი ლეგიონერები - **კრეშიმირ ლონჩარი** და **ზორან პლანინიჩი** არ ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატში. ლიტველი სპეციალისტის თქმით, მათ ტრავმები აწუხებთ.

ასევე გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მეტოქეს - სლოვენიას NBA-ის ყოფილი მოთამაშე, ამჟამად „ეფეს პილსენის" ფორვარდი **ბოსტჯან ნახბარი** ვერ დაეხმარება. მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმაა, რომლის მკურნალობას დაახლოებით ოთხი-ექვსი კვირა დასჭირდება.



რენდოლფი უხელფასოდ არ დარჩება

ჩოგბურთი

# მამის წინააღმდეგ

მსოფლიოს მე-14 ჩოგანს, პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას**, სავარაუდოდ, ახალი მწვრთნელი ეყოლება. ჩოგბურთელი დარწმუნებული არ არის იმაში, რომ ამიერიდან თავისი მამის - **რობერტ რადვანსკას** ხელმძღვანელობით გააგრძელებს თამაშს. უფროსი რადვანსკა აგნიეშკას გარდა თავის მეორე ქალიშვილს - **ურსულასაც** ავარჯიშებს. მათი თანამშრომლობა იმ დღიდან ვითარდება, რაც დებმა ხელში ჩოგანი აიღეს, მაგრამ ახლა გოგონებს მამასთან უთანხმოება აქვთ. სტენფორდის ტურნირზე, რომელიც ამ კვირას იმართება, რადვანსკებს ფედერაციის თასზე პოლონეთის ნაკრების კაპიტანი **ტომაშ ვიქტოროვსკი** ეხმარება.

*„ხანდახან სასარგებლოა პაუზის აღება იმათთან მიმართებაში, ვისთანაც 17 წელია თანამშრომლობ. ეს ძალიან დიდი დროა,* - განაცხადა აგნიეშკა რადვანსკამ. - *სტენფორდში ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვთამაშობ, შემდეგ კი ვნახოთ, რა მოხდება. როლების განაწილება რთულია. კორტზე ის არა მარტო მწვრთნელი, არამედ მამაცაა. ისეც ხდება, რომ ჩოგბურთი ჩვენს ჩვეულებრივ ცხოვრებაში შემოდის. ამიტომაც გვინდა პაუზის აღება".*

■ ■ ■

ავსტრალიური ჩოგბურთის ლიდერმა **სამანტა სტოსურმა** გამოაცხადა, რომ ამერიკის ღია პირველობაზე წყვილთა თანრიგშიც გამოვა და მას პარტნიორად გერმანელი **საბინ ლისიცკი** ეყოლება.

შარშან, ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა უარი თქვა წყვილთა თანრიგში თამაშზე, რადგან ერთეულებში გამოსვლაზე სურდა კონცენტრირება, მაგრამ ამ ზაფხულს სტოსურმა ახალი მეწყვილე იპოვა ლისიცკის სახით, უიმბლდონის წყვილებში ითამაშა და იქ ფინალამდე მიაღწია. ექსპერიმენტი წარმატებული გამოვიდა და ახლა, ავსტრალიელი და გერმანელი „ფლეშინგ მედოუს" კორტებზეც ცდიან ძალებს.

საინტერესოა, რომ სტენფორდში მიმდინარე ტურნირზე სტოსურსა და ლისიცკის გუშინ გვიან ღამით უნდა ეთამაშათ მეორე წრეში.

■ ■ ■

ჯექსონვილის (ფლორიდას შტატი) საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ტელეარხ ESPN-ის ჟურნალისტთა სარჩელი. მათ სურდათ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის იმ დოკუმენტების შესწავლა, რომლებშიც მოიძიებოდა ინფორმაცია საჩოგბურთო მატჩებზე დადებული ფსონების შესახებ. კერძოდ, ჟურნალისტებს აინტერესებდათ ცნობები იმ მოთამაშეებზე, რომლებიც ტოტალიზატორში საკუთარ მატჩებზე აკეთებდნენ ფსონებს.

მოსამართლე **ტიმოტი კორიგანმა** თავისი უარი იმით ახსნა, რომ ამ დოკუმენტების შესწავლამ, შეიძლება, ზიანი მიაყენოს ადამიანის თავისუფლებას.

შეგახსენებთ, რომ 2007 და 2008 წლებში ფედერაციამ ტოტალიზატორში თამაშისთვის ოფიციალურ მატჩებს ექვსი კვირიდან რვა თვემდე ჩამოაშორა იტალიელი მოთამაშეები: **პოტიტო სტარაჩე, დანიელე ბრაჩიალი, ჯორჯო გალიმბერტი, ალესიო დი მაურო** და **ფედერიკო ლიუცი**. ESPN-ის ჟურნალისტები დარწმუნებული არიან - დოკუმენტებში არის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საკუთარ თამაშზე ფულს სხვა ჩოგბურთელებიც დებდნენ.



დები რადვანსკები

ველოსპორტი

# კონტადორს უმართლებს

ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, რომელიც კვლავ ეჭვმიტანილია 2010 წლის ტურ დე ფრანსზე აკრძალული პრეპარატის - კლენბუტეროლის მიღებაში, სავარაუდოდ, შეძლებს წლევანდელი სეზონის დასრულებას. საქმე ისაა, რომ სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ ნოემბრამდე გადადო ესპანელის საქმის განხილვა.

თავდაპირველად ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირისა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს სარჩელი აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა განეხილათ, მაგრამ მოსმენა ისევ გადაიდო.

ასე რომ, კონტადორს სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის საშუალება ექნება.

■ ■ ■

წლევანდელი ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორი, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** არ გამორიცხავს მომავალ წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას. მართალია, გაისად ტურ დე ფრანსსა და ოლიმპიადას შორის დრო ძალიან მცირეა, მაგრამ 34 წლის ევანსი უარს არ ამბობს ლონდონში გამგზავრებაზე.

*„რა თქმა უნდა, თუ დამიძახებენ, სიამოვნებით დავეხმარები ავსტრალიას ოლიმპიადაზე"*, - ამბობს ევანსი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ტურნირები

# სასტიკი სერენა

მოულოდნელობებით დაიწყო სტენფორდის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი, რომელიც ბევრი ვარსკვლავისთვის პირველი პრაქტიკაა უიმბლდონის შემდეგ. როგორც ჩანს, გრძელდება **ანა ივანოვიჩის** კრიზისი. სერბმა ვერაფერი მოუხერხა იაპონელ **აიუმი მორიტას**, რომელმაც შვიდიდან შვიდი ბრეიკ-პოინტის გამოყენება შეძლო. მეტოქის ასეთ შედეგიან თამაშს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა ვერაფერი დაუპირისპირა, ამასთან, ანას ცუდ ფორმაზე პირველი მოწოდების სიზუსტის 38 პროცენტიც კარგად მეტყველებს.

კიდევ ერთი მოულოდნელობა შემოგვთავაზა რუსმა **მარია კირილენკომ**, რომელიც ბოლო დროს ცუდ ფორმაში იმყოფებდა, მაგრამ ამჯერად შეძლო აღმავლობის გზაზე მყოფი გერმანელის **იულია გორჯესის** დამარცხება. რუსმა ძალიან სტაბილური თამაშის წყალობით მიაღწია წარმატებას.

**მარია ერაკოვიჩმა** დამაჯერებლად დაამარცხა **სოფია არვიდსონი**, თანაც ქალთა ჩოგბურთისთვის არადამახასიათებელი მაჩვენებელი დააფიქსირა - პირველ მოწოდებაზე ქულების 83 პროცენტი მოიგო. **დანიელა ჰანტუხოვამ** ასევე ძალიან მშვიდად და დამაჯერებლად დატოვა ტურნირის მიღმა **რიკა ფუჯივარა**, **საბინ ლისიცკიმ** კი ტრიუმფალური უიმბლდონის შემდეგ კარგი ფორმა **სიმონა ჰალეპის** განადგურებით დაადასტურა.

დღის ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება კი **სერენა უილიამსმა** მოიპოვა, რომელმაც 47 წუთში გაანადგურა ანასტასია როდიონოვა - ამერიკელმა მეტოქეს ერთი გეიმიც არ დაუთმო. სერენამ ექვსი ეისი მოაწოდა და პირველი მოწოდებით ქულების ასი პროცენტი აიღო.

■ ■ ■

კოლეჯ პარკის მოკრძალებულ ტურნირში ბრძოლას გამოეთიშა ერთ-ერთი ნომინალური ფავორიტი **ელენა დოკიჩი**. მეოთხე ნომრად განთესილი ავსტრალიელი საათ-ნახევარში დამარცხდა ჩინელ **შუაი ჟენგთან**. დოკიჩმა აშკარად ჩააგდო ეს შეხვედრა - 16 ორმაგი შეცდომა დაუშვა და 12 ბრეიკ-პოინტი გაანიავა.

სამაგიეროდ, პირველ წრეში იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს განთესვის ლიდერებმა. **შაარ პეერმა** საათ-ნახევარი იკმარა **რიოკო ფუდას** დასამარცხებლად, რომელმაც ათი ბრეიკ-პოინტიდან ცხრა ქარს გაატანა. რუსს **ნადეჟდა პეტროვას** კი საათი დასჭირდა **ალექსანდრა მიულერის** გზიდან ჩამოსაშორებლად.


სერენა დაუნდობელი იყო

დღის ყველაზე დაძაბული მატჩი **ალა კუდრიავცევამ** და **შანელ სხეპერსმა** ითამაშეს. მათ კორტზე ორ საათზე მეტი გაატარეს და საბოლოოდ, უფრო ძლიერი რუსი ჩოგბურთელი აღმოჩნდა.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**I წრე**

**საბინ ლისიცკი (გერ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:1, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:1; ანა ივანოვიჩი (სერ)-**აიუმი მორიტა (იაპ)** 3:6, 5:7; იულია გორჯესი (გერ)-**მარია კირილენკო (რუს)** 2:6, 3:6; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:4, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-რიკა ფუჯივარა (იაპ) 6:0, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:0, 6:0.

**Citi Open**

კოლეჯ პარკი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**I წრე**

**ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:3, 6:4; ოლგა გოვორცოვა (ბლრ)-**ირინა ფალკონი (აშშ)** 3:6, 4:6; **ნადეჟდა პეტროვა (რუს)**-ალექსანდრ მიულერი (აშშ) 6:2, 6:2; მელინდა ჩინკი (უნგ)-**მედისონ ბრენგლი (აშშ)** 6:7, 5:7; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-პეტრა რამპრე (სლოვენ) 6:0, 6:2; ელისონ რისკე (აშშ)-**იუჯინ ბუშარი (კან)** 3:6, 2:6; ჟიე ჟენგი (ჩინ)-**ჯილ კრეიბასი (აშშ)** 6:2, 3:6, 2:6; შანელ სხეპერსი (ს. აფრ)-**ალა კუდრიავცევა (რუს)** 6:4, 4:6, 2:6; **შაარ პეერი (ისრ)**-რიოკო ფუდა (იაპ) 6:4, 6:2; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-მელანი ოუდინი (აშშ) 7:6, 3:6, 6:2; ელენა დოკიჩი (ავსტრა)-**შუაი ჟენგი (ჩინ)** 3:6, 4:6.

# ვეტერანებს უჭირთ

პირველი წრე დაასრულეს მამაკაცმა ჩოგბურთელებმა, რომლებიც ამ კვირას სამ ტურნირში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა ლატვიელ **ერნესტ გულბისს**, რომელმაც შეწყვიტა ხუთმატჩიანი წაგებათა სერია. ბალტიისპირელმა დაამარცხა ტურნირის მეხუთე ნომერი **ქსავიე მალისე**. გულბისმა პირველი მაისის შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა.

გასული დღის მატჩებიდან ასევე აღსანიშნავია **დანიელ კოსაკოვსკის** მოგება. საქმე ისაა, რომ ამ ამერიკელისთვის ეს იყო სადებიუტო გამარჯვება ATP-ის ტურში. ამისთვის მას თანამემამულე **ტიმ შმიჩეკთან** ორსაათიანი ბრძოლა დასჭირდა. მოიგო კიდევ ერთმა ამერიკელმა - **რაიან ჰარისონმა**, თუმცა მას სამი საათი არ ნებდებოდა ლიტველი **რიჩარდ ბერანკისი**, თუმცა ბოლოს მაინც მასპინძელმა იმძლავრა.

ჯერჯერობით ვერ იბრუნებს ძველ სპორტულ ფორმას ერთ დროს მრისხანე ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**. რუს **იგორ კუნიცინთან** მას რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ მეტოქემ ხუთივე ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა.

იგივე ითქმის ვეტერან გერმანელ **ტომი ჰაასზე**, რომელიც წელს თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა პროფესიულ ტურს. ჰაასი მეშვიდე მატჩს ატარებდა სეზონში და მეექვსე მარცხი იწვნია - მსოფლიოს 579-ე ნომერმა საათსა და ექვსი წუთში უშანსოდ წააგო ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვთან**.

■ ■ ■

შვეიცარიის გშტაადში ყველაზე დამაჯერებელი თამაში აჩვენა **მარსელ გრანოლერსმა**. ესპანელმა ზუსტად ერთ საათში გატეხა **სტეფან ბოლის** წინააღმდეგობა. ამ უკანასკნელს კატასტროფული სტატისტიკა ჰქონდა მეორე მოწოდებაზე - 23 გათამაშებიდან მხოლოდ... ერთი მოიგო! ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ 28 წლის შვეიცარიელი არასოდეს შესულა მსოფლიოს რეიტინგის საუკეთესო ასეულში.

ამ ტურნირის ყოფილმა ფინალისტმა **ფელისიანო ლოპესმა** 18 ეისის დახმარებით დაამარცხა **მიხაელ ლამერი**. თუმცა იმ დღეს ყველა ესპანელს არ გაუმართლა. მაგალითად, **გილერმო გარსია-ლოპესმა** სამ სეტში წააგო **სანტიაგო ხირალდოსთან**, რომელმაც შვიდიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა.

აღვნიშნავთ აგრეთვე **იარკო ნიემინენის** მოგებას **ვიქტორ ჰანესკუზე** და **დანიელ ხიმენო-ტრავერის** წარმატებას **სტივ დარცისთან** მატჩში.

■ ■ ■

ყველაზე დახუნძლული იყო მოვლენებით მორიგი სათამაშო დღე უმაგში - აქ სრულად გაიმართა პირველი წრის მატჩები.

ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა **ხუან-კარლოს ფერერომ მაქსიმო გონსალესი** მეტოქის ტრავმის ხარჯზე დაამარცხა - მესამე სეტში თანაბარი ანგარიშისას არგენტინელმა ბარძაყის დაზიანების გამო თქვა უარი ბრძოლის გაგრძელებაზე.

კიდევ ერთმა ესპანელმა, წელს ტრავმებით გაწამებულმა **ტომი რობრედომ რუბენ რამირეს-იდალგოს** სძლია. მატჩში, რომელიც 80 წუთი გაგრძელდა, რამირეს-იდალგოს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

ასევე აღსანიშნავია შარშანდელი ფინალისტის **პოტიტო სტარაჩეს** მოგება **ტიემო დე ბაკერთან**. ჰოლანდიელმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკით მოიგო, მაგრამ შემდეგ იტალიელს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ყველაზე დაძაბული გამოვიდა **კარლოს ბერლოკისა და ბლაჟ კავჩიჩის** ბრძოლა, რომელიც სამი საათი და 41 წუთი გაგრძელდა და იქ იღბალი არგენტინელის მხარეს აღმოჩნდა. მან ყველა სათამაშო კომპონენტში უმცირესი უპირატესობით აჯობა კავჩიჩს.


გულბისმა ნავსი გატეხა

**ATP**

**Farmers Classic**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 619 500 დოლარი

**I წრე**

ქსავიე მალისე (ბელ)-**ერნესტ გულბისი (ლატ)** 6:2, 3:6, 6:7; ტიმ შმიჩეკი (აშშ)-**დანიელ კოსაკოვსკი (აშშ)** 6:2, 1:6, 3:6; ფერნანდო გონსალესი (ჩილ)-**იგორ კუნიცინი (რუს)** 3:6, 4:6; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) 6:7, 7:5, 6:3; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-სტივ დარცისი (აშშ) 2:6, 6:3, 6:4; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-გრეგ ჯონსი (ავსტრა) 4:6, 6:1, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:2, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ლაურინას გრიგელისი (ლიტ) 6:2, 6:4; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-ტომი ჰაასი (აშშ) 6:3, 6:2.

**Croatia Open**

უმაგი (ხორვატია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**I წრე**

**სიმონე ვანიოცი (იტა)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:3, 3:6, 6:1; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:7, 6:2, 6:1; ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)-**კარლოს ბერლოკი (არგ)** 4:6, 7:6, 4:6; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 3:6, 6:3, 1:1 გონსალესის უარი; სერგეი სტახოვსკი (უკრ)-**ოლივიე როხუსი (ბელ)** 4:6, 4:6; რუი მაშადო (პორ)-**ფაბიო ფონინი (იტა)** 4:6, 3:6; **ტომი რობრედო (ესპ)**-რუბენ რამირეს-იდალგო (ესპ) 6:3, 6:2; **ჯანლუკა ნასო (იტა)**-მატე დელიჩი (ხორ) 6:4, 6:2; მატე პავიჩი (ხორ)-**ფილიპო ვოლანდრი (იტა)** 4:6, 0:6.

**Suisse Open**

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**I წრე**

**სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 5:7, 6:2, 6:1; **დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:4, 5:7, 7:5; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 7:5, 6:2; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-სტეფან ბოლი (შვეიც) 6:1, 6:0; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:2, 6:7, 6:3; **ფრედერიკო ჟილი (პორ)**-ჟოაო სოუზა (ბრა) 4:6, 6:3, 6:4; მიხაელ ლამერი (შვეიც)-**ფელისიანო ლოპესი (ესპ)** 4:6, 7:6, 3:6.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**III საკ. ეტაპი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰიკ-დინამო (ზ) | 1:2 |
| კოპენჰაგენი-შემროკი | 1:0 |
| ოდენსე-პანათინაიკოსი | 1:1 |
| მაკაბი (ჰ)-მარიბორი | 2:1 |
| სტანდარდი-ციურიხი | 1:1 |
| ბენფიკა-ტრაბზონი | 2:0 |
| რუსენბორგი-პლზენი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1:0 |
| კიტჩი-ჩელსი | 0:4 |
| ჰერტა-რეალი | 1:3 |
| შახტარი-ლიონი | 1:1 |
| ინტერნასიონალი-მილანი | 2:2 პენ. 3:0 |
| ბორდო-ბრესტი | 2:0 |
| გრონინგენი-ვოლენდამი | 3:0 |
| უტრეხტი-მალაგა | 0:3 |
| ქაისერი-ხეტაფე | 3:0 |
| ნიიმეგენი-მალიორკა | 0:1 |
| ტულუზა-ბეიონი | 1:1 |
| კილმარნოკი-სანდერლენდი | 1:2 |
| ნუმანსია-ბილბაო | 0:0 |
| ბარსელონა-ბაიერნი | 2:0 |
| ბერი-ბოლტონი | 0:2 |
| სელტიკი-ვულვზი | 0:2 |
| ჩეზენა-ქუინზ პარკი | 1:0 |
| ჰალი-ბრედფორდი | 3:1 |
| ნოტინგემი-პსვ ეინდჰოვენი | 1:3 |
| როტერჰემი-[illegible] | 0:3 |
| ესპანიოლი-ბოკა ხუნიორსი | 3:1 |

**საფრანგეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ლილი-მარსელი | 4:5 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოულუ-კპვ | 0:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| მანტა-ოლმედი | 2:1 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| კაშიმა-გამბა | 1:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| **ბახინგერი**-ანდუხარი | 6:1, 6:4 |
| ისტომინი-**იუჟნი** | 3:6, 2:6 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| **რამოს ვინოლასი**-ნასო | 6:1, 6:3 |
| **ფერერო**-ლუბიჩიჩი | 1:6, 6:3, 6:4 |
| ვოლანდრი-**დოლგოპოლოვი** | 1:6, 2:6 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| მაკჰეილი-**ციბულკოვა** | 4:6, 6:2, 3:6 |
| **ბარტოლი**-მარინო | 6:4, 6:3 |

**WTA. ვაშინგტონი**

| | |
|---|---|
| **ფალკონი**-ჟანგი | 6:4 უარი |

● TV პროგრამა

**28 ივლისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ფეხბურთი. აუდის თასი. მე-3 ადგილისთვის. მილანი-ინტერნასიონალი. მიუნხენი.
**12:00** ფეხბურთი. აუდის თასი. ფინალი. ბაიერნი-ბარსელონა. მიუნხენი.
**14:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა.
**16:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**20:30** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი.
**22:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**00:00** ტაილანდის ვარსკვლავები - ჩელსი
**02:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. სუპერმატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ოკლაჰომა.
**13:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**14:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**17:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ.
**18:15** ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/4 ფინალი. როჯერ ფედერერი-ჟო ვილფრიდ ცონგა.
**21:30** საჩოგბურთო მიმოხილვა
**22:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ოკლაჰომა.

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

**14:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**05:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. წინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

● ამბები

**ჰოკეი**

## რუსმა ციხე მოინდომა

ცნობილმა რუსმა მეკარემ **ნიკოლაი ხაბიბულინმა** 15 დღე უნდა გაატაროს ციხეში. სწორედ ასეთია სასამართლოს სასჯელი 2010 წლის თებერვალში მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისა და სიჩქარის გადაჭარბებისთვის. „ედმონტონ ოილერზის" ჰოკეისტი არიზონა შტატში დაიჭირეს.

ხაბიბულინმა თავდაპირველად სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა საჩივარზე და თავისი ნებით წავიდა ციხეში.

**ფრისტაილი**

## ამერიკელის სუიციდი




იუტას შტატის პოლიციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ფრისტაილში 2010 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა **ჯერეტ პეტერსონმა**. 29 წლის სპორტსმენის გვამი სამშაბათს გვიან ღამით აღმოაჩინეს. საბედისწერო გასროლამდე პეტერსონმა გადარჩენის სამსახურში დარეკა.

სუიციდამდე სპორტსმენი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავეს. კანონთან პრობლემები მას ადრეც ჰქონდა. ტურინის ოლიმპიადის დროს პეტერსონი ჩხუბის გამო გააგდეს ნაკრებიდან. 2009 წელს სასამართლოს წინაშე წარსდგა, რადგან ხალხის თვალწინ დაიკმაყოფილა ფიზიოლოგიური მოთხოვნილება. 2005 წელს იარაღის მოპარვისთვის დააპატიმრეს...

პეტერსონი თავის დეპრესიულ ხასიათს ბავშვობაში გადატანილი ტრავმებით ხსნიდა: ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, აგრეთვე ავტოკატასტროფაში დაკარგა ხუთი წლის და. გარდა ამისა, 2005 წელს სპორტსმენი თავისი მეგობრის თვითმკვლელობის მოწმე გახდა. ამასთან, პეტერსონი მოუწოდებდა ხალხს, რთულ სიტუაციაში არ ჩამოუშვან ხელი და მაგალითად 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადა მოჰყავდა, სადაც მან მეორე ადგილი დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი წელი დარჩა



ოლიმპიური პარკის გეგმა

ლონდონმა ზაფხულის ოლიმპიადამდე დროის უკუღმა ათვლა დაიწყო. თითქმის დასრულებულია ძირითადი ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა და ბილეთების დიდი ნაწილიც გაყიდულია. ახლა, უბრალოდ, ლოდინიღა დაგვრჩენია.

2012 წლის თამაშები 27 ივლისს დაიწყება. ნაკიანი წინაოლიმპიური წელი 366 დღე გაგრძელდება. მანამდე კი იმ არენებზე ვიმოგზაუროთ, რომელზეც ზუსტად ერთი წლის შემდეგ გრანდიოზული სპორტული სტარტები გაიმართება.

■ ■ ■

ოლიმპიური ობიექტების უმრავლესობა ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული. ეს ოაზისი ისტ-ენდშია გაშენებული, რაიონში, სადაც ადრე სიღარიბე და კრიმინალი იყო გამეფებული.

ამ ერთგვარი პარკის მთავარი და ყველაზე სიმპათიური არენა - ოლიმპიური სტადიონია, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს. აქ გაიმართება გახსნისა და დახურვის ცერემონია და მძლეოსანთა ტურნირი. ცნობილია აგრეთვე, რომ თამაშების დასრულების შემდეგ ზედა იარუსს დემონტაჟი ჩაუტარდება და ოლიმპიური სტადიონი 25-ათასიან საფეხბურთო არენად გადაკეთდება, რომელზეც „ვესტ ჰემი" ითამაშებს.

■ ■ ■

შთამბეჭდავია საწყლოსნო სახეობებისთვის განკუთვნილი „აკვატიკ-ცენტრი". ის 17 500 ათას მაყურებელზეა გათვლილი. პროექტის ავტორია დღეს მოდური არქიტექტორი **ზაჰი ჰადიდი**. ამ შენობის სახურავი 160-მეტრიანი ტალღის ფორმით არის შესრულებული.

იქვე ახლოსაა ველოდრომი, რომელიც რაღაცით ჰგავს ჰადიდის ქმნილებას, ოღონდ მისი შემცირებული ვარიანტია. ახლოსაა სტადიონი ბალახის ჰოკეისთვის, კალათბურთისა (12 ათასი) და ხელბურთის (7 ათასი) დარბაზები.

■ ■ ■

ერთი მხრიდან სპორტულ ობიექტებს ოლიმპიური სოფელი ესაზღვრება, მეორე მხარეს - პრესცენტრი სატელევიზიო ცენტრითა და სატრანსპორტო კვანძით, საიდანაც ჟურნალისტები ოლიმპიური პარკის მიღმა ტურნირებზე გაემართებიან. მესამე მხარესაა - Stratford International Station, უდიდესი სარკინიგზო სადგური, სადაც ჩამოდგებიან არა მხოლოდ ადგილობრივი ელმავლები და მეტროს მატარებლები, აგრეთვე პარიზული კომპანია „ევროსტარის" ექსპრესები.

■ ■ ■

ოლიმპიური პარკიდან აღმოსავლეთით განთავსებულია ExCel-ის საგამოფენო ცენტრი, სადაც ყველა სახის ორთაბრძოლების გამართვაა დაგეგმილი: კრივი, ჭიდაობა, ძიუდო, ტაეკვანდო, აგრეთვე ტურნირი ძალოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში. მდინარე ტემზას მეორე მხარეს, საგამოფენო ცენტრის პირდაპირ North Greenwich Arena-ზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს ტანმოვარჯიშეები და ბატუტზე მხტომელები, აქვე გაიმართება საკალათბურთო ტურნირის ფინალი. ასევე ახლოს - გრინვიჩ-პარკში შედგება ცხენოსანთა ტურნირი და თანამედროვე ხუთჭიდის სტარტები.

■ ■ ■

ლონდონის ცენტრში, უაიტჰოლის წინ, სადაც, ჩვეულებრივ, სამეფო საცხენოსნო გვარდიის ტრადიციული აღლუმები იმართება, ქვიშას დაყრიან პლაჟის ფრენბურთის ტურნირისთვის. „ნამდვილი" ფრენბურთელები კი Earls Court-ის დარბაზში ითამაშებენ, რომელიც ოლიმპიური პარკის დასავლეთით მდებარეობს.

■ ■ ■

ჰაიდ-პარკში შეეჯიბრებიან ერთმანეთს ტრიატლონისტები. ჩოგბურთელები, რა თქმა უნდა, სახელგანთქმულ უიმბლდონზე დაფუძნდებიან, ლეგენდარულ „უემბლიზე" კი საფეხბურთო ტურნირის მატჩების გარდა, გაიმართება შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშსა და ბადმინტონში.

ჩრდილოეთში - Lord's Cricket Ground-სა და Regent's Park-ში მედლებს გაითამაშებენ მშვილდოსნები და საგზატკეცილო ველომრბოლები.

ოლიმპიური სოფლიდან ყველაზე შორს მდებარეობს ნიჩბოსნებისა და ტყვიის მსროლელთა არენები.

გია **თვალაბეიშვილი**


ExCel-ის საგამოფენო ცენტრი


კალათბურთის დარბაზი


აკვატიკ-ცენტრი


ოლიმპიური სოფელი


ხელბურთის დარბაზი


ველოდრომი